ეკონომიკური წესრიგების შედარება

10

10.1. ინსტიტუციური ეკონომიკა და ეკონომიკური წესრიგები 215

10.2. სხვადასხვაგვარი საკუთრებისა და განკარგვის უფლების შედეგები 217

10.3. საქონელთა გაცვლის კოორდინირების განსხვავებული მექანიზმები და მათი შედეგები 220

10.4 იდეალური ტიპის ეკონომიკური წესრიგები 225

10.4.1 კერძო საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია 227

10.4.2 კერძო საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა 228

10.4.3 კოლექტიური საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა 230

10.4.4 კოლექტიური საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია 231

10.4.5 განსხვავებული ეკონომიკური წესრიგების არსებობის მიზეზები 233

10.5 მაგალითი: სოციალური საბაზრო ეკონომიკის თავისებურებები გერმანიაში 234

10.5.1 თეორიული საფუძვლები 234

10.5.2 სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამა 235

10.5.3 იმპლემენტაცია 237

სწავლების მიზნები

- ქვეყნის ეკონომიკური წესრიგი შედგება ინსტიტუციური რეგულირებისაგან, რომელთა ფარგლებშიც ხორციელდება ეკონომიკური ტრანზაქციები. ტრანზაქციები წარმოადგენს საქონელზე საკუთრებისა და განკარგვის უფლებების გადაცემას და დაკავშირებულია ტრანზაქციის სპეციფიკურ ხარჯებთან.

- საზოგადოებრივი საქონლის მაგალითზე, ადვილად გასაგები ხდება კოლექტიური და კერძო საკუთრების უფლების განსხვავებული ეფექტები. კოლექტიური საკუთრება ხელს უწყობს საზოგადოებრივი პროდუქტების ჭარბ გამოყენებას მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება ზრუნავს რესურსების მომჭირნედ მოხმარებაზე. თუმცა, კერძო საკუთრების უფლების შემოღება, შესაძლოა ტრანზაქციის მეტისმეტად მაღალ ხარჯებთან იყოს დაკავშირებული.

- ტრანზაქციის ხარჯების გათვალისწინების გარეშე შესაძლებელია, როგორც ცენტრალური დაგეგმვით, ასევე საბაზრო გაცვლით, მიღწეულ იქნას კეთილდღეობის ეფექტები შრომის დანაწილებისა და სპეციალიზაციის გზით. ცენტრალური დაგეგმვის ტრანზაქციის სპეციფიკური ხარჯები წარმოიშობა არსებული რესურსების შესყიდვით, ხოლო საბაზრო გაცვლის ტრანზაქციის სპეციფიკური ხარჯები თავს იჩენს ქმედითუნარიანი ფასების სისტემის უზრუნველყოფის შედეგად.

- საკუთრების ამ ორი საპირისპირო ფორმის კომბინაციით (კერძო საკუთრება და კოლექტიური საკუთრება) და საქონელთა გაცვლის კოორდინაციის ორი საპირისპირო ფორმიდან (ცენტრალური დაგეგმვა და საბაზრო ეკონომიკა), წარმოიქმნება ოთხი იდეალური ტიპის ეკონომიკური წესრიგი თავიანთი სპეციფიკური ფუნქციური პრობლემებით.

- რეალურად, ეკონომიკური წესრიგების ფორმირება, როგორც წესი, იდეალურ ტიპს ბევრად ჩამოუვარდება. დღეისათვის არსებობს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკური წესრიგის კონცეფციის უამრავი ვარიანტი. მის შესახებ განმარტებას იძლევიან არაფორმალური ინსტიტუციები, რომლებშიც ასახულია მოცემული ქვეყნის კულტურა და ისტორია, რაც ხელს უწყობს მნიშვნელოვანი ე.წ ,,წარსულ გამოცდილებაზე მიდრეკილებისა და ინსტიტუციური დამოკიდებულების“ წარმოქმნას.

- სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციის განვითარება მიზნად ისახავდა გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ქმედითუნარიანი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებას. წარმატებით შეიქმნა კონკურენტული გარემო და ფულადი სისტემა. თუმცა, დიდი ხნის განმავლობაში, ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სოციალურ-პოლიტიკური მოტივებით ჩარევების არასაკმარისი თავსებადობა საბაზრო ეკონომიკასთან.

10.1 ინსტიტუციური ეკონომიკა და ეკონომიკური წესრიგები

მიკროეკონომიკისა და მაკროეკონომიკის ძირითადი კონცეფციები, ბაზარი და ფული, ასევე სახელმწიფო, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი შემოქმედი, დღემდე არსებული ხედვით მიღებული იყო, როგორც არსებული მოცემულობა. ინსტიტუციური ანალიზი უარყოფს აღნიშნულ ხედვას. იგი ბაზარს, ფულსა და სახელმწიფოს განიხილავს, როგორც რეგულირების სისტემებს, რომლებსაც, ერთი მხრივ, ეკონომიკური სარგებელი მოაქვთ, ხოლო, მეორე მხრივ, დაკავშირებული არიან სპეციფიკურ ხარჯებთან. ეკონომიკური რაციონალიზმის ფარგლებში მიმდინარეობს აღნიშნული მართვის სისტემების წარმოშობისა და მათი ცვლილების, ასევე სხვადასხვა ინსტიტუციური წესების ინდივიდუალურ ქმედებებზე გავლენის შესწავლა.

ეკონომიკური ინსტიტუციების ერთიანობას, ეკონომიკური წესრიგი ეწოდება. ეკონომიკის მოწყობა-ორგანიზებისგან განსხვავებით, ეკონომიკური წესრიგი არამხოლოდ იურიდიულად კოდიფიცირებულ, არამედ კერძო დონეზე შეთანხმებულ წესებსაც მოიცავს. თავის მხრივ, ეკონომიკური წესრიგი არის საერთო საზოგადოებრივი მართვის სისტემების ნაწილი, რომლებსაც ეკონომიკური კულტურა შეიძლება ეწოდოს.

ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, ეკონომიკური ქმედებები არამხოლოდ წარმოების ტექნიკურ ოპერაციებს ან საქონლის გადაცემას მოიცავს. ეკონომიკური ქმედებები უფრო მეტად ტრანზაქციებს, ანუ საქონელზე საკუთრებისა და განკარგვის უფლებების (Property Rights) გადაცემას წარმოადგენს. ინდივიდებს შორის ეკონომიკური ურთიერთობები შედგება ინსტიტუციური წესების დიდი რაოდენობისგან, რომლებიც, ერთი მხრივ, თითოეულ ინდივიდს ქონებაზე, მიღწევებსა და სულიერ ღირებულებებზე განსაზღვრულ უფლებას ანიჭებენ და მეორე მხრივ, აღნიშნული უფლებების ტრანზაქციას, შესაბამისად, ვალდებულებებს არეგულირებენ.

ინსტიტუციური ეკონომიკა განასხვავებს ინსტიტუციური რეგულირების სხვადასხვა ფორმებს:

- არაფორმალური ინსტიტუციები, როგორიცაა ჩვევები, ცხოვრების წესი, ტრადიციები და ეთიკური წესები,
- ფორმალური ინსტიტუციები, როგორიცაა კონსტიტუცია და სახელმწიფო კანონები,
- ფორმალური მაკონტროლებელი სტრუქტურები, როგორიცაა აღმასრულებელი და საკანონმდებლო სახელმწიფო ორგანოები და კერძო ინსტიტუციები.

ამა თუ იმ საზოგადოების არაფორმალური და ფორმალური ინსტიტუციებისადმი ნდობის ხარისხს ასევე სოციალური კაპიტალი ეწოდება.

ისევე, როგორც რეალური კაპიტალის შექმნა მოითხოვს ხარჯებს, ინსტიტუციური რეგულირების ფორმირებაც ხარჯებთან არის დაკავშირებული. ინსტიტუციური ეკონომიკის მიხედვით, ინსტიტუციების შექმნასთან, მათ გამოყენებასა და ცვლილებებთან დაკავშირებულ ხარჯებს ტრანზაქციის ხარჯები ეწოდებათ. განასხვავებენ ტრანზაქციის ფიქსირებულ ხარჯებს, რომლებსაც, როგორც წე-

სი, აუნაზღაურებელი ხარჯების ფორმა აქვთ, ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან სპეციფიკური ინსტიტუციების ჩამოყალიბებასა და მომზადებასთან და ტრანზაქციების ცვლად ხარჯებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან განხორციელებული ტრანზაქციების ღირებულებასა და რაოდენობაზე. ეკონომიკური ტრანზაქციებისათვის საჭირო ყველაზე მნიშვნელოვან ინსტიტუციებზე დამოკიდებულია:

- საბაზრო ტრანზაქციების ხარჯები: ისინი მოიცავენ მოძიებისა და ინფორმაციისთვის საჭირო ხარჯებს, მოლაპარაკებებისა და გადაწყვეტილებების ხარჯებს, ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობების შესრულებისა და მონიტორინგისთვის საჭირო ხარჯებს.

- პოლიტიკური ტრანზაქციების ხარჯები: ისინი მოიცავენ პოლიტიკური წესრიგის ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და შეცვლისათვის საჭირო საერთო ხარჯებს.

- მეწარმეობის ტრანზაქციების ხარჯები: საქმე ეხება მეწარმეობის მართვისა და ორგანიზაციის ხარჯებს და წარმოების შიგნით კომუნიკაციისა და კონტროლისთვის საჭირო ხარჯებს. ისინი ინსტიტუციური ეკონომიკის საწარმოო-ეკონომიკური გამოყენების თვალსაზრისით ძირითად როლს ასრულებენ.

ვალისა (*Wallis*) და ნორთის (*North*) (1986) შეფასებით, თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში, აღნიშნული ტრანზაქციების ხარჯები სოციალური პროდუქტის 50%-ს შეადგენენ. ინსტიტუციური წესებისა და რეგულირებების ჩამოყალიბებისათვის საჭირო აუნაზღაურებელი ხარჯები დამოკიდებულია ინსტიტუციების უკვე არსებულ წარსულ გამოცდილებაზე. თუ ინსტიტუცია უკვე ჩამოყალიბებულია, მისი ჩანაცვლება ახალი ინსტიტუციით მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, თუ სარგებელი-ხარჯების-სტრუქტურები დრამატულად შეიცვალა. ამის კარგ მაგალითს იძლევა ინსტიტუცია – ფული. ფული მოქმედებს, როგორც მართვის სისტემა, რომლის შექმნისა და შენარჩუნებისთვის საჭიროა რეალური რესურსების მობილიზება (მაგალითად, ცენტრალური საბანკო სისტემის ჩამოყალიბებისთვის აუცილებელი რესურსები). ინფლაციის გამო ფულის სარგებლიანობის დონის გაუარესების შემთხვევაში ფულის, როგორც ინსტიტუციის არსებობის საკითხი მაშინვე არ დგება. მხოლოდ ძალიან მაღალი ინფლაციის დონის შემთხვევაში მცირდება ფულის, როგორც ინსტიტუციისადმი ნდობა. მას ჩაანაცვლებს სხვა მონეტარული გაცვლის საშუალება – საქონელი, როგორც ფული ან შესაძლოა, ნატურალური გაცვლის ფორმაც კი დაბრუნდეს.

განასხვავებენ ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის შემადგენელ სფეროებს:

- ტრანზაქციების ხარჯების ეკონომიკა, რომელიც იკვლევს სხვადასხვა ტრანზაქციების ხარჯების გავლენას ინსტიტუციების ფორმირებაზე. იგი ეფუძნება რონალდ ქოუზის (1937) ძირითად შრომას მეწარმეობის არსის შესახებ.

- საკუთრებისა და განკარგვის უფლების თეორია (*Property Right Theory*), რომელშიც გაანალიზებულია სხვადასხვაგვარად ფორმირებული საკუთრებისა და განკარგვის უფლებების შედეგები.

- ეკონომიკური ხელშეკრულების თეორია, რომელიც ფუნქციონირებს სახელშეკრულებო ურთიერთობების ოპტიმალურ ფორმირებაზე.

- კონსტიტუციური ეკონომიკა (*Constitutional Economics*), რომელიც იკვლევს კონსტიტუციური რეგულირებების წესების მასტიმულირებელ გავლენებს. ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ იგი გაჯერებულია ჯეიმს ბუხანანის (*James Buchanan*) შრომებით.

- სამართლის ეკონომიკური ანალიზი (*Law and Economics*), რომელიც ორიენტირებულია ჩვეულებრივი საკანონმდებლო წესების ეფექტიანობასა და მასტიმულირებელ გავლენებზე.

- ეკონომიკის ისტორიის ინსტიტუციური კონცეფცია (*New Economic History*), რომელშიც გაანალიზებულია ინსტიტუციური ცვლილებების ისტორიული გავლენები. აღნიშნული კონცეფციის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები არიან ეკონომიკის ისტორიკოსები და ეკონომიკური მეცნიერებების დარგში ნობელის პრემიის ლაურეატები დუგლას ნორთი და რობერ ფოგელი.

10.2 სხვადასხვაგვარი საკუთრებისა და განკარგვის უფლების შედეგები

ქონებრივ ურთიერთობებს განსხვავებული ეკონომიკური წესრიგების ფუნქციონირების პრინციპის გაგების მიზნით, ჯერ კიდევ კარლ მარქსი (1867) ანიჭებდა განსაკუთრებულ მნიშვნელობას. მარქსისტული წესრიგის თეორიის თანახმად, წარმოების საშუალებებზე საკუთრების ორგანიზება ქმნის სოციალური და ეკონომიკური ურთიერთობების ერთიანობას, რის საფუძველზეც იგი ცალკეული ეკონომიკური სუბიექტის განვითარებისა და თანამონაწილეობის შესაძლებლობებს აყალიბებს. საკუთრებისა და განკარგვის უფლების თანამედროვე თეორიამ (*Property Rights-Theory*) დღეისათვის მოახდინა საკუთრებითი ურთიერთობების მნიშვნელობის ინტეგრირება არამარქსისტული წესრიგის თეორიის ფარგლებშიც. მასში განსაკუთრებულად ხაზგასმულია სტიმულირებისა და სანქციების მექანიზმები, რომლებიც სათავეს იღებენ საკუთრების ალტერნატიული წესრიგებიდან ისე, რომ იგი არ გამორიცხავს სხვა წესრიგის თეორიული ანალიზის კრიტერიუმების გამოყენებას. ამდენად, შესაძლებელია იმ წესრიგების თეორიული კონცეფციების დიფერენცირებული შეფასება, რომლებიც საფუძვლად უდევს არსებული ეკონომიკური წესრიგის მოქმედების პრინციპს.

საქონელზე საკუთრებისა და განკარგვის უფლება ნიშნავს:

- საქონლით სარგებლობის უფლებას (*usus*),

- საქონლის შეცვლის უფლებას (*abusus*),

- შემოსავლებზე უფლებას, რომლებიც საქონლით სარგებლობის საფუძველზე მიიღება (*usus fructus*),

- სარგებლობის უფლების სხვა პირზე გადაცემის უფლებას (*venditio*).

რაც უფრო ზუსტად არის ჩამოყალიბებული აღნიშნული უფლებები, მით უფ-

რო მეტია სხვა თანაბარ პირობებში მათი ტრანზაქციისათვის საჭირო ხარჯები. არსებობს საპირისპირო მოსაზრება, რომ ტრანზაქციის მაღალმა ხარჯებმა შეესაძლოა, ხელი შეუშალოს მასშტაბური საკუთრების წესრიგის ჩამოყალიბებას. ტრანზაქციის მზარდი ხარჯები იწვევენ არსებული საკუთრების უფლების შესუსტებას.

კერძო და კოლექტიური საკუთრების უფლებების მასტიმულირებელ გავლენას შორის არსებული ძირითადი განსხვავებები ნათლად ჩანს „საერთო საკუთრების ტრაგედიაში“ (*Hardin*, 1968). საზოგადოებრივ საქონელს უწოდებენ ისეთ საქონელს, რომლის დროსაც კერძო განკარგვის უფლების განხორციელების ხარჯები მეტისმეტად მაღალია ისე, რომ ვერ ხერხდება მოქმედ ინდივიდებს შორის არსებული უარყოფითი გარე ეფექტების თავიდან აცილება. კოლექტიურ საკუთრებას შედეგად მოჰყვება არსებული რესურსების ჭარბი გამოყენება კერძო საკუთრებით ექსკლუზიურ სარგებლობასთან შედარებით.

წინათ საერთო საკუთრებას მიაკუთვნებდნენ სოფლად კოლექტიურ მფლობელობაში არსებულ საძოვრებს. თუ ჩავთვლით, რომ ამ საძოვარზე მყოფი ძროხის მუდმივი ღირებულებაა a, ძროხების რაოდენობას აღნიშნავს q, p წარმოადგენს ძროხის რძის მუდმივ ფასს, ხოლო ძროხების წველადობა $f(q)$ ჩაზნექილ ფუნქციას წარმოადგენს, გამოდის, რომ საძოვრის კერძო მესაკუთრე გადაწყვეტილებას ზოგად, ნეოკლასიკურ, ზღვრული გამოთვლის საფუძველზე მიიღებს.

$$\max_{c} R = pf(c) - ac \tag{10.1}$$

$$f'(c^*) = a/p \tag{10.2}$$

კერძო საკუთრების უფლების შემთხვევაში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შენახვა უნდა აღწევდეს იმ წერტილამდე, რომელთანაც დამატებითი $f'(c^*)$ ძროხის ზღვრული შემოსავალი შეესაბამება ძროხის რეალურ a/p ფასს (შეადრ. ნახაზი 10.1).

მოცემული კალკულაცია იცვლება კოლექტიური საკუთრების უფლების შემთხვევაში. ცალკეული სოფლის მაცხოვრებელმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას, ისევე როგორც დანარჩენ თანამესაკუთრეებს, შეუძლია საერთო საძოვარზე გამოკვებილი ძროხიდან რძის საშუალო შემოსავლის მიღება. იგი (და მასთან ერთად ყველა დანარჩენი სოფლის მაცხოვრებელი) შეეცდება, ძროხების რაოდენობა გაზარდოს იმ რაოდენობამდე, ვიდრე საშუალო შემოსავალი ერთეული ძროხის რეალურ ფასს არ გაუტოლდება, შესაბამისად, ვიდრე მოგება ნულის ტოლი არ იქნება. ეს ხდება $\hat{q}$ რაოდენობის შემთხვევაში. შემოსავლის $f(q)$ ფუნქციის ჩაზნექილობის გამო, ფერმერის შემოსავლის საშუალო დონე ყოველთვის აღემატება ზღვრულ დონეს. აქედან გამომდინარე, კოლექტიური საკუთრების შემთხვევაში მოცემული რესურსები ბევრად მეტი რაოდენობით გამოიყენება, ვიდრე კერძო საკუთრების შემთხვევაში.

კოლექტიური საკუთრების საშუალებით არსებული რესურსების ჭარბი გამოყენების უარყოფითი შედეგი ასევე მოსარგებლეთა რაოდენობაზეა დამოკიდებული. თუ საზოგადოებრივი საქონლის მომხმარებელთა წრე ვიწროდ შემოფარგლული და მცირეა, ტრანზაქციის შედარებით მცირე ხარჯების პირობებში, შესაძლებელია სოციალური მართვის მექანიზმების პოვნა, რომელთა საშუალებით ხანგრძლივი დროის მანძილზე ჭარბი მოხმარება შესაძლოა თავიდან იქნეს აცილებული. მართვის სისტემების არაეფექტური ფუნქციონირების შემთხვევაში იქმნება საერთო საკუთრების ხანგრძლივი დროით მომლის საფრთხე, შესაბამისად, საკუთრებისა და განკარგვის უფლებები კერძო საკუთრების ფორმას იღებს.

ელინორ ოსტრომი და საერთო საკუთრების თვითმმართველობა

ელინორ ოსტრომი (1933-2012) დაიბადა ლოს-ანჯელესში, სწავლობდა პოლიტიკურ მეცნიერებებს ლოს-ანჯელესის კალიფორნიის უნივერსიტეტში. თავისი სადისერტაციო შრომა მან მიუძღვნა საერთო საკუთრების საქონლის თემას. თავის მეუღლე ვინსენტთან ერთად, 1973 წელს ბლუმინგტონის ინდიანას უნივერსიტეტში დააარსა *Workshop in Political Theory and Policy Analysis*, რომელიც საერთო საკუთრების საქონლის შესწავლის წამყვან ცენტრად იქცა. 2009 წელს ოსტრომი გახდა ნობელის პრემიის პირველი ლაურეატი ქალი ეკონომიკური მეცნიერებების დარგში, მასშტაბური და ხანგრძლივი კვლევისათვის, რომელიც მოიცავდა საყოველთაო საკუთრების ეფექტური გამოყენების პრობლემას. აღნიშნული კვლევის ძირითადი შედეგები აღწერილია მის მთავარ ნაშრომში „*Governing the Commons*“ (*Cambridge*, 1990).

ოსტრომმა თავის მთავარ ნაშრომში ღრმა ანალიზი გააკეთა საერთო საკუთრების ტრაგედიის შესახებ და გვიჩვენა, თუ როგორ შეიძლება მისი გადალახვა მოცემულ პირობებში. მისი ინსტიტუციური ეკონომიკის კონცეფცია ეფუძნება მოსაზრებას, რომ როგორც სახელმწიფო მმართველობა, ასევე საზოგადოებრივი საქონლის კერძო მფლობელობა, რეალურად, დაკავშირებულია ტრანზაქციის სისტემატურ მაღალ ხარჯებთან, რომლებიც თეორიულად ხშირად უგულვებელყოფილი იყო. აღნიშნულის ნაცვლად, ოსტრომმა მიაგნო ეფექტურ მექანიზმებს, თუ როგორ უნდა მოეხერხებინათ მონაწილე მხარეებს, თავად ემართათ საზოგადოებრივი საქონელი მნიშვნელოვნად დაბალი ხარჯებისა და მეტი მოგების პირობებში, ისე რომ ჭარბი მოხმარება თავიდან აეცილებინათ. ოსტრომი მრავალწლიანი, ემპირიული საველე სამუშაოების საშუალებით იკვლევდა, როგორც სახელმწიფო კონტროლის, ასევე კერძო საკუთრების გამოყენების პირობებში განხორციელებული მმართველობის შეცდომებს, თუმცა, პირველ რიგში, იმ მექანიზმებს, რომლებიც წარმატებული თვითმმართველობის საშუალებას იძლევა. შვეიცარიის სატყეო რეგიონებში, შრი-ლანკას თევზსაჭერ ზონასა თუ კალიფორნიის გრუნტის წყლების აუზებში იგი იკვლევდა აურაცხელ ვარიანტს, რომლებიც დაკავშირებული იყო საერთო საკუთრების პრობლემატიკასთან. იგი ეძებდა წარმატებული თვითრეგულირების საერთო მახასიათებლებს და აანალიზებდა მათ ინსტიტუციურ ფორმირებას ისტორიული განვითარების პროცესში. აღნიშნული კვლევის თანახმად, წარმატებული თვითმმართველობისათვის აუცილებელია მკაფიოდ გაიმიჯნოს მოცემული საერთო საკუთრება უფლებამოსილი მომხმარებელისგან, ასევე საჭიროა მარეგულირებელი წესრიგის ჩამოყალიბების დროს ადგილობრივი პირობებისა და თავისებურებების გათვალისწინება, საერთო სარგებლის მისაღებად ყველა მონაწილე მხარის მიერ ურთიერთშეთანხმებული წესების ფორმირება და მათი დაცვის კონტროლის საშუალებების განსაზღვრა, წესების არშესრულების სხვადასხვა ფორმის არსებობის შემთხვევაში სანქციების საფეხურებრივი მექანიზმების გამოყენება, კონფლიქტების მოგვარების ეფექტური სტრატეგიები და რაც ყველაზე მთავარია, კანონით გამყარებული და რეალურად მოქმედი თვითორგანიზების შესაძლებლობები. უფრო მსხვილ კავშირებში ცალკეული ამოცანების მცირე ერთეულებად დაყოფა და მათი წარმატებული თანამშრომლობა კარგ საფუძველს იძლევა, რათა მოხდეს კოლექტიური მმართველობის გზით საერთო საკუთრების ტრაგედიის ხანგრძლივი დროით თავიდან აცილება.



ნახაზი 10.1: კერძო საქონლისა და საერთო საკუთრების საქონლის მოხმარება

საქონლის მზარდი q მოხმარებით იკლებს f (q)/q საშუალო შემოსავალი და f′(q) ზღვრული შემოსავალი. ამასთან, ზღვრული შემოსავალი მუდმივად საშუალო შემოსავალზე ნაკლებია. მოხმარების (რეალური) ზღვრული ხარჯები მუდმივად მდებარეობენ $\frac{a}{p}$-სთან და (რეალურ) საშუალო ხარჯებს შეესაბამებიან. საზოგადოებრივი საქონლით სარგებლობა მანამ იზრდება, სანამ საშუალო შემოსავალი შესაბამისობაში არ მოვა საშუალო ხარჯებთან. რაც შეეხება კერძო საქონლის მოხმარებას, იგი მთავრდება, როგორც კი ზღვრული შემოსავალი ზღვრულ ხარჯებს შეესაბამება. ამით როგორც წესი, საზოგადოებრივი საქონლის შემთხვევაში ადგილი აქვს ჭარბ მოხმარებას.

10.3 საქონელთა გაცვლის კოორდინირების განსხვავებული მექანიზმები და მათი შედეგები

ადამ სმიტიდან (1776) მოყოლებული, ეკონომისტები კეთილდღეობის წარმოქმნის მიზეზებს შრომის დანაწილებაში, სპეციალიზაციასა და საქონელთა გაცვლაში ხედავენ. საქონლისა და მომსახურების გაცვლის დროს, ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, განკარგვის უფლებები საქონელთა შორის ნაწილდება. აღნიშნული წესების ფორმირება გავლენას ახდენს შრომის დანაწილების მასშტაბსა და აქედან გამომდინარე, საერთო-ეკონომიკური კეთილდღეობის დონეზე. შემდგომში ეს მოსაზრება საქონლის გაცვლის მარტივი მოდელის ფარგლებში იქნება გამოყენებული. თავდაპირველ, საწყის წერტილს წარმოადგენს რობინზონ კრუზოს ეკონომიკის მოდელი, რომლის თანახმადაც, ცალკეული ინდივიდი მოცემული რესურსების პირობებში ორი საქონლის შეძლებისდაგვარად ეფექტური წარმოების შესახებ იღებს გადაწყვეტილებას. მეორე ინდივიდის გამოჩენის შემთხვევაში, უნდა დარეგულირდეს მათ შორის საქონელთა გაცვლის საკითხი. ამასთან შესაძლებელია სამი შემთხვევა:

- ანარქია წესების გარეშე, როდესაც საქონლის გაცვლა მიტაცების გზით ხორციელდება.
- საქონელთა გაცვლის ცენტრალური დაგეგმვა,
- საქონელგაცვლის საბაზრო მოდელი.

დაკვირვების ობიექტს წარმოადგენს იზოლირებულად მცხოვრები ინდივიდი, რობინზონ კრუზო, რომელიც წარმოების ერთადერთი ფაქტორის – შრომის

საშუალებით ახერხებს ორი სხვადასხვა სახის საქმიანობის შესრულებას, რომლებსაც შედეგად საქონლის წარმოება მოჰყვება. წარმოების პირველ მიმართულებაში, მაგალითად, ქოქოსის კაკლის ძებნის დროს, წარმოების q_1^R შედეგი დამოკიდებულია L_1^R შრომაზე და a_1^R მწარმოებლურობის მუდმივი პარამეტრის შესაბამისი ზომით გამოყენებული შრომის მწარმოებლურობაზე. წარმოების ფუნქცია (10.3) აღნიშნულ კავშირს ასახავს. მეორე წარმოებაში, მაგალითად თხების მოწველის დროს, წარმოების ფუნქციის (10.4) მიხედვით იხარჯება შრომის სხვა ოდენობა და ადგილი აქვს შრომის მწარმოებლურობის სხვა (მუდმივ) a_2^R პარამეტრს. თუ რობინზონ კრუზოს მიერ შესრულებულ შრომის მოცულობას $\overline{L}^R$-ით გამოვსახავთ, მივიღებთ შეზღუდულ რესურსებს (10.5):

$$q_1^R = a_1^R L_1^R \tag{10.3}$$

$$q_2^R = a_2^R L_2^R \tag{10.4}$$

$$L_1^R + L_2^R = \overline{L}^R \tag{10.5}$$

ეს სამი განტოლება შესაძლებელია, შეჯამდეს ერთ განტოლებაში, რომელშიც შრომის მოცემული მოცულობის შემთხვევაში, განისაზღვრება ორივე საქონლის წარმოების შესაძლო ეფექტური კომბინაცია.

$$q_2^R = a_2^R \overline{L}^R - \frac{a_2^R}{a_1^R} q_1^R \tag{10.6}$$

განტოლების (10.6) გრაფიკულ გამოსახვას ასევე (წრფივი) ტრანსფორმაციის მრუდი ეწოდება. საერთო ჯამში არსებული რესურსები გავლენას ახდენენ ტრანსფორმაციის მრუდის მდებარეობაზე. მათი დახრა, (საქონლის) ტრანსფორმაციის ზღვრული ნორმა, პირიქით, მხოლოდ პროდუქტიულობის პარამეტრების ურთიერთობაზეა დამოკიდებული. ვინაიდან შრომის მწარმოებლურობის დონე, ამ ფაქტორის ფასის მოცემულობის შემთხვევაში წარმოების ნებისმიერ მიმართულებაში წარმოების აბსოლუტური ხარჯების ოდენობას განსაზღვრავს, მწარმოებლურობის პარამეტრების ურთიერთობა წარმოების ორივე მიმართულებაში საქონლის წარმოების შედარებითი ხარჯების გამოხატულებას წარმოადგენს. იგი მიუთითებს, თუ საქონლის რამდენ ერთეულზე უნდა თქვას უარი რობინზონ კრუზომ, თუ მას თავისი შრომის სრული გამოყენების შემთხვევაში, სხვა საქონლის მეტი ერთეულის წარმოება სურს. ტრანსფორმაციის ზღვრული ნორმა ზომავს საქონლის წარმოების ალტერნატიულ ხარჯებს წარმოების ორივე მიმართულებაში. იგულისხმება, რომ რობინზონ კრუზო განსაზღვრულ ორ სხვადასხვა საქონელს ტრანსფორმაციის მრუდზე აღნიშნული წერტილის შესაბამისად მარტო აწარმოებს.

საქონლის გაცვლისა და შრომის დანაწილების ანალიზისათვის საჭირო მსგავსი ტრანსფორმაციის მრუდის მქონე კიდევ ერთ ინდივიდზე დაკვირვება:

$$q_2^F = a_2^F \overline{L}^F - \frac{a_2^F}{a_1^F} q_1^F \tag{10.7}$$

სავარაუდოდ, ავიღოთ რობინზონის მეგზური პარასკევა, რომელსაც ასევე შეუძლია ორივე საქონლის – ქოქოსის კაკლისა და თხის რძის წარმოება, თუმცა მისი სამუშაო ძალა $\overline{L}^R$ და შრომის მწარმოებლურობის a_1^F და a_2^F პარამეტრები რობინზონის სამუშაო ძალისა და შრომის მწარმოებლურობის პარამეტრებისგან განსხვავდება. შესაბამისად, არსებობს დიდი ალბათობა, რომ ტრანსფორმაციის

ზღვრული ნორმაც და აქედან გამომდინარე, საქონლის წარმოების ალტერნატიული ხარჯები (*opportunity costs*), რობინზონის და პარასკევას შემთხვევაში, განსხვავებული იქნება. ნახაზზე 10.2. ტრანსფორმაციის ორივე მრუდი სხვადასხვა მდებარეობითა და დახრით არის წარმოდგენილი.

რობინზონსა და პარასკევას შორის ურთიერთთანამშრომლობის პირველ ფორმად შესაძლებელია, წარმოვიდგინოთ ერთის მიერ მეორეს საქონლის უნებართვო მისაკუთრება, ანუ მიტაცება. თუ რობინზონი თავის სამომხმარებლო შესაძლებლობებს თავისსავე საკუთარი წარმოების შედეგთან შედარებით, მიტაცების გზით გაზრდის, ორივე ინდივიდის გაერთიანებული წარმოებისა და მოხმარების შესაძლებლობები მცირე დროით უცვლელი დარჩება. ეს მოცემულობა კარგად ჩანს ნახაზზე 10.3. აღნიშნულ სიტუაციაში, პარასკევას სამომხმარებლო შესაძლებლობები, მიღებული დაგეგმილი შრომის გამოყენებით, დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს.



ნახაზი 10.2: რობინზონისა და პარასკევას ტრანსფორმაციის მრუდები

ტრანსფორმაციის მრუდებზე კარგად ჩანს, თუ რა შესაძლებლობებს ფლობს ორივე ინდივიდი, იმისათვის, რომ თავიანთი რესურსებით ორივე საქონლის – საქონელი 1-ისა და საქონელი 2-ის, ალტერნატიული პაკეტი აწარმოონ. ტრანსფორმაციის მრუდებზე აღნიშნული წერტილები მიუთითებენ ეფექტური წარმოების შესაძლებლობებზე, ტრანსფორმაციის მრუდების მარცნივ აღნიშნული წერტილები-არაეფექტური საქონლის პაკეტზე, ხოლო ტრანსფორმაციის მრუდების მარჯვნივ მოცემული წერტილების მიღწევა არსებული რესურსებით შეუძლებელია. ტრანსფორმაციის მრუდების დახრა გამოხატავს ერთი საქონლის წარმოების ალტერნატიულ ხარჯებს, მოცემულს მეორე საქონლის ერთეულებში.



ნახაზი 10.3: საქონლის გადაცემა მიტაცების გზით

მიტაცება ზრდის ერთი ინდივიდის საქონლის პაკეტს მეორე ინდივიდის ხარჯზე ანაზღაურების გარეშე.

უფრო ხანგრძლივი დროის პერსპექტივაში, უნდა ვივარაუდოთ, რომ პარასკევას რეაქცია მიტაცებაზე მისი საერთო სამუშაო დროის შეზღუდვა იქნება, რაც გამოიწვევს ორივე ინდივიდის გაერთიანებული წარმოებისა და სამომხმარებლო შესაძლებლობების შემცირებას. ასევე სავარაუდოა, რომ რობინზონიც შეამცირებს თავის შრომას, ვინაიდან მას შეუძლია, თავისი სამომხმარებლო შესაძლებლობები პარასკევას ხარჯზე გაზარდოს. ურთიერთთანამშრომლობის არასაკმარისი რეგულაცია და ექსტრემალურ სიტუაციაში საქონლის მიტაცება, ერთი ინდივიდისათვის უკეთეს სიტუაციას ქმნის, თუმცა ორივესთვის, ყველა შემთხვევაში, უარესი პირობები იქმნება იმ საწყის წერტილთან შედარებით, როდესაც ორივე იზოლირებულ პროდუქციას აწარმოებდა.



ნახაზი 10.4: საქონლის განაწილება ცენტრალური დაგეგმვის გზით

ცენტრალური დაგეგმვა იძლევა საშუალებას, რომ საქონლის წარმოება და მათი გაცვლა ისე განხორციელდეს, რომ ორივე ინდივიდმა შეძლოს ავტარკიის საპირისპიროდ თავისი არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება. პუნქტ A-სთან წარმოებაში სპეციალიზაციით და გაცვლითი ურთიერთობის გამოყენებით (AB წრფეების), რომლებიც წარმოების ინდივიდუალურ ალტერნატიულ ხარჯებზე ნაკლებ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ორივე ინდივიდი ზრდის თავის სამომხმარებლო შესაძლებლობას წარმოების შესაძლებლობებთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში, ახალი სამომხმარებლო ოდენობა დაახლოებით, პუნქტ B-სთან მდებარეობს. ღია ფერის ფართობი კი აღნიშნავს გაყიდულ რაოდენობას.

მიტაცების ეფექტურ ალტერნატივას წარმოადგენს ორივე ინდივიდის მიერ შეთანხმებული საერთო ცენტრალური გეგმის შემუშავება, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იქნებოდა მათი რესურსების უკეთ გამოყენების რა შესაძლებლობა არსებობდა მოცემული შრომის მწარმოებლურობის პირობებში. ისინი მივიდოდნენ დასკვნამდე, რომ საქონლის წარმოების სხვადასხვა ალტერნატიული ხარჯები იმაზე მეტყველებენ, რომ თითოეული ინდივიდი მხოლოდ ერთი საქონლის წარმოებით უნდა დაკავდეს, კერძოდ კი იმ საქონლის წარმოებით, რომლის შემთხვევაშიც, ინდივიდს შედარებით ნაკლები ალტერნატიული ხარჯები ექნება.

რობინზონი, მაგალითად მხოლოდ ქოქოსის კაკლის ძებნით, ხოლო პარასკევა მხოლოდ თხის წველით იქნებოდა დაკავებული, როგორც ეს ასახულია ნახაზზე 10.4. მსგავსი სპეციალიზაციის წინაპირობას წარმოების შედეგების გაც-

ვლის შესახებ შეთანხმება წარმოადგენს. კერძოდ ისე, რომ ორივე საქონლის გაცვლითი ურთიერთობა წარმოების ალტერნატიული ხარჯებისგან განსხვავებული იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში აღმოჩნდება ცენტრალურად დაგეგმილი გაცვლა ორივე ინდივიდისათვის საინტერესო, ვინაიდან ამ გზით იზრდება ორივე ინდივიდის სამომხმარებლო შესაძლებლობები წარმოების შესაძლებლობებთან მიმართებაში. როგორც ეს ნახაზზე ჩანს, თითოეული ინდივიდისათვის ორივე საქონლის ხელმისაწვდომი სამომხმარებლო პაკეტი ტრანსფორმაციის მრუდის მიღმა ავტარკიასთან მდებარეობს.

წარმოებისა და მოხმარების ცენტრალური დაგეგმვა, ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, ხარჯების გარეშე როდი ხდება. ინსტიტუციური მარეგულირებელი მექანიზმის შექმნა ტრანზაქციის ხარჯებთან არის დაკავშირებული. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მთლიანობაში ხელმისაწვდომი რესურსების მოპოვების ხარჯები და ორივე ინდივიდის შრომის მწარმოებლურობა ინდივიდუალური ალტერნატიული ხარჯების დასადგენად. შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს კონტროლი იმისა, თუ რამდენად ხდება რეალურად დაგეგმილი საქონელგაცვლა გათვალისწინებული გაცვლითი ურთიერთობის პირობებში. ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე მიტაცებიდან მოწესრიგებულ, ცენტრალურ დაგეგმვაზე გადასვლა შესაბამისად, მხოლოდ მაშინ არის მიზანშეწონილი, როდესაც დარეგულირებული საქონლის გაცვლით მიღებული კეთილდღეობის მომტანი მოგება, მოსამზადებელ, საორგანიზაციო და კონტროლთან დაკავშირებულ ხარჯებს აღემატება.

ცენტრალური დაგეგმვის ალტერნატივას, რობინზონსა და პარასკევას შორის საქონლის ორმხრივი გაცვლა წარმოადგენს. ამასთან თითოეული ინდივიდი კვლავ დაკავებულია იმ საქონლის წარმოებით, რომელიც შედარებით მცირე ალტერნატიულ ხარჯებთან იქნება დაკავშირებული და წარმოების შედეგები გაიცვლება იმ პირობით, რომელიც მიწოდებისა და მოთხოვნის გზით, ბაზარზე ყალიბდება. გაცვლა მხოლოდ მაშინ ღირს, როდესაც საბაზრო ფასის პირობა, როგორც ეს ნახაზზე 10.5 ჩანს, განსხვავდება წარმოების ინდივიდუალური ალტერნატიული ხარჯებისგან.



ნახაზი 10.5: პროდუქტების განაწილება საბაზრო გაცვლის გზით

ავტარკიაში ინდივიდებს საბაზრო გაცვლის საშუალებითაც შეუძლიათ, გაზარდონ თავიანთი სამომხმარებლო შესაძლებლობები წარმოების შესაძლებლობებთან მიმართებაში. რობინზონის სპეციალიზაცია შემოიფარგლება საქონელი 1-ის, ხოლო პარასკევას – საქონელი 2-ის წარმოებით. გაცვლის

იმ პირობით, რომელიც მდებარეობს ინდივიდუალური ტრანზაქციის ხარჯებს შორის, ორივე ინდივიდს ორივე საქონლისგან მეტის მოხმარება შეუძლია.

გაცვლის პირობა რაც უფრო ახლოს მდებარეობს ინდივიდუალური ტრანზაქციის ხარჯებთან, მით ნაკლებია გაცვლის შედეგად მიღებული კეთილდღეობის მომტანი მოგება. პრინციპში, საბაზრო გაცვლის გზით, ორივე ინდივიდისათვის იგივე მთლიანი მოგების მიღებაა შესაძლებელი, რაც ცენტრალური დაგეგმვის შემთხვევაში იქნებოდა მოსალოდნელი. თუმცა განსხვავება იქნებოდა ტრანზაქციის სპეციფიკურ ხარჯებში, და, შესაბამისად, წმინდა მოგებასა და გრძელვადიან მასტიმულირებელ გავლენებში. საბაზრო გაცვლა არსებული რესურსების მოსაპოვებლად და მწარმოებლურობის თვალსაზრისით, ნაკლებ ხარჯებთან, ხოლო ორმხრივი გაცვლითი ხელშეკრულებების შექმნის, განხორციელებისა და კონტროლის თვალსაზრისით, დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბაზარზე არსებული ფასის შესახებ ინფორმაციის სანდოობას. იგი არ უნდა იყოს დამახინჯებული არც საბაზრო ძალაუფლების მქონე ბაზრის ცალკეული მონაწილის მხრივ და არც ინფლაციის შედეგად. ბაზარზე ორივე ინდივიდის კონკრეტული ქმედებებისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი საქონლის ფასების რყევები, დაკავშირებულია მოსალოდნელი კეთილდღეობის მომტანი მოგების კალკულაციისას წარმოქმნილ რისკებთან. აღნიშნული რისკებისგან დაზღვევაც საქონლის გაცვლის ტრანზაქციის ხარჯებს წარმოადგენს. მათ შესაძლოა, ხელი შეუწყონ ახალი, მაგალითად ფიუჩერსული (სამომავლო) ვაჭრობის ან დაზღვევისათვის საჭირო ბაზრების გაჩენას, ან აშკარა საბაზრო ხარვეზების შემთხვევაში, გამოიწვიონ სახელმწიფო ქმედებების აუცილებლობა.

10.4 იდეალური ტიპის ეკონომიკური წესრიგები

ინსტიტუციური ეკონომიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეკონომიკური ქმედებები ხორციელდება საზოგადოებრივი, პოლიტიკური და სამართლებრივი წესების მიხედვით, რომლებიც ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ. ეკონომიკური წესრიგის თეორია ცდილობს, აღწეროს ეკონომიკური მოვლენების ინსტიტუციური ჩარჩო პირობები და გაანალიზოს მათი გავლენა ეკონომიკურ პროცესებზე. აღნიშნულიდან გამომდინარეობს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა ჩამოყალიბდეს, გაფართოვდეს და შეიცვალოს ნორმები, ინსტიტუციები და კომპეტენციები, იმისათვის, რომ შეიქმნას შეთანხმებული წესრიგის პოლიტიკის ერთიანი კონცეფცია.

ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის თეორიული ანალიზის წინაპირობას წარმოადგენს ისეთი კრიტერიუმების განვითარება, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი იქნება წესრიგის ჩარჩო პირობებისა და ეკონომიკურ მოვლენებს შორის ურთიერთობების კვლევა. საკუთრებისა და განკარგვის უფლების ანალიზიდან შესაძლებელია, გამომდინარეობდეს ორი პოლარულად საპირისპირო – კერძო საკუთრებისა და კოლექტიური საკუთრების ფორმა. მათ საუძველზე აგებულ ეკონომიკურ სისტემებს, შესაბამისად, კაპიტალიზმი და სოციალიზმი ეწოდება. რაც შეეხება, წესრიგის ნეოლიბერალურ თეორიას, რომლის განვითარებაც ძირითადად ვალტერ ოიკენის სახელს (1952) უკავშირდება, აქ

კი პირიქით, წინა პლანზეა წამოწეული შრომის დანაწილების მექანიზმების კოორდინაცია. ამასთან, მოსაზრებები, რომელთა საფუძველს რობინზონის მოდელი წარმოადგენს, უფრო განზოგადოებულია. კოორდინაციის პრობლემის ინსტიტუციური გზით გადაჭრისას, განასხვავებენ ორ პოლარულად დაპირისპირებულ შემთხვევას. ჯერ ერთი, შესაძლებელია ინდივიდუალური გეგმების გაერთიანება ერთობლივ სამეურნეო გეგმაში. მეორე, ცენტრალური დაგეგმვის ინსტიტუცია უზრუნველყოფს ცალკეული გეგმების ურთიერთშეთანხმებას, აგრეთვე ალოკაციისა და განაწილების შესახებ გადაწყვეტილებების გეგმაზომიერ რეალიზაციას. მსგავსი ცენტრალიზებულად მართვადი ან გეგმური ეკონომიკის ფარგლებში, ეკონომიკური სუბიექტების ინდივიადულური ქმედებები ორიენტირებული უნდა იყოს ძირითადი დაგეგმვის კრიტერიუმებზე. ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკის საკოორდინაციო მოდელის წინაპირობაა, რომ ცენტრალური დაგეგმვა მაქსიმალურად სრულყოფილად ითვალისწინებდეს ეროვნულ ეკონომიკაში ხელმისაწვდომ რესურსებს და არსებობდეს ინდივიდუალური გეგმები. სასაქონლო-ფულად გაცვლით ურთიერთობებზე დამყარებულ საბაზრო ეკონომიკაში კი ცალკეული გეგმების კოორდინაცია, პირიქით, დეცენტრალიზებულია. ბაზრებზე საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ფასწარმოქმნით ხდება ეკონომიკური სუბიექტების მიწოდებისა და მოთხოვნის სურვილების დაახლოება. ასე, რომ საბაზრო ეკონომიკის საკოორდინაციო მოდელის წინაპირობას წარმოადგენს ბაზრების არსებობა და საბაზრო ფასწარმოქმნის შეუფერხებელი ფუნქციონირება.

	საბაზრო ეკონომიკა (სასაქონლო-ფულად გაცვლით ურთიერთობებზე დამყარებული ეკონომიკა)	გეგმური ეკონომიკა (ცენტრალიზებულად მართვადი ეკონომიკა)
კაპიტალიზმი	კერძო საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია	კერძო საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა
სოციალიზმი	კოლექტიური საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია	კოლექტიური საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა

ნახაზი 10.6: წესრიგის თეორიული ანალიზის კრიტერიუმები და წესრიგის თეორიის კონცეფციები

ორივე კრიტერიუმის ორი სხვადასხვა ფორმის კომბინაციის გზით, წარმოიქმნება წესრიგის თეორიის ოთხი ძირითადი კონცეფცია.

ყველაზე მარტივ შემთხვევაში, პოლარულად განსხვავებული ფორმების კომბინაციიდან, რომლებიც წესრიგის თეორიული ანალიზის ორივე ძირითად კრიტერიუმთან კავშირში მიიღება, განასხვავებენ წესრიგის ოთხ კონცეფციას. ისინი გამოსახულია ნახაზზე 10.6. შემდგომში განხილული იქნება მათი ფორმირების ძირითადი პრინციპები და ფუნქციონირების პრობლემები.

ამ თავის დასკვნით ნაწილში განხილულია საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ განსხვავდებიან ასე მკაფიოდ ერთმანეთისაგან საერთაშორისო დონეზე კონკრეტული ინსტიტუციური ჩარჩო პირობები, რომლებშიც განსაზღვრული ეკონომიკური წესრიგები ფორმირდება.

10.4.1 კერძო საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია

საბაზრო ეკონომიკის მახასიათებლად მიჩნეულია მიწოდებისა და მოთხოვნის ინდივიდუალური გეგმების დეცენტრალიზებული კოორდინაცია. კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის წესრიგის თეორიის კონცეფციაში, როგორც ეს სრულყოფილად აღწერილია ადამ სმიტის შრომებში (1776), წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება განსაკუთრებულად უზრუნველყოფს წარმოებისა და ინვესტიციების დეცენტრალიზებულ დაგეგმვას. კაპიტალმფლობელების მოგებისკენ სწრაფვამ და წარმოების მართვის თვალსაზრისით, მათ მიერ განხორციელებულმა საქმიანობამ უნდა უზრუნველყოს მომხმარებლების სამომხმარებლო სურვილებზე საქონლის მიწოდების შეძლებისდაგვარად მაქსიმალური ორიენტირება და საწარმოო ფაქტორების ოპტიმალური გამოყენება. დღეისათვის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, თუმცა ასევე განვითარებადი და გარდამავალი ქვეყნების უმეტესობაში, წარმოდგენილია ეკონომიკური წესრიგები, რომლებიც უახლოვდებიან წესრიგის აღნიშნულ მოდელს.

იმისათვის, რომ ინდივიდუალური დაგეგმვიდან და გადაწყვეტილებებიდან წარმოიშვას საერთო ეკონომიკური ოპტიმალური ვარიანტი, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის მოდელში საბაზრო ფასებმა რამდენიმე ფუნქცია უნდა შეასრულონ. პირველ რიგში, ფასწარმოქნის პროცესმა საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ყველა ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნის გათანაბრება და, შესაბამისად, ყველა მოცემულ შემთხვევაში, საუკეთესო საბაზრო მომარაგება უნდა უზრუნველყოს. ცალკეული ფასის ცვლილებანი, რომლებიც ფასების სტრუქტურის ცვლილებას განაპირობებენ, უნდა იყოს სიგნალის მიმცემი ცალკეული საქონლისა და ფაქტორის დეფიციტის თაობაზე. იმის გამო, რომ ფასები გვაწვდიან ინფორმაციას მიწოდებისა და მოთხოვნის ცვლილებების შესახებ, ისინი ქმნიან წინაპირობას, რომ მოგებისკენ მეწარმის სწრაფვა ხელს შეუწყობს ინდივიდუალური საწარმოო და საინვესტიციო გეგმების ადაპტაციას. საბაზრო ფასებზე საწარმოების მოგების დამოკიდებულება იმავდროულად ხელს უწყობს ინვესტიციების განხორციელებას. მათი საშუალებით შესაძლებელია, მოცემული გასაყიდი ფასის შემთხვევაში, საწარმოო ხარჯების შემცირება ან წარმოების ინოვაციების შემთხვევაში, ახალი ბაზრების გაჩენა, რომლებზეც შესაბამისი მოთხოვნის პირობებში, შესაძლებელია მაღალი გასაყიდი ფასის მიღწევა.

კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში საბაზრო ფასების გათანაბრების, სასიგნალო და მართვის ფუნქციების წინაპირობაა, ნებისმიერ მომენტში ფასწარმოქმნის პროცესი წარიმართოს რეგულირების გარეშე და ბაზარზე უპირველესად მიწოდების და, აგრეთვე, მოთხოვნის მხარეს კონკურენცია არსებობდეს. შეძლებისდაგვარად, ყველა პოტენციურ მიმწოდებელსა თუ მომხმარებელს უნდა ჰქონდეს თავისუფალი წვდომა საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ბაზრებზე და საბაზრო გარიგებებში პარტნიორის არჩევისას არანაირ შეზღუდვას არ უნდა აწყდებოდეს. ამასთან, ცალკეული საბაზრო ფასისა თუ მისი სტრუქტურის შესახებ ინფორმაცია, არ უნდა იყოს ზოგადი ფასების დონის ინფლაციური ცვლილებებით დამახინჯებული.

ჯერ კიდევ ეროვნული ეკონომიკის კლასიკოსები თანხმდებოდნენ იმაზე, რომ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში მოგებაზე ინდივიდუალურმა სწრაფვამ კერძო მეწარმეს შესაძლოა უბიძგოს იმისკენ, რომ საბაზრო კონკურენციის ზეწოლას კონკურენტებთან მოლაპარაკების გზით დააღწიოს თავი. მარქსიზმის თვალსაზრისით, გარდაუვალი ჩანდა, რომ წარმოების საშუალებებ-

ზე კერძო საკუთრება მოგებისკენ სწრაფვასთან ერთად გამოიწვევდა ეკონომიკური ძალაუფლების კონცენტრაციას, სამუშაო ძალის ექსპლუატაციასა და მუდმივად განმეორებად ეკონომიკურ კრიზისს. კეინზიანური თეორია ყურადღებას ამახვილებდა კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის დასაქმების კრიზისისადმი მიდრეკილებაზე, მოთხოვნის კონიუნქტიურული რყევების გამო. წესრიგის აღნიშნული კონცეფციის თანამედროვე კრიტიკოსების აზრით, მოგებისკენ ინდივიდუალური სწრაფვა პასუხისმგებელია „ბუნებრივი გარესამყაროს პროგრესირებად განადგურებაზე“.

საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის თეორია ამის საწინააღმდეგოდ აცხადებს, რომ კონკურენციის, სოციალური, განაწილების, კონიუნქტიურისა და გარემოს დაცვის პოლიტიკის შესაბამისი ღონისძიებების გატარებით, შესაძლებელია მსგავსი არასასურველი განვითარებების თავიდან აცილება. თეორიაში ასევე ხაზგასმულია ის პრობლემები, რომლებიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს სახელმწიფოს მზარდ გავლენასთან ეკონომიკურ მოვლენებზე. ასე რომ, ერთი მხრივ, არსებობს საფრთხე იმისა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები თავიანთ გადაწყვეტილებებში ხელმძღვანელობდნენ არა მხოლოდ საერთო-ეკონომიკური, არამედ იმავდროულად ინდივიდუალური მიზნებით. მეორე მხრივ, ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევის გზით, შესაძლოა, საკუთრების უფლებებისა და მასტიმულირებელი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდეს და ასევე ფასწარმოქმნის პროცესში ხელისშემშლელი ფაქტორები გაჩნდეს, რომლებიც კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების დამატებით პრობლემებს წარმოშობს. აქედან გამომდინარე, წესრიგის ნეოლიბერალური თეორია კატეგორიულად უარყოფს სახელმწიფოს მხრიდან ყოველგვარი კონცეფციის გარეშე ინტერვენციას, რასაც, მაგალითად ადგილი ჰქონდა გერმანიაში მე-19 საუკუნის ბოლოდან მოყოლებული და რომლის უარყოფითი გავლენის ანალიზიც განსაკუთრებით *von Mises* (1929) სახელთან არის დაკავშირებული. იგი მოუწოდებს, მხოლოდ ისეთი ღონისძიებების გატარებისკენ, რომლებიც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების პრინციპებთან თანხვედრაშია.

10.4.2 კერძო საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა

კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგები შესაძლებელია ასევე არსებობდეს დაგეგმვის კომპეტენციების ძლიერ ცენტრალიზაციასთან კავშირში. ცენტრალური საწარმოო და საინვესტიციო გეგმები, რომლებსაც საბაზრო მექანიზმები ნაწილობრივ ან სრულად გამოყავთ მწყობრიდან, კვლავინდებურად მხოლოდ პოლიტიკურად გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენებოდა. ამის მაგალითებს წარმოადგენს გერმანიაში პირველი და მეორე მსოფლიო ომის დროს, შემუშავებული ეკონომიკის მართვის კონცეფციები, რომელთა თანახმადაც, კერძო საკუთრება პრინციპულად იქნა შენარჩუნებული. იმავდროულად, ცენტრალური დაგეგმვა ემსახურებოდა მიზანს, რომ არსებული რესურსები უპირატესად თავდაცვის ინდუსტრიისთვის გამოყენებულიყო. ვინაიდან, წესრიგის მსგავსი კონცეფციები საბაზრო ფასის სასიგნალო და მართვის ფუნქციების საფუძველზე არ იქმნება და შესაძლოა, სახელმწიფოს მხრიდან ფასების კონტროლთან ან ფასების დადგენასთანაც კი იყვნენ კავშირში. ისინი შეიცავენ ფარულ რისკებს, ხელი შეუშალონ მიწოდებისა და მოთხოვნის ბალანსს და ამით, საქონლის ნორმირება გამოიწვიონ.

მეორე მხრივ, კაპიტალისტურ საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგებში გაფართოებული ცენტრალური დაგეგმვის აუცილებლობა ხშირად, საბაზრო ფასის მართვის ფუნქციისადმი უნდობლობით საბუთდება. ამ თვალსაზრისით, მცდარი ინვესტიციების საფრთხისა და ეკონომიკური სტრუქტურის კრიზისის თავიდან აცილება შესაძლებელია იმით, რომ განსაკუთრებით საინვესტიციო დაგეგმვა არა მხოლოდ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მიმღებებზე იყოს მინდობილი, არამედ პროცესში ჩართული იყოს ასევე ცენტრალური დაგეგმვაც. ვინაიდან, ეს უკანასკნელი არ არის დამოკიდებული ინდივიდუალური მოგებისაკენ სწრაფვაზე, მან უნდა დააჩქაროს სტრუქტურული ცვლილებები და უზრუნველყოს ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა. ცენტრალური დაგეგმვის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ეკონომიკური მოთხოვნილებების სტრუქტურის შესახებ სამომავლო პროგნოზის გაკეთება და მისი დაკმაყოფილებისათვის საჭირო საქონლის წარმოების შექმნა, რის მიხედვითაც განსაზღვრული იქნება წარმოების ცალკეული დარგებისათვის საჭირო ინვესტიციების მოთხოვნა. კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ფარგლებში, მსგავსი სექტორული საინვესტიციო დაგეგმვის მაგალითებს იძლევა საფრანგეთში, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ შემუშავებული ე.წ. ინდიკატიური დაგეგმვის მოდელი, მრავალ განვითარებად ქვეყანაში ამოქმედებული განვითარების გეგმა ან ასევე მრავალ განვითარებულ ქვეყანაში სტრუქტურული პოლიტიკის შესახებ მსჯელობის შედეგად ჩამოყალიბებული, გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი კონცეფციები.

სექტორული საინვესტიციო გეგმის თითოეული კონცეფციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს საკოორდინაციო გეგმის ისეთი მექანიზმების შექმნა, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი გახდება მეწარმეთა ინდივიდუალური საინვესტიციო გეგმების სახელმწიფოს ცენტრალურ საინვესტიციო გეგმასთან და მის სხვადასხვა განშტოებებთან თანხვედრაში მოყვანა. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემთხვევაში სახელმწიფო და კერძო გეგმების დაახლოება შესაძლებელია მხოლოდ ინდივიდუალურ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე ირიბი გავლენის გზით. ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან ინვესტიციების არაპირდაპირი გზით მართვის საშუალებებს განეკუთვნებიან შერჩევითი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, სელექციურად მოქმედი საგადასახადო პოლიტიკის ღონისძიებები, სუბსიდირება, საფასო პოლიტიკაში ჩარევები, ასევე სექტორული მოთხოვნის მართვა, განსაკუთრებით, სახელმწიფო სექტორიდან დაკვეთების მიზანმიმართული გაცემის გზით. აქედან გამომდინარე, კერძო მეწარმეებს შეუძლიათ უშუალო მონაწილეობა მიიღონ ცენტრალური საინვესტიციო გეგმის შექმნაში, რათა, ურთიერთშეთანხმებისა და სახელმწიფოსთან შეთანხმების გზით საწყის ეტაპზევე განხორციელდეს საინვესტიციო მიზნების კოორდინაცია.

სექტორული საინვესტიციო დაგეგმვის კონცეფციის ფუნქციურმა პრობლემებმა, შესაძლოა, თავი იჩინონ, როდესაც ცენტრალურ საგეგმო უწყებასთან არსებული შეთანხმების მიუხედავად, კერძო მეწარმეები საბაზრო მოვლენების ცვლილებებზე მოქნილად რეაგირებენ. ეკონომიკური პოლიტიკის სელექციური ინსტრუმენტების მასობრივი გამოყენების გზით, ინდივიდუალურ საინვესტიციო გეგმებზე გავლენა იწვევს სახელწიფოს მაღალ საფინანსო მოთხოვნებს, რომლის დაფარვაც შესაძლებელია მხოლოდ ფულის ემისიით, რომელიც, თავის მხრივ, ინფლაციას უწყობს ხელს. სახელმწიფოს მხრიდან, საინვესტიციო გეგმების შეთანხმების მიზნით, მეწარმეთა თანამშრომლობის წახალისება კონკურენციის შეზღუდვას იწვევს, რაც უარყოფითად მოქმედებს სამომხმარებლო ბაზრების უზრუნველყოფასა და ინოვაციების დანერგვაზე. და ბოლოს, ცენტრა-

ლურ სახელმწიფო პროგნოზზე დაყრდნობითაც არ არსებობს იმის გარანტია, რომ თავიდან აცილებული იქნება სტრუქტურული კრიზისი.

10.4.3 კოლექტიური საკუთრება და ცენტრალური დაგეგმვა

ცენტრალიზებულად მართვადი გეგმური ეკონომიკისათვის დამახასიათებელია ინდივიდუალური გეგმების კოორდინაცია ცენტრალური სახელმწიფო საგეგმო უწყების მიერ. სოციალისტური გეგმური ეკონომიკური წესრიგის მოდელში წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრება უზრუნველყოფს საწარმოო და საინვესტიციო გეგმებზე ცენტრალური საგეგმო უწყების კონტროლს და წარმოების შედეგების განაწილებას. ვინაიდან წარმოებისა და ინვესტიციების ცენტრალური დაგეგმვა ასევე მოხმარებისათვის განკუთვნილი საქონლის მოცულობასა და სტრუქტურაზეც ვრცელდება, თავს იჩენს პრობლემა, რამდენად და რა ფორმით არის შესაძლებელი მომხმარებელთა ინდივიდუალური გეგმების გათვალისწინება საერთო-სახელმწიფო გეგმის შედგენის დროს.

სოციალისტური გეგმური ეკონომიკა თავისუფალი სამომხმარებლო არჩევანის გარეშე შესაძლებელია განხილულ იქნას, წესრიგის თეორიის თვალსაზრისით, როგორც ექსტრემალური შემთხვევა. მისთვის დამახასიათებელია, ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის შეფასებისა და პროგნოზირების საფუძველზე, არა მარტო წარმოებისა და ინვესტიციების, არამედ ასევე კერძო მოთხოვნისათვის განკუთვნილი საქონლის სრულყოფილი ცენტრალური დაგეგმვაც. ამასთან, ცალკეული ეკონომიკური სუბიექტებისათვის განსაზღვრულია სამომხმარებლო პროდუქტების გარკვეული რაოდენობა, რომელთა შეძენაც შესაძლებელია ტალონების საშუალებით. მსგავსი ეკონომიკური წესრიგის პირობებში საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ფასები, ისევე, როგორც ფული, უფუნქციოა. 1918-1921 წლებში საბჭოთა კავშირში მოქმედი სამხედრო კომუნიზმის სისტემა, ძალიან ჰგავდა აღნიშნული წესრიგის მოდელს.

გეგმურ ეკონომიკაში, თავისუფალი სამომხმარებლო არჩევანით, კერძო მოხმარება სახელმწიფოს ერთიან გეგმაში მხოლოდ ეკონომიკური გლობალური სიდიდის სახით არის წარმოდგენილი. მაშინ, როდესაც სამრეწველო საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ფასები ცენტრალური გეგმის მიხედვით განისაზღვრება, სამომხმარებლო პროდუქტების ფასებმა, პრინციპში, შესაძლებელია, ცენტრალიზებულად დაგეგმილი საქონლის მიწოდებასა და ინდივიდუალურად დაგეგმილ მოთხოვნას შორის დამბალანსებლის ფუნქცია შეასრულონ. თუმცა, სოციალურ-პოლიტიკური მოსაზრებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხშირად აკონტროლებს სამომხმარებლო პროდუქტების ფასებს. მათი მაქსიმალურ ფასებად მიჩნევის შემთხვევაში, ცალკეულ ბაზრებზე მოსალოდნელია ჭარბი მოთხოვნის წარმოქმნა.

სოციალისტური გეგმური ეკონომიკის მოდელის მნიშვნელოვანი ფუნქციური პრობლემების საფუძველს წარმოადგენს ფასების სისტემის სასიგნალო და მართვის ფუნქციის უარყოფა და მოგებაზე ორიენტირების ნაცვლად, ცალკეული საწარმოს მიზანმიმართული სწრაფვა გეგმის შესრულებისაკენ. აღნიშნული მოდელი 20-იანი წლების ბოლოდან საფუძვლად ედო საბჭოთა კავშირის ეკონომიკურ სისტემას. იმის გამო, რომ ინფორმაცია მოთხოვნასთან დაკავშირებული ცვლილებების შესახებ საგეგმო უწყების მმართველ ჯგუფს დაგვიანებით მიეწოდება, ხანგრძლივი დროის მანძილზე, შესაძლებელია, წარმოიშვას

მომარაგების დეფიციტი. ცალკეულ საწარმოს, მეორე მხრივ, არ ამოძრავებს სტიმული, მოქნილად მოახდინოს რეაგირება მომხმარებელთა სურვილებთან დაკავშირებულ ცვლილებებზე, მინიმუმამდე დაიყვანოს საწარმოო ხარჯები, ან დანერგოს ინოვაციები. მცდელობა იმისა, რომ ცენტრალური დაგეგმვა გაცილებით მეტად იყოს ორიენტირებული მომარაგების დეფიციტის თავიდან აცილებაზე ან ფასების პოლიტიკა გამოყენებულ იქნას ცენტრალური გეგმის შექმნის და მასში ცვლილებების შეტანის მიზნით, მოითხოვს სხვადასხვა ცალკეული გეგმის ხელახლა შეთანხმებას, რაც დაკავშირებულია სირთულეებთან და დიდ დროს მოითხოვს. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ სახელწიფოს მიერ განსაზღვრულ ფასების სისტემას არ შეუძლია საქონლის დეფიციტის შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდება.

განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენს გეგმის შედგენისა და მისი განხორციელებისათვის საჭირო ბიუროკრატია, რომელიც, როგორც წესი, გაცილებით მეტია, ვიდრე საბაზრო-ეკონომიკურ სისტემაში. ამავდროულად, სოციალისტური გეგმური ეკონომიკის მოდელი, როგორც წესი, ინტეგრირებულია პოლიტიკურ სისტემაში, რომელიც აგებულია ერთადერთი პარტიის ავტოკრატიულ მმართველობაზე. პოლიტიკური კონკურენციის არარსებობის გამო, ადგილი აქვს მნიშვნელოვანი სანქციების ნაკლებობას, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი იქნებოდა, დაძლეულიყო დაგეგმვასთან დაკავშირებული ბიუროკრატიის სწრაფვა, საერთო-ეკონომიკური დაგეგმვის პროცესში, მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობის შესახებ.

და ბოლოს, სოციალისტური გეგმური ეკონომიკის ფუნქციონირების პრობლემები თავს იჩენს ასევე იმის გამო, რომ საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები საბაზრო-ეკონომიკურ სისტემებში არ ექვემდებარება მკაცრად განსაზღვრულ დაგეგმვას. მსოფლიოს მასშტაბით მიმდინარე ეკონომიკური ინტეგრაციის პირობებში შესაძლებელია, შეიქმნას გაურკვევლობის მომენტი, რაც ხელს შეუშლის დაგეგმვის პროცესს. და ბოლოს, გეგმური ეკონომიკური სისტემები საგარეო ვაჭრობის საშუალებით, საერთაშორისო კონიუნქტიურული რყევების გავლენის ქვეშ ექცევიან ისე, რომ მათ არ გააჩნიათ ეკონომიკური პოლიტიკის საჭირო ინსტრუმენტები კონიუნქტიურული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევისათვის.

10.4.4 კოლექტიური საკუთრება და საბაზრო კოორდინაცია

სოციალისტური გეგმური ეკონომიკის განხორციელებასთან დაკავშირებული პრობლემების საფუძველზე, სოციალისტური საბაზრო ეკონომიკის მოდელი კვლავინდებურად პერსპექტიულ ალტერნატივას წარმოადგენს. კოლექტიური საკუთრების შენარჩუნების პირობებში ცალკეულ საწარმოებს უნდა გააჩნდეთ უფლებამოსილება, თავად მიიღონ წარმოებასა და ინვესტიციებთან დაკავშირებული გადაწყვეტილება და საკუთარი პასუხისმგებლობით განსაზღვრონ წარმოების შედეგების განაწილების საკითხი. მოგებაზე ორიენტაციამ ხელი უნდა შეუწყოს მოთხოვნის შესაბამისი მიწოდების დაგეგმვას და არსებული საწარმოო ფაქტორების ეფექტურ გამოყენებას მაშინ, როდესაც კერძო საკუთრების არარსებობამ თავიდან უნდა აგვაცილოს სამუშაო ძალის შესაძლო ექსპლუატაცია.

სოციალისტურ საბაზრო ეკონომიკაში კოლექტიური საკუთრების კონკრეტული ფორმირების თვალსაზრისით, განასხვავებენ ორ მოდელს. 60-იანი

წლების უნგრეთში განვითარებულ დეცენტრალიზების კონცეფციას და 70-იანი წლებიდან ჩინეთში გატარებულ ეკონომიკურ რეფორმებს, რომლებსაც საფუძვლად ედო საწარმოებზე სახელმწიფო საკუთრება, თუმცა დაგეგმვა მათი დირექტორების კომპეტენციაში შედიოდა. რაც შეეხება მოდელს, რომელსაც იუგოსლავიაში საბაზრო სოციალიზმის კონცეფცია ეფუძნებოდა, მხარს უჭერდა წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების ჩამოყალიბების იდეას ისე, რომ აღნიშნული წარმოების საშუალებები საზოგადოებრივი ეკონომიკური სარგებლიანობისათვის საწარმოს თანამშრომლებს ჰქონდათ მინდობილი. საწარმოს თვითმმართველობის ფარგლებში, დასაქმებულებს უნდა აერჩიათ ხელმძღვანელობა და ჩართულიყვნენ საწარმოს პოლიტიკის ძირეული საკითხებების გადაწყვეტაში. თვითმმართველობის საწარმოო ერთეულებს, თავის მხრივ, მონაწილეობა უნდა მიეღოთ საერთო ეკონომიკური მიზნების დასახვაში.

სოციალისტური საბაზრო სისტემის მოდელის ფუნქციონირების პრობლემები, ერთის მხრივ, განპირობებულია საბაზრო ეკონომიკის ფასწარმოქმნის პროცესისათვის საჭირო წინაპირობების არარსებობით. წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებამ შესაძლებელია, ხელი შეუშალოს ახალი საწარმოების შექმნას ან საწარმოების გაერთიანებას და, შესაბამისად, საქონლის ბაზრებზე სხვადასხვა მიმწოდებლებს შორის ჭეშმარიტი კონკურენციის არსებობას. საწარმოს თვითმმართველობაზე დაფუძნებულ ვარიანტში, ცალკეულ საწარმოებს შორის სასურველი და წახალისებული თანამშრომლობა კონკურენციის დინამიკის შესანარჩუნებლად, შესაძლოა, პირიქით, ხელშემშლელი აღმოჩნდეს.

მეორე მხრივ, საწარმოს მოგებაზე ორიენტირებული დაგეგმვის წინაპირობას, პირდაპირი სახელმწიფო ჩარევებისგან თავისუფალი ფასების სისტემა წარმოადგენს. ცენტრალურად დაგეგმილი და მართვადი ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა ფასწარმოქმნის პრინციპების საფუძვლიან რეფორმას მოითხოვს, რომლის ფარგლებშიც, ფასები უნდა შეესაბამებოდეს საქონლისა და საწარმოო ფაქტორების ბაზრებზე რეალურად არსებულ დეფიციტურ პირობებს. თუ ეს არ განხორციელდება, მაშინ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, საწარმოს დაგეგმვა დაეფუძნება დამახინჯებულ ინფორმაციას და შესაბამისად, ვერ მოხერხდება მომარაგების დეფიციტის თავიდან აცილება. ამასთან, ფასების რეფორმებმა გაგრძელება უნდა ჰპოვონ სტაბილურობაზე ორიენტირებულ მონეტარულ და საფინანსო პოლიტიკაში, რომელიც ფასების მექანიზმების ფუნქციონირებაზე ინფლაციის გავლენას ზღუდავს.

სოციალისტური საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის მოდელის ფუნქციონირების მეორე პრობლემა ეფუძნება საკუთრებითი წესრიგის ფორმირებას. საწარმოს კოლექტიური საკუთრების ჩამოყალიბება თვითმართვად საწარმოში თანამშრომელთა რაოდენობის გასაზრდელად მხოლოდ უმნიშვნელო სტიმულს იძლევა, ვინაიდან სამუშაო ძალას ენიჭება საწარმოს თვითმმართველობის ყველა უფლება და ისინი საწარმოს მოგების განაწილებაში მონაწილეობენ, თუმცა მათი გათავისუფლება არ არის შესაძლებელი. წარმოების საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების შემთხვევაში ჩნდება კითხვა, თუ რამდენად დამოუკიდებელი შეიძლება იყოს სახელმწიფოს მიერ დანიშნული საწარმოს ხელმძღვანელი. იმის გამო, რომ სახელმწიფო ორგანოები კვლავაც აგრძელებენ საერთო-ეკონომიკურ დაგეგმვას, უფრო მეტიც, გააჩნიათ სექტორული საინვესტიციო მიზნები, ასეთ პირობებში სამეწარმეო პოლიტიკის დაგეგმვა ვერ განხორციელდება სახელმწიფო მითითებებისგან დამოუკიდებლად.

10.4.5 განსხვავებული ეკონომიკური წესრიგების არსებობის მიზეზები

იდეალური ტიპის ეკონომიკური წესრიგის ანალიზი ვერ ხსნის: საერთაშორისო დონეზე თუ რატომ განსხვავდებიან ერთმანეთისგან ნამდვილად რეალიზებული ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში არსებული მნიშვნელოვანი ინსტიტუციები. ეს განსაკუთრებით ეხება დღეისათვის დომინანტად მიჩნეულ კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციას. ის ფაქტი, რომ ბაზრები და კერძო საკუთრება, როგორც ფორმალური ინსტიტუციები, გამყარებულია აშშ-ში, ევროპასა და ჩინეთში, არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ინსტიტუციები ყველგან აბსოლუტურად მსგავსია და, რომ სხვა მხრივაც, ყველგან ერთნაირი ინსტიტუციური ჩარჩო პირობებია გაბატონებული. პირიქით, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის რეგიონული თამაშის პირობები განსაკუთრებული სტაბილურობით ხასიათდება და არ იძლევა იმ ვარაუდის საბაბს, რომ ინსტიტუციური ვარიანტიდან ერთ-ერთი სხვა დანარჩენ ვარიანტებთან შედარებით განსაკუთრებულად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდება. „კაპიტალიზმის სახესხვაობების“ არსებობისა და მდგრადობის მიზეზებს გვათავაზობს *Peter A. Hall*-ისა და *David Soskice*-ის (2001) მიერ განვითარებული კონცეფცია.

Hall-ისა და *Soskice*-ის ანალიზის ცენტრალურ ადგილს იკავებენ ფირმები, როგორც კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ძირითადი მოთამაშეები. ჯერ კიდევ რონალდ ქოუზმა გააკეთა აქცენტი იმაზე, რომ გამოკვეთილად საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებულ სისტემაშიც, უამრავი ტრანზაქცია არა ბაზრების, არამედ კომპანიების იერარქიულ სისტემაში ცენტრალური დაგეგმვის საშუალებით ხორციელდება. ოლივერ უილიამსონის (1975, 1985) შრომებში ეს ანალიზი კიდევ უფრო განვითარდა და მიიღო კომპანიის (საწარმოს), როგორც ინსტიტუციის საერთო განხილვის ფორმა, რომელსაც არასტაბილურობის მაღალი ხარისხის პირობებში, კოორდინაციასთან დაკავშირებული მრავალგვარი, სხვადასხვა პრობლემის გადაჭრა ეკისრება. *Hall*-ისა და *Soskice*-ის აზრით, არსებობს კოორდინაციასთან დაკავშირებული ხუთი პრობლემა, რომლებიც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია კომპანიის (საწარმოს) გრძელვადიანი წარმატებისათვის.

- კონკრეტულ დარგებში ურთიერთობების დამყარება, განსაკუთრებით, სატარიფო სისტემისა და შრომის პირობების რეგულირების თვალსაზრისით,
- პროფესიული განათლებისა და კვლიფიკაციის ასამაღლებელი სისტემის ჩამოყალიბება,
- კორპორაციული მმართველობის შექმნა, განსაკუთრებით საწარმოს (კომპანიის) დაფინანსების მნიშვნელობის თვალსაზრისით,
- სხვა კომპანიებთან, ანუ მიმწოდებლებთან, მომხმარებლებთან და კონკურენტებთან ურთიერთობის მოწესრიგება,
- საკუთარ თანამშრომლებთან ურთიერთობის მოწესრიგება.

პრინციპში, საბაზრო ურთიერთოებების გამოყენება ყველა ამ სფეროშია შესაძლებელი. სტრატეგიული არასტაბილურობის თვალსაზრისით, რომლის პირობებშიც თითოეულ კომპანიას კოორდინაციასთან დაკავშირებული პრობლემე-

ბის გადაჭრა უწევს, რეალურად მიგნებული პრობლემის გადაჭრის საშუალებები ხშირად არაფორმალურ წესებზეა დამოკიდებული, რომლებიც განსაზღვრულ სოციალურ ჯგუფებშია გაბატონებული და კულტურითა და ისტორიით არიან განპირობებული. კულტურა, როგორც ერთ სოციალურ ჯგუფში ერთობლივად გაზიარებული წარმოდგენა ჯგუფის დანარჩენი წევრების ქცევების შესახებ, ამ თვალსაზრისით ეკონომიკური წესრიგის მნიშვნელოვან დეტერმინატს წარმოადგენს. იმის გამო, რომ საკმაოდ რთულია, კულტურის თვალსაზრისით გამყარებული წარმოდგენის მცირე პერიოდში შეცვლა, სწორედ არაფორმალური ინსტიტუციონალური რეგულირებები ამჟღავნებენ მაღალი მდგრადობის ეფექტებს და იწვევენ დამახასიათებელ ინსტიტუციური წარსული გამოცდილებისაკენ მიდრეკილებას. ამ პერსპექტივით, ქვეყნის ისტორია თავის ეკონომიკურ სისტემაზე ორმაგ გავლენას ახდენს: ერთი მხრივ, ფორმალური ინსტიტუციები ისტორიულად არიან წარმოქმნილნი, მეორე მხრივ, არაფორმალური გაგება ისტორიულად ყალიბდება იმის მიხედვით, თუ თითოეული მოთამაშე, ჩვეულებრივ, როგორ წყვეტს კოორდინაციასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან პრობლემებს. ისტორიული გამოცდილებიდან და კულტურულ-ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, Hall და Soskice ვარაუდობენ, რომ კონკრეტული ქვეყნის ფარგლებში, ხშირად შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს ინსტიტუციურ კომპლემენტარიზმს. იგულისხმება, რომ ერთ სფეროში კოორდინაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად საჭირო განსაზღვრულმა ინსტიტუციურმა გადაწყვეტილებებმა შესაძლებელია, დადებითი გავლენა მოახდინონ სხვა სფეროში არსებულ ინსტიტუციებზეც. ამ ფორმით კიდევ უფრო ძლიერდება ინსტიტუციური მისწრაფება განსაზღვრული ისტორიულად ჩამოყალიბებული რეგულირებების მიმართ.

თავიანთი კონცეფციის საილუსტრაციოდ, *Hall* და *Soskice* მოჰყავთ ლიბერალურსა და კოორდინირებულ (კაპიტალისტურ) საბაზრო-ეკონომიკურ სისტემებს შორის განსხვავება. მაშინ, როდესაც ლიბერალურ საბაზრო ეკონომიკაში, როგორც, მაგალითად, აშშ-სა და დიდ ბრიტანეთში, კომპანიების კოორდინაციის ხუთი ძირითადი პრობლემის გადაჭრა მნიშვნელოვანწილად საბაზრო ურთიერთობებზე და მათ ეფექტიანობასთან დაკავშირებულ შესაბამის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ნდობაზეა დამყარებული, კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკური სისტემები, ამ თვალსაზრისით, ბაზრის მიღმა არსებულ ინსტიტუციებზე აკეთებენ გათვლას. მათ რიცხვს განეკუთვნებიან სხვა კომპანიებთან ფორმალიზებული და არაფორმალური შეთანხმებები, რომელთა მეშვეობით ინფორმაციის დეფიციტი შესაძლებელია მინიმუმამდე იყოს დაყვანილი. მსგავსი კოორდინირებული საბაზრო ეკონომიკის მაგალითად *Hall*-სა და *Soskice*-ის მოჰყავთ გერმანია და სხვა ევროპული ქვეყნები.

10.5 მაგალითი: სოციალური საბაზრო ეკონომიკის თავისებურებები გერმანიაში

10.5.1 თეორიული საფუძვლები

გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში განვითარებული ეკონომიკური სისტემა ეფუძნება სხვადასხვა სულიერ და ცნობიერებით ისტორიულ

საფუძვლებს. საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია კერძო საკუთრებითა და მომხმარებელთა მოსაზიდად მეწარმეებს შორის კონკურენციით ჯერ კიდევ ეროვნული ეკონომიკის კლასიკოსების მიერ განვითარდა. ე.წ. ფრაიბურგის სკოლის ნეოლიბერალიზმის მიმდევარმა თეორეტიკოსებმა კერძო საკუთრების საფუძველზე საბაზრო კოორდინაციის პრინციპი წესრიგის პირობების შექმნის პოსტულატამდე გაიფართოვეს, რამაც საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირება ხანგრძლივი დროის მანძილზე უნდა უზრუნველყოს.

ეკონომიკური წესრიგის სოციალური ვალდებულება განსაკუთრებულად წინ წამოსწიეს ქრისტიანული სოციალური თეორიის როგორც კათოლიკური, ისე პროტესტანტული მიმართულების წარმომადგენლებმა, ასევე ლიბერალური სოციალიზმის თეორეტიკოსებმა. იმ პირობით, რომ ისინი საბაზრო კოორდინაციაზე უარს არ ამბობდნენ, მათი მოთხოვნა იყო საწარმოს გადაწყვეტილებებში დასაქმებულების ჩართულობისა და ქონებრივი მონაწილეობის, შემოსავლებისა და ქონების პროგრესული დაბეგვრისა და სოციალური სადაზღვევო სისტემების შექმნის გზით საბაზრო ეკონომიკის სრულყოფა. დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში წარმოქმნილი და დანერგილი კეინზიანიზმის გავლენით ლიბერალური სოციალიზმის წარმომდგენლები ასევე ითხოვდნენ ეკონომიკის ერთობლივი მოთხოვნის მართვას, სახელმწიფოს მხრივ სრული დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით.

სოციალური საბაზრო ეკონომიკის თეორია, ცნება, რომელიც დაამკვიდრა ალფრედ მიულერ – არმაკმა (1946), წარმოადგენს ნეოლიბერალიზმის, ქრისტიანული სოციალური თეორიისა და ლიბერალური სოციალიზმის სინთეზის მცდელობას. სრულიად თავისუფალ კაპიტალიზმსა და სრულად მართვად სოციალიზმთან ერთად უნდა ყოფილიყო ერთგვარი მესამე გზა სოციალური საბაზრო ეკონომიკის სახით, რომელიც კონკურენტული ეკონომიკის საფუძველზე, შეძლებდა ერთმანეთთან დაეკავშირებინა თავისუფალი ინიციატივა და საბაზრო ეკონომიკის საშუალებით უკვე მიღწეული სოციალური პროგრესი. ამასთან, საბაზრო ეკონომიკის კეთილდღეობის მომტანი ეფექტები უნდა გამოყენებულიყო სოციალური პოლიტიკის ღონისძიებების დაფინანსებისა და ეფექტური განხორციელების მიზნით.

10.5.2 სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამა

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია გამომდინარეობს ბაზრებზე არსებული ინდივიდუალური მიწოდებისა და მოთხოვნის გეგმების კოორდინაციიდან და ორდოლიბერალიზმის მსგავსად მოითხოვს ეკონომიკური წესრიგის სახელმწიფოებრივ ფორმირებას. ძირითადი ყურადღება გამახვილებულია კონკურენტული წესრიგის შექმნაზე, რომელიც უზრუნველყოფს თავიდან აიცილოს მეწარმეთა მცდელობა, თავი დააღწიონ ბაზარზე არსებული კონკურენციის ზეწოლას მოლაპარაკებების, კარტელის შექმნისა და კონცენტრაციის გზით. ამასთან, ფულადმა და სავალუტო წესრიგმა უნდა უზრუნველყოს ის ფაქტი, რომ ინფლაციამ პრობლემები არ შეუქმნას და არ დააზიანოს საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი. მაშინ, როდესაც ნეოლიბერალები სტაბილურ მონეტარულ ფარგლებს საკმარისად მიიჩნევდნენ, მიულერ-არმაკი სახელმწიფოს კონიუნქტიურული პოლიტიკის გატარების მოწოდებით გამოდიოდა. მთლიანად კეინზიანისტურ მოსაზრებებზე დაყრდნობით, იგი საჭიროდ და შესაფერისად

მიიჩნევდა საწყის ეტაპზევე მონეტარული და საფინანსო პოლიტიკის სტაბილიზაციის ღონისძიებების გატარებას, ეკონომიკის თანმიმდევრული ზრდის უზრუნველყოფისა და ინფლაციისა და უმუშევრობის თავიდან აცილების მიზნით.

კლასიკური ლიბერალიზმის მსგავსად, სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფციაშიც კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული მოგებისაკენ სწრაფვა იმავდროულად დაკავშირებულია სოციალურ გათანაბრებასთან და ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალად არის მიჩნეული. ბაზრის ფუქნციონირების შედეგები უნდა გადანაწილდეს იმ შემთხვევაში, თუ ისინი საზოგადოებისათვის არ არის მისაღები. იგულისხმება, რომ შემოსავლებისა და ქონების სამართლიანად მიჩნეული განაწილების გარეშე სოციალური დაცულობა, თანაბარი შესაძლებლობები და თანამედროვე დემოკრატიისათვის დამახასიათებელი საბაზრო-ეკონომიკური წესრიგი ვერ დამყარდება. მეორე მხრივ, სწორედ საბაზრო ეკონომიკის პირობებში არსებული საკმარისი მატერიალური საფუძველები იძლევა ქმედითი სახელმწიფო-სოციალური პოლიტიკის გატარების საშუალებას. სოციალური წესრიგის ფორმირებისას, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა, გათვალისწინებულ იქნას სახელმწიფო ჩარევების დროს საბაზრო-ეკონომიკურ წესრიგთან მათი თავსებადობა. მათ არც ბაზარზე არსებული ფასწარმოქმნის მექანიზმები უნდა გამოიყვანონ მწყობრიდან და არც ინტენსიურ კონკურენციასა და წარმატების მიღწევის მოტივაციაზე იმოქმედონ ისე, რომ კონკურენციისა და ეკონომიკური ზრდის დინამიკა ხანგრძლივი დროის მანძილზე დააზარალონ.

ლუდვიგ ერჰარდი და სოციალური საბაზრო ეკონომიკა

ლუდვიგ ერჰარდი (1897-1977) დაიბადა ფრანკონიის ქალაქ ფიურტში, ეკონომიკურ მეცნიერებებსა და სოციოლოგიას იგი თავდაპირველად ნიურნბერგში, მოგვიანებით კი მაინის ფრანკფურტში სწავლობდა, სადაც 1925 წელს ხარისხი დაიცვა. 1945 წელს, ნიურნბერგის ეკონომიკურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში მოღვაწეობის შემდეგ, ამერიკის საოკუპაციო მთავრობის მიერ ის დაინიშნა ბავარიის ეკონომიკის მინისტრად. 1947 წელს იგი მუშაობას იწყებს მიუნხენის უნივერსიტეტში საპატიო პროფესორის რანგში. 1948 წელს ერჰარდი ინიშნება აშშ-სა და ბრიტანეთის ერთიანი სამხედრო მთავრობის მიერ გაერთიანებული ეკონომიკური რაიონის ეკონომიკის მართვის დირექტორად. აღნიშნულ თანამდებობაზე იგი პასუხისმგებელი იყო პროდუქტების ნორმირების გაუქმებით – 1948 წელს გატარებულ დასავლეთ გერმანიის სავალუტო რეფორმის სრულყოფაზე. 1949-1963 წლებში ის იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პირველი ეკონომიკის მინისტრი, ხოლო 1963-1966 წლებში – გერმანიის კანცლერი. მის მთავარ ნაშრომებს მიეკუთვნება: კეთილდღეობა ყველასათვის (დიუსელდორფი, 1957); გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა. სოციალური საბაზრო ეკონომიკის გზა (დიუსელდორფი/ვენა, 1962).

ლუდვიგ ერჰარდი ითვლება 50-იანი წლების გერმანიის „ეკონომიკური სასწაულის“ ერთ-ერთ მამად, რომელიც დაკავშირებულია სრული დასაქმების, ფასების დონის სტაბილურობისა და მზარდი სავალუტო რეზერვების აღდგენასთან. ერჰარდი იმ პერიოდის მაღალ ეკონომიკურ ზრდას საბაზრო ეკონომიკაზე მკვეთრად ორიენტირებული წესრიგის პოლიტიკის შედეგად

მიიჩნევდა. მთავარი როლი ითამაშა 1948 წელს გატარებულმა სავალუტო რეფორმამ, რომელმაც ერთი მხრივ, ხელი შეუწყო ახალი სტაბილური ვალუტის შემოღებას, ხოლო, მეორე მხრივ, ეს ასევე სახელწიფოს მხრიდან პროდუქტების ნორმირებაზე უარის თქმასა და ფასების დაწესებაში ჩაურევლობას ნიშნავდა. ერჰარდის ეკონომიკის მინისტრად მოღვაწეობის პერიოდში პოპულარული გახდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია. იგი წარმატებულად იბრძოდა ეფექტური ანტიკარტელური კანონის მისაღებად, პოლიტიკური გავლენისგან ცენტრალური ბანკის დამოუკიდებლობისათვის და გერმანიის საგარეო ვაჭრობის შეძლებისდაგვარად სწრაფი ლიბერალიზაციისათვის. თუმცა მან ვერ შეძლო, თავიდან აეცილებინა ის ფაქტი, რომ 1957 წელს ე.წ. „თაობათა პასუხისმგებლობის პრინციპზე მოქმედი“ საპენსიო სისტემის შემოღებაში მოკლევადიანი სოციალურ- პოლიტიკური ინტერესები ბევრად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, ვიდრე ეკონომიკური რაციონალიზმი. სწორედ ამიტომ, შემდგომ პერიოდში იგი მუდმივად იძლეოდა გაფრთხილებას ორგანიზებული, საერთო ინტერესებით გაერთიანებული ჯგუფების მნიშვნელოვანი პოლიტიკური გავლენის შესახებ. კანცლერად მოღვაწეობის პერიოდში მის ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის ახალ ფაზაში პოლიტიკაზე მსგავსი გავლენების თავიდან აცილება, სხვა დანარჩენთან ერთად, ეკონომიკური პოლიტიკის მხრივ გონივრული მეცნიერული რჩევის საშუალებით. სწორედ ამ სურვილის შედეგად, საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასების მიზნით, შეიქმნა ექსპერტთა საბჭო. ომის შემდგომ პერიოდში დაშვებული შეცდომები, რომლებიც პირველ კრიზისულ მდგომარეობას უკავშირდებოდა და რომლებიც „ეკონომიკური სასწაულის“ დასასრულად არის მიჩნეული, ერჰარდს კანცლერის თანამდებობის დატოვების ფასად დაუჯდა.

50-იანი წლების ბოლოს, მიულერ-არმაკმა (1959) სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეფცია პროგრამულად კიდევ ერთხელ განავითარა. „მეორე ფაზაში“, ომისშემდგომი რეკონსტრუქციისა და ძირითადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების შემდეგ, ცენტრალური ადგილი ეკონომიკური წესრიგის საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა აღიარებამ უნდა დაიკავოს. დამოუკიდებლობის წახალისებამ და საგანმანათლებლო პოლიტიკამ, განსაკუთრებით საშუალო მეწარმეობის სფეროში, ხელი უნდა შუწყოს საბაზრო ეკონომიკის მიმართ ინდივიდუალური ინტერესის აქტიურობას. სახელმწიფოს მიერ წარმოებაში, ქალაქსა თუ სოფლად შექმნილმა ბუნებრივმა და სოზოგადოებრივმა პირობებმა, ისევ და ისევ საბაზრო პრინციპებთან თავსებადობის გათვალისწინებით, უნდა შეამციროს საბაზრო ეკონომიკის არასასურველი შედეგები საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკოლოგიური თვალსაზრისით.

10.5.3 იმპლემენტაცია

სოციალური საბაზრო ეკონომიკის განვითარების თვალსაზრისით, გადამწყვეტი ნაბიჯი 1948 წლის 20 ივნისს, დასავლეთის სამ საოკუპაციო ზონაში გატარებული სავალუტო რეფორმა აღმოჩნდა. ამასთან, ძველი, რაიხის მარკის ახალ მარკაზე გაცვლითი კურსი შეადგენდა 100:6,5-ს, რითაც ომისა და ომის შემდგომ

პერიოდში არსებული ინფლაციური ჭარბი ფულის პრობლემა თავიდან იქნა აცილებული. ამის პარალელურად, გაუქმდა ფასების კონტროლი და ბევრ პროდუქტზე მოიხსნა ნორმირება, შესაბამისად კვლავ გაჩნდა საბაზრო კოორდინაცია. და ბოლოს, შემოსავლებისა და კორპორაციული დაბეგვრის რეფორმამ შეამცირა მანამდე ექსტრემალურად მაღალი საგადასახადო განაკვეთი, რითაც ხელი შეუწყო საქონლის წარმოების მოტივაციასა და სამუშაო ძალის გამოყენებას.

1949 წლის 23 მაისს მიღებულ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციაში კონკრეტული ეკონომიკური წესრიგი არ იყო დაფიქსირებული. თუმცა, მე-14 მუხლში იგი გამოდის კერძო საკუთრების გარანტიით და იმ სოციალურ პასუხისმგებლობასაც შეგვახსენებს, რომელიც საკუთრებასთან არის დაკავშირებული. კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი თავი სოციალური სახელმწიფოს პრინციპზე დაყრდნობით, სახელმწიფოს სოციალური წესრიგის შექმნასა და უზრუნველყოფას ავალდებულებს.

ორდოლიბერალური თვალსაზრისით, კონკურენციის პოლიტიკის გადამწყვეტ სფეროში, კანონი კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ მხოლოდ 1956 წელს შევიდა ძალაში. იგი, კერძოდ, მოიცავდა კარტელისა და მონოპოლიური პრაქტიკის კატეგორიულ აკრძალვას, თუმცა, როგორც ეს 5.4-ში არის აღწერილი, გამონაკლის სფეროებში და განსაზღვრულ მოცემულ სიტუაციაში კარტელი დაშვებულია. 1958 წლიდან გერმანიაში მკვეთრად მოიმატა არამარტო კარტელების რაოდენობამ, არამედ, უპირველეს ყოვლისა, კომპანიების შერწყმამ, მიუხედავად იმისა, რომ კანონის მე-2 ცვლილებით უნდა გამკაცრებულიყო კომპანიების გაერთიანების კონტროლი. სამაგიეროდ, ქვეყანაში კონკურენციის ინტენსივობამ საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაციით დადებითი იმპულსები შეიძინა. ექსპორტისა და იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვისა და კაპიტალის ბრუნვის კონტროლის გაუქმება 50-იანი წლების ბოლოს მთლიანად დასრულდა. 1961 წელს საგარეო ეკონომიკის კანონით საგარეო ვაჭრობის თავისუფლების პრინციპი კანონიერ ნორმად იქცა. 1958 წელს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ევროპის ეკონომიკურ კავშირში გაერთიანების შემდეგ, ადგილობრივი მიმწოდებლები ინტენსიურ კონკურენტულ პირობებში იმყოფებიან ევროპის პარტნიორ ქვეყნებთან, რომლებსაც გერმანიის ბაზარზე საბაჟო კონტროლისგან თავისუფალი წვდომა აქვთ და გაერთიანების ფარგლებში არსებული ვაჭრობის თვალსაზრისით, კონკურენციის პოლიტიკის განსაკუთრებულ რეგულაციებს ექვემდებარებიან.

მონეტარულ სფეროში 1957 წლამდე გერმანიის ფედერალური მიწების ბანკი, მოგვიანებით კი გერმანიის ფედერალური ბანკი, ზრუნავდა ინფლაციის მაღალი დონის თავიდან ასაცილებლად. 50-იან წლებში, ცენტრალურმა ბანკმა კონიუნქტიურული რყევების თავიდან აცილების მიზნით მრავალგზის განახორციელა მონეტარული პოლიტიკის ანტიციკლური ღონისძიებები. თუმცა, 1958 წელს, გერმანული მარკის საერთაშორისო კონვერტირებადობის აღდგენისა და, 1973 ბრეტონ-ვუდსის სისტემის დაშლის წლებს შორის პერიოდში, ცენტრალურ ბანკს თავისი სტაბილიზაციის პოლიტიკის შესაძლებლობების გამოყენებაში საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე ინტერვენციასთან დაკავშირებული ვალდებულებების გამო, საბოლოოდ შეეშალა ხელი. ამით, კონიუნქტიურულ-პოლიტიკური მართვის სიმძიმე სახელმწიფო ბიუჯეტს დააწვა. 1967 წელს მიღებულმა სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის კანონმა ეფექტური ანტიციკლური საფინანსო პოლიტიკისათვის კარგი წინაპირობა შექმნა, რომელიც პრინციპში, პრაქტიკულად სახელმწიფო დანახარჯებისა და სახელმწიფო დავალიანების გაზრდისათვის უფრო გამოიყენებოდა. 1975 წლიდან, მოქნილ გაცვლით კურსზე გადასვლამ ფედერალურ ბანკს საშუალება მისცა, კვლავინდებურად მიეღწია ფულადი მასის მუდმივი ზრდისათვის მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის შესაბამისად. და მაინც, ბრეტონ-ვუდსის სისტემის ფორმალური ვალდებულებების გარეშეც ფედერალური ბანკის მონეტარული პოლიტიკა მნიშვნელოვანად იყო დამოკიდებული საგარეო-ეკონომიკურ სფეროში არსებული მდგომარეობის გათვალისწინებაზე. მათ საფუძველს, ერთი მხრივ, წარმოადგენდა გაცვლითი კურსის განვითარების გავლენა გერმანიის საგარეო ვაჭრობაზე, მეორე მხრივ, გერმანული მარკის ინტეგრაცია ევროპის სავალუტო სისტემაში, რომელიც 1979 წლიდან ევროპაში გაცვლითი კურსის სტაბილურობისათვის ზრუნავდა. 1999 წლიდან ევროზონაში გერმანიის შესვლით ფედერალური ბანკის კომპეტენცია გადაეცა ევროპის ცენტრალურ ბანკს, რომელიც მის მსგავსად სტაბილურობაზე არის ორიენტირებული.

რაც შეხება სოციალური წესრიგის სფეროს, მის საფუძვლად გამოყენებულ იქნა ჯერ კიდევ რაიხის პერიოდში შექმნილი სოციალური დაზღვევის სისტემა. მთელი რიგი კანონებისა, მაგალითად, 1950 წელს მიღებული მეორე მსოფლიო ომში დაზარალებულთა უზრუნველყოფის კანონი, 1952 წელს მიღებული კანონი ომში დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ და 1953 წელს მიღებული კანონი განსაკუთრებულად ძლიერ დაზარალებულთა კომპენსაციის შესახებ, უზრუნველყოფდა ომის შედეგად მოსახლეობის განსაკუთრებულად დაზარალებული ჯგუფის სოციალურ დაზღვევას. 1957 წელს ახალი საპენსიო სისტემის შემოღებით შესაძლებელი გახდა საპენსიო ანაზღაურების შესაბამისობა დასაქმებულთა შემოსავლების განვითარებასთან. 1950 წელს მიღებული პირველი კანონი საცხოვრებელი ბინების მშენებლობის შესახებ, შეეხებოდა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის საზოგადოებრივ ხელშეწყობას. 1952 წელს მიღებულმა საწარმოს საკონსტიტუციო კანონმა ხელი შეუწყო დასაქმებულთა მონაწილეობას საწარმოს გადაწყვეტილებებსა და მის მართვაში. ამის საპირისპიროდ, მიულერ-არმაკის მოსაზრებას „სოციალური საბაზრო ეკონომიკის მეორე ფაზის შესახებ“, საკმაოდ გვიან დაუჭირეს მხარი. მხოლოდ 60-იანი წლების ბოლოს გადაიდგა პოლიტიკური ნაბიჯები ეფექტური რეგიონული დაგეგმვისა და ქალაქის განვითარების პოლიტიკის გატარების თვალსაზრისით, რამაც 1969 წელს ასახვა ჰპოვა საერთო ამოცანის ჩამოყალიბებაში, რეგიონული ეკონომიკური სტრუქტურის გაუმჯობესების თვალსაზრისით. 1971 წელს გერმანიის მთავრობამ პირველად წარმოადგინა გარემოს დაცვის პროგრამა, რომელიც სხვა დანარჩენთან ერთად, ჰაერის დამაბინძურებელი ნივთიერებების მკვეთრ შემცირებას ითვალისწინებდა.

სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკურ პროცესში მასშტაბური ჩარევა, რაც განპირობებული იყო სოციალური და საზოგადოებრივი მოტივით, არ ითვალისწინებდა სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამაში ხაზგასმულ პრინციპს, საბაზრო და წესრიგის მხრივ თავსებადობის შესახებ. სოფლის მეურნეობის ან უძრავის ქონების ბაზარზე თავისუფალი ფასწარმოქმნის პროცესში პირდაპირი ჩარევის გარდა განვითარების დამაბრკოლებლად განსაკუთრებით საწარმოებისა და დასაქმებულთა მაღალი გადასახადებითა და სოციალური ხარჯებით დაბეგვრა შეიძლება ჩაითვალოს. ერთობლივი მიწოდების ქვოტა, მთლიან შიდა პროდუქტში გადასახადებისა და სოციალური სადაზღვევო შენატანების წილი 60-იანი წლების დასაწყისში არსებული 33%-დან 80-იანი წლების დასაწყისში 40%-მდე გაიზარდა. ამის პარალელურად გაიზარდა სახელმწიფო სუბსიდირება ტრანსფერების შეღავათიანი სესხებისა და საგადასახადო შეღავათების ფორმით.

გერმანიის ერთიანობის აღდგენის შემდეგ, ყურადღება მიიპყრო წესრიგის პოლიტიკის ახალმა გამოწვევებმა. 1990 წელს ხელმოწერილი სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელიც ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ეკონომიკურ, სავალუტო და სოციალურ კავშირს არეგულირებდა, პირველი მუხლით „სოციალურ საბაზრო ეკონომიკას საერთო ეკონომიკური წესრიგის“ ფორმად განიხილავდა. დოიჩე მარკის გავრცელებით, კერძო საკუთრების უფლების აღდგენით, ინვესტიციების წახალისების მიზნით მასობრივი ფინანსური მოტივაციით, აგრეთვე სისტემის ცვლილებასთან დაკავშირებული სოციალურ-პოლიტიკური დაზღვევის მასშტაბური ღონისძიებებით უნდა მომხდარიყო ახალი ფედერალური მხარეების ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ კეთილდღეობის დონესთან მაქსიმალურად სწრაფი ადაპტაცია.

ძირითადი ცნებები

- ინსტიტუცია
  ტრანზაქციის ხარჯები
  საკუთრებისა და განკარგვის უფლება
  საერთო საკუთრების საქონელი
  მიტაცება
  ცენტრალური დაგეგმვა
  საბაზრო გაცვლა
- ეკონომიკური წესრიგი
  ეკონომიკური კონსტიტუცია
  ეკონომიკური კულტურა
- კაპიტალიზმი
  სოციალიზმი
  საბაზრო ეკონომიკა
  ცენტრალურად მართვადი ეკონომიკა
  კაპიტალიზმის სახესხვაობები
- სოციალური საბაზრო პოლიტიკა
  ფრაიბურგის სკოლა
  საბაზრო კონფორმულობა
  წესრიგის კონფორმულობა
  სოციალური სახელმწიფო

დავალებები

1. ცენტრალური დაგეგმვისა და საბაზრო გაცვლის ტრანზაქციის ხარჯები

შეადარეთ სპეციფიკური ტრანზაქციის ხარჯები, რომლებიც საჭიროა ქმედითუნარიანი ცენტრალური დაგეგმვისა და საბაზრო გაცვლისათვის. შემდგომ გააანალიზეთ, თუ როგორ ვითარდება აღნიშნული ტრანზაქციის ხარჯები მზარდ ეკონომიკაში, რომელიც მზარდი შრომის დანაწილებით ხასიათდება და რა შედეგები მოჰყვება მას საქონლის გაცვლის ორგანიზაციის ორივე ფორმის შედარებითი სტაბილურობის თვალსაზრისით.

2. ინსტიტუციური რევულუციები და ეკონომიკური განვითარება (North, 1981)

ახალი ეკონომიკური ისტორია გამოყოფს კაცობრიობის ისტორიაში ორ ინსტიტუციურ რევოლუციას. პირველი – ნეოლითური რევოლუცია მოხდა ქვის ხანაში, დაახლოებით 10 000 წლის წინ და მოიცავდა სამონადირეო და შემგროვებლური ეკონომიკიდან მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე გადასვლას. მეორე, ინდუსტრიული რევოლუცია ხასიათდებოდა წარმოების პროცესში ტექნოლოგიური ინოვაციების სისტემატური გამოყენებით. ახსენით, რამდენად ეფუძნებოდა ორივე რევოლუცია ახალ საკუთრებისა და განკარგვის უფლებას, პირველ შემთხვევაში, მიწაზე საკუთრების უფლებას, მეორე შემთხვევაში – გამოგონებაზე საკუთრების უფლებას პატენტის ფორმით. ასევე განმარტეთ, რატომ უკავშირდება მათი განვითარება ექსპლუატაციისგან ეფექტურ დაცვას.

3. ძლიერი სახელწიფო და წესრიგის პოლიტიკის დილემა

საბაზრო ეკონომიკის ორდოლიბერალური კონცეფცია ეფუძნება მოსაზრებას, რომ „ძლიერი სახელმწიფო“ ზრუნავს სტაბილური და ქმედითუნარიანი კონკურენციასა და ფულად სისტემებზე. თუმცა, „ძლიერმა სახელმწიფომ“ შეესაძლოა, სრულიად სხვა მიზნები დაისახოს და, შესაბამისად, საბაზრო ეკონომიკის განვითარებისათვის ხელისშემშლელ ფაქტორად იქცეს. იმსჯელეთ, რას ნიშნავს „ძლიერი სახელმწიფო“ ინსტიტუციური ეკონომიკის პერსპექტივიდან და როგორ უნდა გადაიჭრას წესრიგის პოლიტიკის წინაშე არსებული დილემა.

4. რომელია სოციალური საბაზრო ეკონომიკა?

გერმანიის პარლამენტში წარმოდგენილი პარტიების პროგრამებში მოძებნეთ, თუ თითოეულ მათგანში რა იგულისხმება სოციალური საბაზრო ეკონომიკის ქვეშ. ასევე გააანალიზეთ, საინიციატივო პროგრამა „ახალი სოციალური საბაზრო ეკონომიკა“ (*www.insm.de*), რომელსაც მხარს უჭერს Gesamtmetall – მეტალურგიის დამსაქმებელთა ალიანსი. რა განსხვავებაა ამ პროგრამებს შორის და თავდაპირველად არსებულ წესრიგის პოლიტიკის კონცეფციასთან მიმართებაში?

გამოყენებული ლიტერატურა

ახალი ინსტიტუციური ეკონომიკის ცალკეული სფეროები, კვლევის მეთოდები და ძირითადი შედეგები აღწერილია *Erlei* და სხვ. (2007), *Voigt* (2009) და *Richter/Furubotn* (2010) მიერ შედგენილ სახელმძღვანელოებში.

საქონლის ალოკაციის ალტერნატივები რობინზონ კრუზოს მოდელის მიხედვით *Breyer/Kolma* (2010). წესრიგის პოლიტიკის ოთხი ძირითადი კონცეფცია ეკუთვნის *Cassel* (1984).

სოციალური საბაზრო ეკონომიკის კონცეპტუალურ საფუძვლებსა და გამოცდილებებზე, ასევე გერმანიაში მათ გამოყენებაზე მოგვითხრობს *Klump* (1985; 2001).

ეკონომიკური წესრიგების ტრანსფორმაცია

11

თემა

11.1 ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობები და ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილება 244

11.2 ტრანსფორმაციის პოლიტიკის ელემენტები 249

11.3 ტრანსფორმაციის სტრატეგიები 251

11.4 მაგალითი: ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ გერმანიაში 252

11.4.1 საწყისი სიტუაცია: გდრ-ის ეკონომიკური წესრიგი 252

11.4.2 ტრანსფორმაციის პოლიტიკის ღონისძიებები და შედეგები 255

სწავლების მიზნები

- ტრანსფორმაცია წარმოადგენს ერთი ეკონომიკური წესრიგიდან, როგორც წესი, სოციალისტური გეგმური ეკონომიკიდან, მეორე – კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.
- ვინაიდან, ტრანსფორმაცია ეკონომიკის მთლიანი ინსტიტუციური სისტემის შეცვლას გულისხმობს, ძირითად როლს ტრანსფორმაციის პროცესების შედეგებისათვის თამაშობენ ცალკეული ინსტიტუციების სპეციფიკური ტრანზაქციის ხარჯები და ეროვნულ ეკონომიკაში ტრანზაქციის ხარჯების საერთო დონე, რომელიც დამოკიდებულია არსებულ სოციალურ კაპიტალზე.
- ფუნქციონირებადი ბაზრებისა და მაკროეკონომიკური სტაბილურობის არსებობის გარანტია, ასევე სახელმწიფოს ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფა, ტრანსფორმაციის ნებისმიერი სტრატეგიის მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ.
- ტრანსფორმაციისათვის საჭირო სტრატეგია, შესაძლებელია დაინერგოს ყველა ინსტიტუციაში ერთდროულად, შოკური თერაპიის სახით, თუმცა ასევე შესაძლებელია რეფორმების ცალკეულ სფეროებში ეტაპობრივი გატარებაც (გრადუალიზმი). ამ უკანასკნელის შემთხვევაში, ტრანსფორმაციის წარმატებული განხორციელებისათვის გადამწყვეტია რეფორმების გატარებისას კონკრეტული თანმიმდევრობის დაცვა, ე.წ. თანმიმდევრობითობა.
- აღმოსავლეთ გერმანიაში ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის მომგებიანი აღმოჩნდა ის გარემოება, რომ შესაძლებელი იყო დასავლეთ გერმანიის ეკონომიკური წესრიგის ფუნქციონირებადი ინსტიტუციური სისტემის გადმოღება. თუმცა, საზოგადოებრივი საკუთრების სწრაფი პრივატიზაციითა და დასავლეთ გერმანიის შრომის ბაზრისა და სოციალური წესრიგის ათვისებით, აღმოსავლეთ გერმანიის ეკონომიკური განვითარებისათვის შეიქმნა პრობლემები, რომელთა გავლენა დღესაც საგრძნობია.

11.1 ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობები და ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილება

ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით ქვეყნის გრძელვადიანი კეთილდღეობა, უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციების ფორმირებით განისაზღვრება. ინსტიტუციების გაცნობიერებული გარდაქმნით ეკონომიკური პოლიტიკა განვითარების მნიშვნელოვან იმპულსებს იძენს. განსაკუთრებით დრამატული შედეგებია მოსალოდნელი, როდესაც გარდაქმნას ექვემდებარება, როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო ინსტიტუციები, შესაბამისად, ეროვნული ეკონომიკის დაგეგ-

მვის, კოორდინაციისა და საკუთრების სფეროში არსებული მთელი რიგი წესები. გარდაქმნის მსგავს პროცესს, რომელიც მთელ ეკონომიკურ წესრიგს ეხება, ტრანსფორმაცია ეწოდება. გასული ათწლეულის კონკრეტული გამოწვევებისა და გამოცდილების გათვალისწინებით, ტრანსფორმაციის პროცესების მეცნიერული ანალიზი დღეისათვის, უპირველეს ყოვლისა, შეეხება სოციალისტური გეგმური ეკონომიკის კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკად გარდაქმნას. ტრანსფორმაციის პროცესის შედეგად წარმოქმნილმა პრობლემებმა ტრანსფორმაციის თეორიას განვითარების ახალი ბიძგი მისცა. ამასთან, განსაკუთრებით მომგებიანი ინსტიტუციური ეკონომიკის შედეგები აღმოჩნდა.

ინსტიტუციური ცვლილების ზოგადი მოდელის ფარგლებში, ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზი უკავშირდება დიანკოვს და სხვ. (2003). აღნიშნული მოდელის ცენტრში დგას ნახაზზე 11.1 გამოსახული K მრუდი, რომელიც ასახავს ქვეყნის ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობას. ღერძებზე დატანილია სახელმწიფოსა და ბაზრის სპეციფიკური ტრანზაქციის ხარჯები. ამასთან, ამ ორი ინსტიტუციის პირდაპირ ხარჯებს ნაკლები ყურადღება ეთმობა, ვიდრე არაპირდაპირ ხარჯებს, რომლებიც სახელმწიფოს მზარდი ან რეცესიული გავლენის შედეგად წარმოიშობა. ყოველგვარი სახელმწიფო კონტროლის გარეშე არსებობს იმის საფრთხე, რომ ბაზარი იქცევა კერძო ექსპლუატაციის ინტერესების ინსტრუმენტად, მაგალითად, არარეგულირებად მონოპოლიად, რაც ანარქიული მდგომარეობის დაბრუნებას მოასწავებს. ყოვლისმომცველი სახელმწიფო კონტროლი დაკავშირებულია დიქტატორულ თვითნებობასთან და სრულდება მასშტაბური კორუფციით, რომლებიც ასევე ექსპლუატაციის ფორმად შეიძლება განვიხილოთ. აქედან გამომდინარე, ქვეყნის ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობა უნდა განვიხილოთ შესაძლო კერძო და სახელმწიფო ექსპლუატაციის ფონზე. მოცემული ამოზნექილი K მრუდი გვიჩვენებს, რომ ბაზრის ტრანზაქციის ხარჯების თანმიმდევრული შემცირება (კერძო ექსპლუატაციის ხარჯების თვალსაზრისით) როგორც წესი, შესაძლებელია მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების (სახელმწიფო ექსპლუატაციის ხარჯების თვალსაზრისით) პროპორციულად მზარდი ტრანზაქციის ხარჯების პირობებში.



ნახაზი 11.1: ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობები

K მრუდი გვიჩვენებს იმ ინსტიტუციების ალტერნატიულ ფორმებს, რომლებიც ბაზრისა და სახელმწიფოს ტრანზაქციების ხარჯების სხვადასხვა (პირდაპირი და არაპირდაპირი) კომბინაციებით ხასიათ-

დებიან. P აღნიშნავს საბაზრო ეკონომიკას სახელმწიფოს მხრივ მინიმალური ჩარევით, U – რეჟიმს, რომელიც დამოუკიდებელი ინსტიტუციებით ხასიათდება, R რეჟიმის შემთხვევაში სახელმწიფო რეგულირება ცვლის საბაზრო კოორდინაციას, ხოლო S-ი აღნიშნავს მეტწილად სახელმწიფოს მიერ მართვად ეკონომიკას.

მაგალითად, K მრუდის გასწვრივ შესაძლებელია განვასხვავოთ ოთხი ინსტიტუციური რეჟიმი. მაღალი დონის კერძო ექსპლუატაციაზე რეაგირების ყველაზე მარტივი ფორმა უნდა იყოს კერძო მოლაპარაკებები (შეთანხმებები), რომელთა საშუალებითაც, შესაძლებელია, ქოუზის მეთოდის მსგავსად, ბაზარზე არსებული ყველა ხარვეზის, მათ შორის საბაზრო ძალაუფლების, გამოსწორება. თუმცა, კერძო მოლაპარაკებების დროსაც კი საჭიროა საკუთრებისა და განკარგვის უფლებების მინიმალური უსაფრთხოება, რომლის უზრუნველყოფაც მხოლოდ სახელმწიფო ქმედებებით, შესაბამისად, სახელმწიფო ტრანზაქციის მინიმალური ხარჯებით არის შესაძლებელი.

აღნიშნული რეჟიმი გამოსახულია P-ით. თუმცა, კერძო მოლაპარაკებებს ყოველთვის სასურველი შედეგი როდი მოჰყვება. მონაწილე მხარეთა განსხვავებულმა სიდიდემ და განსხვავებულმა საბაზრო ძალაუფლებამ შესაძლებელია გამოიწვიოს ის ფაქტი, რომ კერძო ექსპლუატაციის შემდგომი შემცირების მიზნით, საჭირო გახდეს უფრო მასშტაბურ სახელმწიფო გავლენაზე წასვლაც კი. მსგავს სიტუაციაში, პირველ რიგში საჭიროა დამოუკიდებელი შუამავლის ან არბიტრის ჩართვა, რომელიც დაპირისპირებულ მხარეებს შორის ობიექტურ თანასწორობას დაიცავს. აღნიშნული რეჟიმი ავღნიშნოთ U-თი. მაშინ, როდესაც დამოუკიდებელი არბიტრები მხოლოდ არსებული ზარალის გამო საჩივრის აღძვრის შემთხვევაში აქტიურდებიან, სახელმწიფო მარეგულირებლები ზარალის თავიდან აცილების მიზნით, უსაფრთხოების ზომებს პრობლემის დადგომამდე იღებენ. რეგულირების R რეჟიმის დროს იზრდება სახელმწიფო გავლენა და სახელმწიფო ექსპლუატაციის შესაძლებლობები, თუმცა იმავდროულად მცირდება კერძო ექსპლუატაციის დასაშვები ოდენობა, ვინაიდან კვალიფიცირებული მარეგულირებელი, სრულიად მკაფიო კანონიერი მიზეზებიდან გამომდინარე, საბაზრო ძალაუფლების მქონე ჯგუფების ზეგავლენის მიმართ ნაკლებ მგრძნობიარეა. სახელმწიფო გავლენის ყველაზე მასშტაბურ ფორმას, მნიშვნელოვანი სახელმწიფო საკუთრების თვალსაზრისით, წარმოადგენს რეჟიმი S-ი. კერძო ექსპლუატაციის შესაძლებლობები აღნიშნული რეჟიმის პირობებში მინიმალურია, სამაგიეროდ როგორც მწარმოებლები, ასევე მომხმარებლები სრულად ექვემდებარებიან სახელმწიფო ნებას.

K მრუდის მდებარეობასა და დახრაში კარგად აისახება ქვეყნის ინსტიტუციური კულტურის ძირეული დეტერმინანტები. პირველ რიგში საუბარია სოციალურ კაპიტალზე, შესაბამისად არსებული ინსტიტუციური რეგულირებისადმი ნდობაზე. თუ სოციალური კაპიტალი მცირეა, K მრუდი საწყისი წერტილიდან დაშორებული აღმოჩნდება. ქვეყანაში არსებულ კერძო და სახელმწიფო ტრანზაქციის ხარჯებზე გავლენას ასევე ახდენს ტექნიკური ცოდნის დონე და გეოგრაფიული ფაქტორები, მაგალითად, ნედლეულის არსებობა. და ბოლოს, იმ ფაქტზე, თუ რომელ პირდაპირ თუ არაპირდაპირ ტრანზაქციის ხარჯებთან არიან ქვეყნის ინსტიტუციები კავშირში, გავლენას ასევე ახდენს ჰუმანური კაპიტალი. ვინაიდან საერთაშორისო დონეზე ეკონომიკურ კულტურებს შორის დიდი სხვაობაა, დიდ მოულოდნელობას არ წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ სოციალიზმის დასრულების შემდეგ, კაპიტალისტური საბაზრო ეკონომ-

იკის ერთგვაროვანი ინსტიტუციური სტრუქტურა ვერ ჩამოყალიბდა და რომ დღესაც არსებობს ქვეყნის სპეციფიკიდან გამომდინარე განსხვავებული ეკონომიკური წესრიგები. თუმცა, რაც შეეხება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციას, დღესაც არ არის ნათელი, თუ საბოლოოდ რომელ ძალებზე იქნება დამოკიდებული ინსტიტუციური დინამიკის განვითარება.

ტრანსფორმაციის პროცესების დინამიკის შეფასების საწყის წერტილად შეიძლება ჩაითვალოს ეფექტური ინსტიტუციური ცვლილების ჰიპოთეზა. ეფექტურად შეიძლება ჩაითვალოს ინსტიტუციები, რომელთა ტრანზაქციის მთლიანი ხარჯები მინიმუმამდეა დაყვანილი. ზემოთ მოყვანილ მოცემულობაში ტრანზაქციის მთლიანი ხარჯები შედგება ბაზრისა და სახელმწიფოს ტრანზაქციის ერთიანი ხარჯებისგან. ორივე ხარჯის კომპონენტების მარტივი დაჯამებისას, ნახაზზე 11.2., G წრფის მდებარეობა ასახავს ტრანზაქციის ხარჯების მთლიან მოცულობას. ქვეყანაში K მრუდის მოცემული მდებარეობის შემთხვევაში, ეფექტური ინსტიტუციური განვითარება (გადაწყვეტა) E წერტილში წარმოიქმნებოდა. აღნიშნულ წერტილში, მოცემული ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობების პირობებში, ტრანზაქციის საერთო ხარჯები მინიმალურია. თუ ამის საპირისპიროდ, ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობები K'-სთან დაფიქსირდებოდა, ეფექტური ინსტიტუციური განვითარება (გადაწყვეტა) აღმოჩნდებოდა E' წერტილთან, რომელიც დაკავშირებულია კერძო და სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის სრულიად განსხვავებულ ურთიერთობასთან და საერთო ჯამში, ტრანზაქციის უფრო მაღალ G' ხარჯებთან. აღნიშნული განსხვავების მიზეზი შესაძლოა იყოს ინსტიტუციების ყველა ფორმის მიმართ, შესაბამისად, სოციალური კაპიტალის მიმართ ნაკლები ნდობა. გარდა ამისა, შესაძლებელია,ადგილი ჰქონდეს სახელმწიფო რეგულირების ეფექტური განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკური წინაპირობების ნაკლებობას.



ნახაზი 11.2: ეფექტიანი ინსტიტუციური ცვლილება

G და G' წრფეები აღნიშნავენ კერძო და სახელმწიფო ტრანზაქციის ხარჯებს შორის ცვლილების შესაძლებლობებს. რაც უფრო მარჯვნივ მდებარეობენ აღნიშნული წრფეები, მით უფრო მეტია ტრანზაქციის ხარჯების საერთო დონე. E და E' წერტილები, ანუ ტრანზაქციის ხარჯების წრფეებისა და ინსტიტუციური არჩევანის შესაძლებლობების მრუდების შეხების წერტილები ეფექტურ ინსტიტუციურ წონასწორობას გვიჩვენებენ. ეს არის შედეგი ტრანსფორმაციის პროცესებისა, რომლებიც სათავეს F ან F' წერტილებიდან იღებენ. F'-ის F''-სკენ გადაადგილება იწვევს „გადაჭარბებას“ (გადაცდომას) ტრანსფორმაციის პროცესში.

ტრანსფორმაციის პროცესი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც დღეს უკვე ევროკავშირის წევრები არიან, სავარაუდოდ მიუახლოვდა E წერტილს, სადაც ბაზარსა და სახელმწიფოს შორის დაბალანსებული ურთიერთობაა. ამის საპირისპირო სურათს ვხვდებით რუსეთში, სადაც ტრანსფორმაცია მაღალი დონის სახელმწიფო ექსპლუატაციიდან, რომელიც F' წერტილს შეესაბამება, სახელმწიფო გავლენის რადიკალური შემცირების გზით მიემართება F'' წერტილისკენ, რომელთანაც, გამომდინარე კერძო ექსპლუატაციიდან, ტრანზაქციის ხარჯები შედარებით მაღალია. აღნიშნული შესაძლოა შეფასდეს, როგორც ეფექტური ინსტიტუციური ცვლილების პროცესში გადამეტება. აქედან ნათლად ჩანს, რომ არ არსებობს გარანტია იმისათვის, რომ ტრანსფორმაციის პროცესები ეფექტური ინსტიტუციური ბალანსის შექმნას ძალიან სწრაფად და ადაპტაციასთან დაკავშირებული ყოველგვარი კრიზისის გარეშე მოახერხებენ. სავარაუდოდ F''-თან, ინსტიტუციების მიმართ უფრო მეტი ნდობა უნდა გაჩნდეს, მანამ, სანამ შემდგომში ტრანზაქციის ხარჯები საერთოდ შემცირდება და შეძლებისდაგვარად აგრეთვე კვლავ გაიზრდება სახელმწიფო გავლენაც. თუმცა, არ არსებობს ავტომატური მექანიზმი, რომელიც ყველგან და ყოველთვის ეფექტურ ინსტიტუციურ ცვლილებას მოიტანს. მსგავს განვითარებას ხელს უშლის სხვადასხვა მიზეზები:

- სოციალისტური ეკონომიკური წესრიგის ინერციით მოქმედების გაგრძელება მიუხედავად ტრანზაქციის მაღალი პირდაპირი და არაპირდაპირი ხარჯებისა, ცხადყოფს ინსტიტუციური თვალსაზრისით წარსულის გამოცდილების გავლენის ფენომენს. ტრანსფორმაციის პროცესის დასაწყებად საჭირო იყო, სახელმწიფო ექსპლუატაციის ხარჯების რაოდენობას ჯერ მაქსიმალური დონისათვის მიეღწია.

- ტრანსფორმაციის პროცესის პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე ეფექტური ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღება რთული ან თითქმის შეუძლებელია. მაგალითად, ბელორუსი დღესაც მდებარეობს F'-ის მსგავს წერტილთან მაშინ, როდესაც ტრანსფორმაციის მასშტაბური პროცესი მის ყველა მეზობელ ქვეყანაში უკვე დაწყებულია.

- როგორც მე-13 თავშია აღწერილი, შეთანხმებული პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და, აქედან გამომდინარე, ეფექტური ინსტიტუციური ცვლილების სანდო მხარდაჭერისათვის, არც დემოკრატიული პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესების დანერგვა წარმოადგენს მნიშვნელოვან გარანტიას.

- ინსტიტუციურ ცვლილებას ხელს უწყობს არამხოლოდ საერთო-ეკონომიკურ ეფექტურობასთან დაკავშირებული მოსაზრებები, არამედ აღნიშნულ ინსტიტუციებთან დაკავშირებული ინდივიდების ეგოისტური ინტერესებიც. ინტერესთა მსგავსი კონფლიქტის დაწვრილებითი ანალიზი მოცემულია მე-16 თავში.

- სხვადასხვა ინსტიტუციაში ცვლილებები სავარაუდოდ ასევე სხვადასხვა სისწრაფით ვითარდება, ასე რომ შესაძლოა მოხდეს ეკონომიკურ წესრიგში გადახრა, რაც თავის მხრივ, ეკონომიკური კრიზისის მიზეზი შეიძლება გახდეს.

მაშინაც კი, როდესაც ეფექტური ინსტიტუციური ცვლილების მიმართულება მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, ტრანსფორმაციის კონკრეტული ამოცანები მაინც მეტისმეტად რთულია. ცვლილების პროცესის წარმართვა საჭიროა ეკონომიკური წესრიგის ყველა ცალკეულ სფეროში. იმავდროულად, აუცილებელია ცალკეული ღონისძიებების ურთიერთგავლენის გაანალიზება და კონტროლი.

11.2 ტრანსფორმაციის პოლიტიკის ელემენტები

კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ძირითად ინსტიტუციებს წარმოადგენს ბაზრები, ფული და ეფექტური სახელმწიფო. შესაბამისად, სოციალისტური გეგმური ეკონომიკის ტრანსფორმაციისათვის საჭირო რეფორმები შემდეგ სამ სფეროს უნდა მოიცავდეს:

- რეალური სექტორის რეფორმა ქმედითუნარიანი ბაზრების უზრუნველყოფის მიზნით,

- მონეტარული სექტორის რეფორმა ქმედითუნარიანი ეკონომიკური ციკლის უზრუნველყოფის მიზნით,

- ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სისტემის რეფორმა ქმედითუნარიანი სახელმწიფო წესრიგის ჩარჩო პირობების უზრუნველყოფის მიზნით.

რეალური სექტორის რეფორმის მიზანს წარმოადგენს კონკურენტული ბაზრების შექმნა. ამასთან, საჭიროა მიმწოდებლებისა და მომხმარებლების დიდი რაოდენობის ბაზარზე დაშვების უზრუნველყოფა. შიდა დონეზე ამას ემსახურება მეწარმეობის თავისუფლების გარანტია, ხოლო გარე დონეზე საჭიროა ლიბერალიზაცია პროტექციონისტური სავაჭრო შეზღუდვებისა და ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციის გზით. ამასთან, უნდა დაიშალოს მსხვილი სახელმწიფო საწარმოები, ხოლო წარმოების საშუალებებზე საერთო საკუთრება პრივატიზაციას დაექვემდებაროს.

ადრე არსებული „სახალხო“ საკუთრების პრივატიზაციისათვის არსებობს რამდენიმე გზა. ყველაზე მარტივ ვარიანტს წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების ახალ, კერძო მესაკუთრეებზე მიყიდვა ან აუქციონზე გატანა. ეს გზა აირჩია, მაგალითად, გერმანიაში სახელმწიფო საკუთრების მართვის უწყებამ. აღნიშნული მეთოდის უპირატესობა მდგომარეობს საკუთრების უფლებების სწრაფ შეცვლაში. მეთოდის ნაკლს წარმოადგენს საკუთრების უფლებების ჭარბი მიწოდება, ვინაიდან სულ მცირე უახლოეს პერიოდში არ არის მოსალოდნელი მათი შესაბამისი მოთხოვნის არსებობა. აღნიშნულ პროცესს შედეგად მოჰყვება ყოფილ „სახალხო ქონებაზე“ ფასების მკვეთრი შემცირება, რაც არანაირად არ შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას. გარდა ამისა, ყოფილი სახელმწიფო საწარმოები ამ ფორმით გადადის მსხვილი ინვესტორების საკუთრებაში მაშინ, როდესაც კომპანიის თანამშრომლებს საკუთრების არანაირი უფლება არ გააჩნიათ.

პრივატიზაციის მეორე გზას წარმოადგენს სახელმწიფო საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა და საწარმოში დასაქმებულთათვის აქციების

გადაცემა ან მიყიდვა. ამით იქმნება საკუთრების უფლების უფრო სამართლებრივი საწყისი განაწილება, რომელიც მოგვიანებით შეიძლება შეიცვალოს საწარმოს წილების ხელახლა გაყიდვის გზით. უარყოფითი ეფექტები შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნეს საკუთრების უფლების ჭარბი მიწოდების გზით. თუმცა, პრივატიზაციის ამ ვარიანტის შემთხვევაში უარყოფითად შეიძლება იმოქმედოს იმ გარემოებამ, რომ საწარმოში ნაკლები ახალი კაპიტალი შევიდეს და, შესაბამისად, არასაკმარისი აღმოჩნდეს განახლებისათვის საჭირო ინვესტიციები.

და ბოლოს, პრივატიზაციის მესამე ვარიანტი ყოფილი სახელმწიფო საწარმოების აქციების შესაძენად მთელი მოსახლეობისათვის ვაუჩერების გაცემას ითვალისწინებს. აღნიშნული მოდელი ხალხის საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზების მიზნით, გამოყენებულ იქნა მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში. პრინციპში, ამ ფორმას შესაძლოა მოჰყვეს საკუთრების უფლებების მეტისმეტად ფართოდ გაფანტვა. გარდა ამისა, პირველადი განაწილების შემდეგ, შესაძლებელია გაჩნდეს ვაუჩერების ბაზარი. შედეგად, მოსალოდნელია საკუთრების უფლებებმა ხელახლა მოიყაროს თავი შედარებით ნაკლები კაპიტალის მფლობელი ინვესტორების ხელში, თუმცა, ვაუჩერების გაყიდვით, მათმა პირველადმა მფლობელებმაც გარკვეული ქონების დაგროვება შეძლონ. მონეტარული სექტორის რეფორმით უნდა მოხდეს ფულის ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფა და შეიქმნას საკმარისი მაკროეკონომიკური მართვის საფუძველი. ამ მიზნით პირველ რიგში საჭიროა ფართომასშტაბიანი ფასების რეფორმის გატარება, რომლის დროსაც უნდა შემცირდეს სახელმწიფო ფასებისა და ხელფასების ურთიერთკავშირი და ასევე ფასებისა და ხელფასების სახელმწიფო სუბსიდირება. შემდგომ, საჭიროა შეიქმნას ორსაფეხურიანი საბანკო სისტემა, რომელშიც ცენტრალური ბანკი პასუხისმგებელი იქნება ფულით უზრუნველყოფასა და მონეტარული სიდიდეების სტაბილურობაზე მაშინ, როდესაც კერძო კომერციული ბანკები საკუთარ თავზე იღებენ ვალდებულებას, კრედიტებით უზრუნველყონ ეკონომიკის კერძო სექტორი, ეფექტურობის ზუსტი განსაზღვრის გათვალისწინებით. ცენტრალურ ბანკს არ უნდა ჰქონდეს კრედიტების გაცემის უფლება არც ბიზნეს-სუბიექტებზე და არც სახელმწიფო ბიუჯეტებისთვის. და ბოლოს, საერთაშორისო ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობის, ასევე ეროვნული ვალუტის საერთაშორისო მსყიდველობითი უნარის უზრუნველყოფის მიზნით საჭიროა მოიხსნას სხვა ვალუტებზე გაცვლის შეზღუდვა და ამით შეიქმნას ვალუტის თავისუფალი კონვერტირებადობის პირობები. ტრანსფორმაციული ეკონომიკის ვალუტის მსყიდველობითი უნარისადმი დაბალი ნდობის პირობებში, გონივრული იქნებოდა საერთაშორისო დონეზე აღიარებული ვალუტის მიმართ ფიქსირებული გაცვლითი კურსის საშუალებით აღნიშნული ვალუტის რეპუტაციის გაზიარება. აღნიშნული იდეა წარმოადგენდა ე.წ. სავალუტო საბჭოს საფუძველს, რომელიც განახორციელა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრმა ტრანსფორმაციულმა ქვეყანამ ეროვნული ვალუტის გერმანული მარკის, შესაბამისად, ევროს მიმართ გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით. სავალუტო საბჭოს პირობებში, გაცვლითი კურსის სტაბილურობის მიღწევა შესაძლებელია ქვეყნის ეროვნული ფულადი მასის სტაბილური უცხოური ვალუტის სავალუტო რეზერვებით სულ მცირე 100%-იანი დაფარვით. ამ გზით იქმნება იმის შესაძლებლობა, რომ ეროვნული ვალუტა ნებისმიერ დროს დადგენილი კურსით გადაიცვალოს უცხოურ ვალუტაზე.

11.3 ტრანსფორმაციის სტრატეგიები

ნებისმიერი ტრანსფორმაციის ძირითად პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ საკმაოდ მოკლე დროში რადიკალურად უნდა შეიცვალოს მთლიანი ეკონომიკური წესრიგი. ამის გამო სწრაფად ხდება უამრავი შეზღუდვის წინასწარ დაპროგრამება, რომლებიც სავარაუდოდ მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში კეთილდღეობისათვის საჭირო საგრძნობი მოგების მიღების საწინააღმდეგოდ მოქმედებენ. ამასთან გამოყოფენ სამი ტიპის პრობლემას:

- რამდენად თანმიმდევრული და შეთანხმებულია სხვადასხვა სფეროში გატარებული რეფორმები?
- რამდენად კოორდინირებულია ერთმანეთთან სხვადასხვა სფეროში გატარებული რეფორმები, როგორც შინაარსობრივად, ასევე დროის თვალსაზრისით?
- რამდენად შესაძლებელია, რომ ეკონომიკური წესრიგის ცვლილებები ინსტიტუციური კულტურის ცვლილებებს ეყრდნობოდეს?

ტრანსფორმაციის პრაქტიკიდან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემების დასაძლევად განვითარდა ორი სხვადასხვა სტრატეგია. შესაძლებლობა, რომელსაც შოკურ თერაპიას უწოდებენ, მდგომარეობს იმაში, რომ ყველა ამ რეფორმისათვის საჭირო ღონისძიებები შეძლებისდაგვარად სწრაფად გატარდეს და არსებობდეს ნდობა იმისა, რომ ინსტიტუციური ცვლილება ეფექტური აღმოჩნდება. ეს იძლევა იმის შანსს, რომ ხანმოკლე, თუმცა ადაპტაციასთან დაკავშირებული მეტწილად ძლიერი კრიზისის შემდეგ ასევე სწრაფად რეალიზდება ეფექტური ინსტიტუციების მიერ კეთილდღეობის მომტანი მოგება. რეფორმების პროცესი კომპაქტურ ერთიანობას წარმოადგენს. პოლიტიკური თვალსაზრისით, შოკური თერაპიის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ტრანსფორმაციის მოწინააღმდეგეებს რეფორმების შეჩერებისათვის ნაკლები საშუალება ეძლევათ. უარყოფითი გავლენა შეიძლება იქონიოს იმ გარემოებამ, რომ რეფორმის გამტარებლები აღნიშნული ამოცანისთვის ნაკლებად კვალიფიციურნი არიან. ამ შემთხვევაში, მაგალითად, ეფექტური სახელმწიფო მართვის შექმნა არასაკმარისია და ამით მცირდება სახელმწიფო გავლენა ბაზრებსა და ეკონომიკურ ციკლზე. ამგვარად განვითარებული კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკა, ხშირად მგრძნობიარეა სტაბილიზაციის პოლიტიკით გამოწვეული ალოკაციური გადახრებისადმი.

შოკური თერაპიის საპირისპირო პოზიციას წარმოადგენს გრადუალიზმი ანუ ეტაპობრივი ტრანსფორმაციის სტრატეგია. ეტაპობრივი სტრატეგია სრულიად გააზრებულად არ ჩქარობს ახალი ინსტიტუციური სტრუქტურის ჩამოყალიბებას და ამით ხშირად, ეკონომიკური ადაპტაციის კრიზისიც დროში ჭიანურდება. შედეგად რეფორმის მოწინააღმდეგეებს, ტრანსფორმაციის პროცესის შესაჩერებლად ან მისი გადავადებისთვის მეტი შესაძლებლობა აქვთ. წარმატებული ეტაპობრივი ტრანსფორმაციის სტრატეგიისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა რეფორმების განხორციელებისათვის გადადგმული ნაბიჯების ე.წ. თანმიმდევრობითობას ენიჭება. ტრანსფორმაციას დაქვემდებარებულ ეკონომიკურ სისტემებში სხვადასხვა საწყისი პირობების თვალსაზრისით არ არსებობს წარმატე-

ბული თანმიმდევრობითობის აუცილებელი წესები. თუმცა, ერთი რამ ცხადია, გრადუალისტური სტრატეგიის დროს პირველ რიგში საჭიროა, შეიქმნას საბაზრო ეკონომიკის ზოგადი ჩარჩო პირობები მანამ, სანამ საქმე ბაზრების ლიბერალიზაციამდე მივა.

11.4 მაგალითი: ტრანსფორმაცია აღმოსავლეთ გერმანიაში

11.4.1 საწყისი სიტუაცია: გდრ-ის ეკონომიკური წესრიგი

ორივე სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელთა თანახმადაც 1990 წელს გერმანიის ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობა აღსრულდა, წარმოადგენდა აღმოსავლეთ გერმანიაში ეკონომიკური ტრანსფორმაციის სამართლებრივ ამოსავალ წერტილს. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებული სოციალისტური ეკონომიკური წესრიგი უნდა გადასულიყო ფედერაციულ რესპუბლიკაში ისტორიულად დამკვიდრებულ და განვითარებულ საბაზრო ეკონომიკურ წესრიგზე. ტრანსფორმაციის არჩეული სტრატეგიების მოსალოდნელი შედეგები ახალ ფედერალურ მხარეებში დღესაც საგრძნობია. აღნიშნულმა სტრატეგიებმა გაერთიანებული გერმანიის ეკონომიკის განვითარებაზე გრძელვადიანი გავლენა მოახდინა. ტრანსფორმაციის მიზნით ქმედებების შესაძლო ვარიანტებისა და რეალურად გადადგმული ნაბიჯების შეფასებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საწყისი სიტუაციის შესახებ აბსოლუტურად ნათელი წარმოდგენის შექმნა.

გდრ-ში არსებობდა ეკონომიკური წესრიგი, რომლის მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტები 1968 წელს მიღებული კონსტიტუციით იყო გამყარებული. აღნიშნული კონსტიტუციის თანახმად, გდრ-ი „სოციალისტური გეგმური ეკონომიკის“ სახელმწიფოს წარმოადგენდა (მუხლი 2, თავი 2). მარქსისტულ-ლენინური თეორიის თანახმად, ცენტრალური დაგეგმვით უნდა უზრუნველყოფილიყო ეკონომიკის ყველა სფეროს თანაბარი განვითარება, რაც უფრო სწრაფი ეკონომიკური ზრდის საშუალებას იძლეოდა, ვიდრე ეს საბაზრო ეკონომიკური სისტემის პირობებში იქნებოდა შესაძლებელი. წარმოების საშუალებებზე კოლექტიურ საკუთრებას თავიდან უნდა აეცილებინა წარმოების და საქონლისა და შემოსავლების განაწილების დროს შესაძლო ექსპლუატაცია და ჩაგვრა.

სახალხო ეკონომიკის დაგეგმვის პროცესის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა წარმოების მრავალსაფეხურიანი ცენტრალური დაგეგმვა ე.წ. „რაოდენობრივი ბალანსების“ საფუძველზე. ამოსავალი წერტილი იყო „სახალხო ეკონომიკის თვალსაზრისით დასაბუთებული მოთხოვნა ნაწარმზე“, რომელიც პოლიტიკურად განისაზღვრებოდა. იგი ასახავდა დაგეგმვის პრინციპებს მთლიანი პროდუქციის მოხმარებაზე, ინვესტიციებზე, სახელმწიფო ხარჯებზე (შეიარაღების ჩათვლით) და ექსპორტზე განაწილების თვალსაზრისით. ერთმანეთს შეადარეს ცალკეულ მოთხოვნათა რაოდენობა და ბალანსში არსებული რეზერვები, განსხვავება წარდგენილ იქნა სახელმწიფო საგეგმო უწყებაში, როგორც მოთხოვნილი რაოდენობა, სადაც დაანგარიშდა მოთხოვნილი რაოდენობის

შესაქმნელად საჭირო წარმოების ფაქტორების ხარჯები (სამუშაო ძალა, წარმოების საშუალებები, ნედლეული), ტექნიკური კოეფიციენტებისა და დადგენილი ნორმების გათვალისწინებით. დაგეგმვა ფორსირებულად მიმდინარეობდა მანამ, სანამ ყველა ის საქონელი და საწარმოო ფაქტორი არ იქნებოდა შესწავლილი, რომელთა რაოდენობაც დაგეგმვის პერიოდში ვერ გაიზრდებოდა და, შესაბამისად, დეფიციტურ ფაქტორებად გამოავლენდნენ თავს. დეფიციტების შევსება შესაძლებელი იყო იმპორტით, ტექნიკური კოეფიციენტების ან დადგენილი ნორმების შეცვლით. დარჩენილი დეფიციტური ხვრელების გამო საჭირო გახდა რეალურად წარმოებული რაოდენობის შემცირება და ამით მოსალოდნელი მოთხოვნის რაოდენობის კორექცია. გეგმების სრულყოფა ევალებოდა ცალკეულ, სახალხო საკუთრებაში არსებულ საწარმოებს (VEB), რომლებიც ნაწილობრივ გართიანებული იყვნენ დარგების შესაბამის გაერთიანებებად (სახალხო საკუთრებაში არსებული საწარმოების გაერთიანებები – VVB) და ჰორიზონტალურად ან ვერტიკალურად ინტეგრირებულ კომბინატებად (სახალხო საკუთრებაში არსებული კომბინატები, VEK).

მატერიალური დაგეგმვა გართულდა იმით, რომ ფულადი უზრუნველყოფის გამო საჭირო იყო მისი შეთანხმება საფინანსო დაგეგმვასთან. ფული გდრ-ში გამოიყენებოდა, როგორც საწარმოთაშორისი ბრუნვის საგადასახადო საშუალება (უნაღდო ანგარიშსწორების საშუალება) და ხელფასების გაცემისა და სამომხმარებლო საქონლის შესაძენად საჭირო საშუალება (ნაღდი ფული). საფინანსო ურთიერთობების დაგეგმვა და შეთანხმება კვლავინდებურად დაბალანსების მეთოდის გამოყენებით ხორციელდებოდა.

კარლ მარქსი და კლასობრივი ბრძოლა

კარლ ჰაინრიხ მარქსი (1818-1883) დაიბადა ტრირში, იგი სწავლობდა იურისპრუდენციას ბონსა და ბერლინში, სადაც მისი ყურადღება სულ უფრო მეტად მიიპყრო ფილოსოფიამ და ისტორიამ და იგი გაერთიანდა ახალგაზრდა მემარცხენე ჰეგელიანელთა წრეში. 1841 წელს იენის უნივერსიტეტში მარქსმა დაიცვა ხარისხი ფილოსოფიის დარგში. ვინაიდან მისთვის აკადემიური კარიერა მიუწვდომელი რჩებოდა, 1842 წელს მან დაიწყო მოღვაწეობა, როგორც პოლიტიკურმა ჟურნალისტმა კიოლნის ერთ-ერთ გაზეთში. მას შემდეგ, რაც გაზეთი 1843 წელს პრუსიის ცენზურამ აკრძალა, მარქსი გადასახლდა პარიზში, სადაც იგი 1844 წელს პირველად შეხვდა ფრიდრიხ ენგელსს. 1846 წელს მათ მიიღეს მონაწილეობა ბრიუსელში კომუნისტური კავშირის დაარსებაში, რომლისთვისაც 1848 წელს შექმნეს კომუნისტური პარტიის საპროგრამო მანიფესტი. 1848 წლის გერმანიის მარტის რევოლუციის დროს კიოლნში ცოტა ხნით დაბრუნების შემდეგ, მარქსი ლონდონში გადასახლდა, სადაც იგი – ხშირად მეტისმეტად გაჭირვებულ პირობებში, სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა. სწორედ აქ იქმნება მისი მთავარი შრომა: კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა, სამტომეული (ჰამბურგი, 1867-1894).

მარქსი, როგორც მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელი, უდავოდ ითვლება თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ფილოსოფოსად და პოლიტიკის თეორეტიკოსად. მის ეკონომიკურ ანალიზებში, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან ფორმალური და ისტორიული ხედვა, იგი კაპიტა-

ლიზმს განიხილავს, როგორც მაღალმწარმოებლურ სისტემას, რომელიც მზარდი შინაგანი წინააღმდეგობების გამო გრძელვადიან პერსპექტივაში დაღუპვისათვის არის განწირული. წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების შემოღების შედეგად, მარქსის აზრით, აუცილებლად წარმოიქმნება საკუთრების არმქონე მუშათა კლასი, რომელსაც კაპიტალისტთა კლასი ექსპლუატაციას უწევს. რიკარდოს ღირებულებით თეორიაზე დაყრდნობით, მარქსმა განავითარა განსაკუთრებული თეორია საქონლისა და ფულის ცირკულაციის პროცესში ექსპლუატაციის ახსნის მიზნით. აღნიშნული თეორიის მიხედვით, კაპიტალისტი ითვისებს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც წარმოიშობა იმით, რომ საქონლის გასაყიდი ფასი მეტია საქონლის წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობაზე. ექსპლუატაციის გზით წარმოქმნილი კლასობრივი ანტაგონიზმი და კლასობრივი ბრძოლა გრძელვადიან პერსპექტივაში იწვევს სულ უფრო მწვავე საზოგადოებრივ დაპირისპირებას, თუმცა ასევე უფრო მწვავე ეკონომიკურ კრიზისებს და მუშათა კლასის გაღატაკებას. საბოლოოდ კაპიტალისტური სისტემის წინააღმდეგობანი დაიძლევა მხოლოდ რევოლუციის გზით, რომლის შედეგადაც კერძო საკუთრების წესრიგი კოლექტიური საკუთრების წესრიგით იცვლება. თუმცა, სოციალისტური ეკონომიკის ორგანიზაციული პრინციპებისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ, მარქსს მეტად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა.

სახელმწიფოს, საწარმოებისა და კერძო ბიუჯეტების საფინასო ბალანსები იქმნებოდა დაგეგმილი და შეფასებული შემოსავლებისა და დანახარჯების გათვალისწინებით. წარმოქმნილი უთანაბრობა უნდა დაბალანსებულიყო მატერიალური დაბალანსებისა და დაგეგმვის შეთანხმებით. თუმცა, რაოდენობრივის საფინანსო დაგეგმვასთან შეთანხმებისას ცალკეულ საქონელს ფასი უნდა დასდებოდა. ამ მიზნით, საწარმოო ფასების დაწესება ხდებოდა ოფიციალურ დონეზე, კერძოდ, წარმოების საშუალო ხარჯების მიხედვით, ნორმირებული მოგების ნაზარდის გათვალისწინებით, რაც ემსახურებოდა ახალი ინვესტიციების დაფინანსებასა და სახელმწიფო ბიუჯეტის შევსებას. ვინაიდან, მოთხოვნის მხარე გათვალისწინებული არ იყო, აღნიშნულ დარეგულირებულ ფასებს ჰქონდათ არა ალოკაციური, არამედ წმინდად საანგარიშო ფუნქცია. ბევრი სამომხმარებლო ფასი სოციალურ-პოლიტიკური მოსაზრებით, მეტისმეტად დაბალ დონეზე ფიქსირდებოდა. საწარმოო ფასებთან განსხავება უნდა დაფარულიყო მნიშვნელოვანი სახელმწიფო სუბსიდიებით.

გდრ-ში საწარმოო ფაქტორების ეფექტური გამოყენება და შესაბამისად შრომის სტიმულირება რაოდენობრივი დაგეგმვის ძირითად პრობლემას წარმოადგენდა, რაც რეალისტური ფასების სისტემით ინფორმაციის გადაცემაზე უარის თქმას გულისხმობდა. ცალკეული საწარმოები ხშირად ცდილობდნენ, გეგმის შესრულების ვალდებულებისათვის „მარტივი გეგმების პოლიტიკის“ საშუალებით დაეღწიათ თავი. გეგმის შემუშავების ფაზაში ისინი საგეგმო უწყებებს თავიანთი რეალური მწარმოებლურობისა და გეგმის შესრულებისათვის საჭირო საწარმოო ფაქტორების შესახებ არასწორ ან არასრულ ინფორმაციას აწვდიდნენ. დამალული საწარმოო რეზერვებით ისინი გეგმას გადაჭარბებით ასრულებდნენ და შესაბამისად მაღალ პრემიებსაც იმსახურებდნენ. ხშირად საწარმოები ცდილობდნენ, წარმოებისათვის საჭირო საშუალებები საგეგმო უწყების გვერდის ავლით მოეპოვებინათ, რათა საგეგმო დირექტივებზე ნაკლებად დამოკიდებულნი ყოფილიყვნენ და ნედლეულის მიწოდების დეფიციტის შემთხვევაში, უფრო მოქნილად ემოქმედათ. იგივე მიზანს ემსახურებოდა ნედლეულის, ნახევარფაბრიკატებისა და მზა პროდუქციის შენახვა, რომლის შესახებ ინფორმაციაც საგეგმო უწყებამდე არ მიდიოდა. განსაკუთრებულ პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიური პროგრესის დაგეგმვა პრაქტიკულად შეუძლებელი იყო. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა ახალი პროდუქტების ან მეთოდების სახით, წარმოებისათვის სავალდებულო გეგმის შეუსრულებლობის რისკთან იყო დაკავშირებული. სწორედ ამიტომ, ისინი არცთუ იშვიათად რისკის შემცველი სიახლეების დანერგვის ნაცვლად პროდუქტებისა და მეთოდების შემდგომ განვითარებას ან მის გაუმჯობესებას ანიჭებდნენ უპირატესობას. საბაზისო ინოვაციები ამიტომ ხშირად უცხოეთიდან იმპორტის სახით შემოდიოდა. შრომის პროდუქტიულობის ინოვაციების ან ინვესტიციების გზით გაზრდის ნაცვლად საწარმოები ცდილობდნენ, დასაქმებულთა რაოდენობის მუდმივი გაზრდით გაეუმჯობესებინათ წარმოების შედეგები. წარმოებული პროდუქტები სულ უფრო ნაკლებად აკმაყოფილებდა მომხმარებელთა სურვილს. შემოსავლების მაღალი ქვოტის მიუხედავად, დეფიციტი მომარაგების სფეროში, ინოვაციების დანერგვის თვალსაზრისით მკვეთრად გამოხატული ჩამორჩენა და ქრონიკული დეფიციტი უცხოურ ვალუტაზე, 70-იანი წლების შუა პერიოდიდან გდრ-ის ეკონომიკის მახასიათებლებს წარმოადგენდნენ. ინდუსტრიული საწარმოო ტექნიკის, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და საცხოვრებელი ფონდის განახლება ნაკლებად ხორციელდებოდა. სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ეკონომიკურმა წარუმატებლობებმა პოლიტიკურად მნიშვნელოვნად განაპირობა გდრ-ის დაშლა და გერმანიის გაერთიანება.

11.4.2 ტრანსფორმაციის პოლიტიკის ღონისძიებები და შედეგები

ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის ეკონომიკური გაერთიანება დაიწყო 1990 წლის 1 ივლისს ეკონომიკური, სავალუტო და სოციალური კავშირით. სოციალური საბაზრო ეკონომიკა ერთიანი გერმანული სახელმწიფოს ეკონომიკურ წესრიგად გამოცხადდა, აღმოსავლეთ გერმანიის მარკა დოიჩე მარკაზე მიმდინარე ანგარიშსწორებისას და ასევე შემნახველი საბანკო ანგარიშების ნაწილის შემთხვევაში, გადაიცვალა გაცვლითი კურსით 1:1-ზე (დარჩენილი ნაწილი გადაიცვალა კურსით 2:1), დასავლეთ გერმანიის ეკონომიკისა და სოციალურ სფეროში არსებული კანონები აღმოსავლეთ გერმანიაშიც ამოქმედდა. აქედან გამომდინარე, ბევრ სხვა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ტრანსფორმაციულ ქვეყანასთან შედარებით, აღმოსავლეთ გერმანიაში ეკონომიკური სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტები უმოკლეს პერიოდში ქმედითუნარიანი გახდა. ფულადი, სოციალური და საფინანსო სისტემები დასავლეთ-გერმანული ინსტიტუციების დახმარებით ერთმნიშვნელოვნად მოწესრიგდა. კონვერტირებადი ფულადი სისტემით ასევე ცალსახად დარეგულირდა საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები. ამ თვალსაზრისით აღმოსავლეთ გერმანიაში განხორციელებული ტრანსფორმაცია სრულად შეესაბამებოდა შოკურ თერაპიას, რომლის დროსაც შესაბამისი ე.წ. თანმიმდევრულობის საკითხი არც კი დასმულა.

ჯეფრი საქსი და შოკური თერაპია

ჯეფრი დევიდ საქსი (დაბ. 1954 წ. დეტროიტში) ეკონომიკურ მეცნიერებებს სწავლობდა ჰარვარდში, სადაც მან 1980 წელს სამეცნიერო ხარისხი დაიცვა და მალევე საერთაშორისო ვაჭრობის სფეროში პროფესორის წოდება მიიღო. 2002 წელს ის გადავიდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში. ის ხელმძღვანელობს „*Earth Institute*"-ს და ამავდროულად არის გაეროს მილენიუმის პროექტის დირექტორი. გარდა ამისა, იგი არის მრავალი მთავრობისა თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მრჩეველი ეკონომიკური პოლიტიკის სფეროში. მის ძირითად შრომებს წარმოადგენს: *Macroeconomics in the Global Economy* (*New York*, 1993); *Economies in Transition* (*Cambridge*, 1997); *The End of Poverty: Economic Possibilities for Our Time* (*New York*, 2005).

საქსი მსოფლიოს მასშტაბით ცნობილი გახდა ლათინური ამერიკის, აღმოსავლეთ ევროპისა და აფრიკის სხვადასხვა ქვეყანასთან თანამშრომლობით ფუნდამენტური ეკონომიკური რეფორმების გატარების დროს. 1985 წელს მან მონაწილეობა მიიღო ბოლივიაში მასშტაბური ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმების სტრატეგიის შემუშავებაში. სახელმწიფო დანახარჯების სფეროში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმით, ფასების რეფორმითა და ღია საგარეო ეკონომიკით უმოკლეს დროში უნდა მოხდეს ინფლაციის დაძლევა და საფუძველი ჩაეყაროს გრძელვადიან ეკონომიკურ განვითარებას. ბოლივიაში შოკური თერაპიის წარმატება მისაბაძი მაგალითი გახდა არამხოლოდ ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებისათვის, არამედ იმ ეკონომიკური რეფორმებისთვისაც, რომლებიც 1989 წლიდან ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში განხორციელდა. საქსი თავდაპირველად იყო პოლონეთის მთავრობის მრჩეველი, რომელმაც მიიღო გადაწყვეტილება საკმაოდ მოკლე დროში კომპლექსური მონეტარული, რეალური ეკონომიკისა და ინსტიტუციური რეფორმების გატარების თაობაზე. სტაბილიზაციასთან დაკავშირებული ხანმოკლე, მაგრამ მწვავე კრიზისის შემდეგ, შოკურ თერაპიას ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი მოჰყვება. 1991 წლიდან საქსი კონსულტაციას უწევს ასევე რუსეთის მთავრობას და მუდმივად მოუწოდებს შეძლებისდაგვარად სწრაფი და მასშტაბური ტრანსფორმაციისაკენ. ნაკლებ განვითარებული ინსტიტუციური სტრუქტურის გამო, პრივატიზაციის სწრაფი ტემპი რუსეთში ქონების განაწილების მკვეთრ უთანასწორობას იწვევს, რომელიც, თავის მხრივ, ხელს უშლის თანამედროვე ინდუსტრიული სტრუქტურის ჩამოყალიბებას. ამ გამოცდილებამ აშკარად იმოქმედა საქსის მიერ პროპაგანდირებული რეფორმების კონცეფციის შეცვლის თვალსაზრისით, როდესაც მან 1995 წლიდან აფრიკის ეკონომიკურ მდგომარეობაზე დაიწყო მუშაობა. ბევრი სხვა ეკონომისტისგან განსხვავებით, საქსი აფრიკაში გრძელვადიანი სტაგნაციის მიზეზად გეოგრაფიულ ფაქტორებს, მათ შორის მალარიის გავრცელებას მიიჩნევს. აქედან გამომდინარე, მას მიაჩნია, რომ სიღარიბისა და ცხოვრების დონის ხანგრძლივი გაუმჯობესების წინაპირობას ინფრასტრუქტურაში, განათლებასა და ჯანდაცვაში ინვესტიციების განხორციელება წარმოადგენს, რაც განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მასობრივი გარე დაფინანსებით უნდა განხორციელდეს. მაშასადამე, შოკური თერაპია, რომელიც მხოლოდ ბაზრის კეთილდღეობის შემქმნელი ეფექტებისკენ არის მიმართული, აფრიკის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სახელმწიფოს მხრიდან უფრო აქტიურ ჩართულობასთან შედარებით ტრანზაქციის მეტისმეტად დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

საკუთრების სისტემის მოწესრიგება, შესაბამისად, კონკურენციის სისტემის მნიშვნელოვანი საფუძვლები საგრძნობი მხოლოდ 1990 წლის ოქტომბერში სახელმწიფოს გაერთიანების შემდეგ გახდა. გდრ-ში სახალხო საკუთრებაში არსებული საწარმოები გადაეცა გერმანიის სახელმწიფო ქონების მართვის ფედერალურ უწყებას (*Treuhandanstalt*), რომელსაც 1990-1994 წ.წ. გააჩნდა საწარმოებისა და უძრავი ქონების რეკონსტრუქციის, გაყიდვის გზით პრივატიზების ან დახურვის უფლებამოსილება. იგი ცდილობდა, რაც შეიძლება სწრაფად განეხორციელებინა პრივატიზაცია. ამასთან, გასათვალისწინებელი იყო ის გარემოებაც, რომ კერძო საკუთრების გარანტიაზე დაყრდნობით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის თანახმად, საკუთრების უკანონო ჩამორთმევის შემთხვევაში უნდა მომხდარიყო მისი უკან დაბრუნება. ვინაიდან გაერთიანების ხელშეკრულებით დამკვიდრდა მიდგომა „რესტიტუცია კომპენსაციამდე". გაურკვეველი, მაგრამ კანონიერი პრეტენზიის გამო, ბევრ პოტენციურ ძველ მესაკუთრეს პრივატიზაციის დროს თავდაპირველად ადმინისტრაციული პრობლემები შეექმნა. მხოლოდ 1992 წლის ბოლოდან კანონის შემოღებით, რომელიც აწესრიგებდა ღია (შეუზღუდავი) ქონების საკითხებს, შეიზღუდა ძველი მესაკუთრეების პრეტენზია საკუთრების უკან დაბრუნების თაობაზე. საკუთრების დაბრუნების პრეტენზია არ დაკმაყოფილდა:

- ინვესტორების იმ განზრახვის საპირისპიროდ, რომელიც შეესაბამებოდა სამუშაო ადგილების უზრუნველყოფას ან ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ან
- როდესაც ძველი მესაკუთრე არ იძლეოდა საწარმოს შემდგომი ფუნქციონირების გარანტიას.

ორივე შემთხვევაში საჭირო გახდა ძველი მესაკუთრეების ფინანსური კომპენსაციით დაკმაყოფილება, ახალი ინვესტორებისთვის უპირატესობის მინიჭების მიზნით.

გერმანიის ფედერალური მთავრობის უპირველესი ამოცანა იყო 3 მილიონი ადამიანის სამუშაო ადგილით უზრუნველყოფა, რომლებიც მანამდე დასაქმებული იყვნენ 9.000 საწარმოში, 20.000 სავაჭრო დაწესებულებასა და 7.500 სასტუმროსა და საზოგადაოებრივი კვების ობიექტში. ამას ემატებოდა 2,3 მილიონი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა და 1,9 მილიონი ჰექტარი ტყე. კონკურენციის მკვეთრი გააქტიურების ინტერესიდან გამომდინარე, გერმანიის ფედერალური მთავრობის ამოცანა იყო გაყიდვის გზით შეძლებისდაგვარად სწრაფი პრივატიზაციის განხორციელება. ყოფილი სახალხო საკუთრებაში არსებული საწარმოების განახლება უნდა მომხდარიყო არა ახალი სახელმწიფო მესაკუთრეების ხარჯზე, არამედ კერძო ინვესტორების მიერ. 1990 წელს საპრივატიზაციო ქონების ღირებულება 600 მილიარდ მარკად შეფასდა. 1994 წლის ბოლოს, როდესაც სახელმწიფო ქონების მართვის უწყებამ დაასრულა თავისი ოპერატიული საქმიანობა, მის მიერ კერძო საკუთრებაში გადაცემული იყო ზუსტად 15.000 საწარმო, რომლებიც ნაწილობრივ კომბინატების დაშლის შედეგად ჩამოყალიბდნენ და 25.000 სხვა საწარმოო დაწესებულება. გაყიდვიდან მიღებული დაბალი ამონაგების, ძველი ვალებისა (ძველი გადაუწყვეტელი პრობლემების) და ახალი მესაკუთრეებისათვის გამოყოფილი ფინანსური დახმარების გამო, მან თავისი მოღვაწეობა დაასრულა ზარალით, რაც 270 მილიარდ მარკას შეადგენდა და რომელიც საბოლოოდ ფედერალური ბიუჯეტიდან შეივსო. პრივატიზაციის დაბალი ამონაგებისა და მაღალი ხარჯების მიზეზად დასახელდა, ერთი მხრივ,

მოძველებული პროდუქტიული ქონება, რომელიც საბაზრო ეკონომიკის კონკურენციის პირობებში, მეტწილად გამოუსადეგარი იყო, მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ შედარებით მოკლე პერიოდში ვერ მოხერხდა ფინანსურად ძლიერი ინვესტორების საკმარისი რაოდენობის პოვნა.

აღმოსავლეთ გერმანიაში ეკონომიკური აღმავლობისათვის უმთავრესი პრობლემა დასავლეთ გერმანიის შრომის ბაზრისა და სოციალური წესრიგის გადმოღება აღმოჩნდა. ხელფასების 1:1-ზე გადასვლამ და საწყის ეტაპზე სატარიფო მხარეების მიერ დასახულმა მიზანმა, უმოკლეს ვადებში აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ხელფასების გათანაბრებისათვის მიეღწიათ, აღმოსავლეთ გერმანიაში გამოიწვია შრომითი ხარჯების მკვეთრი ზრდა. ვინაიდან ახალი ინვესტიციების მიუხედავად შრომის მწარმოებლურობა ბევრად ჩამორჩებოდა დასავლურ სტანდარტს, აღმოსავლეთ გერმანიის კონკურენტუნარიანობა საერთაშორისო დონეზე დრამატულად გაუარესდა. უამრავი საწარმოს დაშლამ ხელი შეუწყო უმუშევრობის მკვეთრ ზრდას. აღმოსავლეთ გერმანიაში სატარიფო პოლიტიკისათვის უარყოფითი შედეგის მომტანი აღმოჩნდა ის, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდნენ დასავლეთ გერმანიის პროფკავშირები, რომ ახლად წარმოქმნილ ფირმებს ჯერ არ ჰქონდა ქმედითუნარიანი მენეჯმენტი. ამას ემატებოდა მცდელობა იმისა, რომ სავალუტო ცვლილებისას ქონების დაკარგვის კომპენსაცია მაღალი მიმდინარე შემოსავლებით უნდა მომხდარიყო და, რომ სოციალური დაცვის სისტემით შესაძლებელი ჩანდა არჩეული სახელფასო სტრატეგიის შემსუბუქება. უპირველეს ყოვლისა მკვეთრად გაიზარდა შრომის ფედერალური უწყების პროგრამები უმუშევართა უზრუნველყოფისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. აქედან გამომდინარე, მთელ გერმანიაში გაიზარდა ხელფასის დამატებითი ხარჯები, რაც ტვირთად დააწვა დასავლეთ გერმანიის შრომის ბაზარს.

ძირითადი ცნებები

- ტრანსფორმაცია
- სოციალური კაპიტალი
- წარსულის გამოცდილებაზე დამოკიდებულება
- შოკური თერაპია
- გრადუალიზმი
- თანმიმდევრობითობა

დავალებები

1. ქოუზის ინსტიტუციური გადაწყვეტილებების თეორემის შეუძლებლობა (Acemoglu 2003)

სახელმწიფო და კერძო ტრანზაქციის ხარჯების არარსებობის შემთხვევაში ინსტიტუციური ცვლილება ყოველთვის ეფექტურ შედეგს გამოიღებს. რეალურად ეს სრულებით არ შეესაბამება სიმართლეს. ახსენით, რატომ ხდება, რომ ეკონომიკური სისტემების ტრანსფორმაციის დროს კიდევ უფრო ნაკლებად არის შესაძლებელი ქოუზის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობა, ვიდრე ორ ინდივიდს შორის მოლაპარაკების დროს და, აქედან გამომდინარე, რატომ არის ინსტიტუციური წარსული გამოცდილების გავლენის მაღალი ხარისხი კვლევინდებურად თვალშისაცემი.

2. შოკური თერაპიის უპირატესობები და ნაკლოვანებები

იმსჯელეთ განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში საბაზრო ეკონომიკის დანერგვის მიზნით, შოკური თერაპიის გამოყენების დადებით და უარყოფით მხარეებზე.

3. სოციალური შეთანხმება აღმოსავლეთ გერმანიისათვის?

გერლინდე და ჰანს-ვერნერ ზინებმა (Sinn/Sinn 1993), აღმოსავლეთ გერმანიაში რეალურად განხორციელებადი ტრანსფორმაციის სტრატეგიის ალტერნატივად წარმოადგინეს სახელმწიფოსა და სატარიფო მხარეებს შორის სოციალური შეთანხმება, შემდეგი შემადგენელი ნაწილებით:

4. ჯერ უნდა მოხდეს ფედერალური უწყების მიერ საწარმოების რეკონსტრუქცია და შემდგომ მათი პრივატიზაცია.

დასაქმებულები უარს იტყვიან დასავლური სტანდარტის შესაბამისად ხელფასის სწრაფ მომატებაზე და სანაცვლოდ მიიღებენ დამატებით ინტენსიურ ხელფასს პრივატიზებულ საწარმოში მონაწილეობის ფორმით.

5. პრივატიზაცია განხორციელდება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

იმსჯელეთ მსგავსი სოციალური შეთანხმების უპირატესობებზე და იმ მიზეზებზე, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით, რატომ ვერ მოხერხდებოდა მათი განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

საერთაშორისო ინსტიტუციების შედარებითი მოდელი განავითარეს *Djankov*-მა-და სხვ. (2003). ტრანსფორმაციის ძირეული პრობლემები განხილულია Cassel-თან (1997).

აღმოსავლეთ გერმანიაში ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზს გვთავაზობენ Sinn/Sinn (1993). ბერტელსმანის ტრანსფორმაციის ინდექსი (*www.bertelsmann-transformation-index.de*) გვთავაზობს 128 ქვეყანაში განვითარებისა და ტრანსფორმაციის პროცესების ანალიზსა და შეფასებას. იგი ასევე აფასებს სამართლებრივი სახელმწიფოს დემოკრატიის მდგომარეობას და სოციალური პასუხისმგებლობის მქონე საბაზრო ეკონომიკას, ასევე რეფორმებთან დაკავშირებული იდეების პოლიტიკური განხორციელების შედეგებს.

ეკონომიკური წესრიგების ინტეგრაცია

12

თავი

12.1 ეკონომიკური ინტეგრაციის სარგებელი და ხარჯები 262

12.2 ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები 266

12.3 მაგალითი: გერმანიის ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპასა და მსოფლიო ეკონომიკაში 268

სწავლების მიზნები

- საერთაშორისო ვაჭრობა ხელს უწყობს კეთილდღეობის ეფექტების მიღწევას საერთაშორისო დონეზე შრომის დანაწილების გზით. ინტენსიური ვაჭრობის წინაპირობას, ჩვეულებრივ, წარმოადგენს ინსტიტუციური წესების ჩამოყალიბება და შესაბამისად, დაკავშირებულია ტრანზაქციის მაღალ ხარჯებთან.

- ინსტიტუციური ინტეგრაციის განვითარებისათვის საჭიროა ორმხრივი სავაჭრო პრეფერენცია, რაც გულისხმობს ორ ქვეყანას შორის სრულყოფილი ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბებას.

- გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (GATT) ეფუძნება უპირატესი ხელშეწყობის პრინციპს, რომლის თანახმადაც, ორმხრივად შეთანხმებული სავაჭრო პრივილეგიით ყველა სხვა წევრმა ქვეყანამაც უნდა ისარგებლოს. ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ გენერალურმა შეთანხმებამ, რომელის ინტეგრაციაც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში 1995 წელს განხორციელდა, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, საერთაშორისო ვაჭრობის ეფექტიან ლიბერალიზაციას.

- ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი, რომელსაც 1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით ჩაეყარა საფუძველი, ხასიათდება საწყის ეტაპზე ექვს დამფუძნებელ ქვეყნის კავშირის გაფართოებითა და ინსტიტუციონალიზმის განვითარებით. 1992 წელს მაასტრიხტის ხელშკრულებით შეთანხმებული კონვერგენციის კრიტერიუმების საფუძველზე ევროს შემოღებით დღეისათვის ევროპაში შეიქმნა ეკონომიკური და სავალუტო კავშირი, რომლიც პოლიტიკური კავშირის ჩამოყალიბებამდე უნდა მივიდეს. ლისაბონის ხელშეკრულება, რომელიც ძალაში 2009 წელს შევიდა, არეგულირებს ევროკავშირის ინსტიტუციურ საფუძვლებს, რომელიც დღეისათვის 27 წევრ ქვეყანას ითვლის.

12.1 ეკონომიკური ინტეგრაციის სარგებელი და ხარჯები

ისევე, როგორც ინდივიდებს შორის საქონლის გაცვლა საერთო კეთილდღეობას უზრუნველყოფს, ასევე ქვეყნებს შორის შრომის საერთაშორისო დანაწილება და საქონლის გაცვლაც ხელსაყრელია. და მაინც, თავისუფალი ვაჭრობა მსოფლიო ბაზრებზე, როგორც წესი, ისტორიულად გამონაკლისს წარმოადგენდა. ამის მიზეზი შეიძლება ვეძიოთ შრომის საერთაშორისო დანაწილების ინსტიტუციური ეკონომიკის ანალიზში. ეროვნულ ეკონომიკურ წესრიგებს შორის საერთაშორისო გაცვლითი ტრანზაქციების გაფართოება, როგორც წესი, დაკავშირებულია ტრანზაქციის მზარდ ხარჯებან. შესაბამისად, ბუნდოვანია, მოაქვს კი

ეკონომიკური წესრიგის ინტერნაციონალიზაციას წევრი ქვეყნებისთვის მუდმივად პოზიტიური ნეტო სარგებელი? თუ ეკონომიკურ ინტეგრაციას თან ახლავს მოგებული და წაგებული მხარეების არსებობა, ადგილი აქვს განაწილების კონფლიქტს, რომელიც ან ხელახალი გადანაწილების ღონისძიებების გატარებით უნდა მოგვარდეს, ან იგი შესაძლოა ინტეგრაციის შემდგომი ნაბიჯებისათვის წინაღობად იქცეს.

თუ ტრანზაქციის ხარჯებს ნულს ქვევით განვსაზღვრავთ, შრომის საერთაშორისო დანაწილების სარგებლიანობის ნახვა შესაძლებელია რობინზონ კრუზოს მოდელის მიხედვით, რომელიც დევიდ რიკარდოს (1817) უკავშირდება. მოდელი განიხილავს ორ ქვეყანას – პორტუგალიასა და ინგლისს შორის სავაჭრო ურთიერთობას, შემდეგი მოცემულობით:

- ორივე ქვეყანაში არსებობს მხოლოდ ერთი საწარმოო ფაქტორი – შრომა, L საერთო მოცულობით.

- ორივე ქვეყანაში წრფივი საწარმოო ფუნქციის პირობებში, შესაძლებელია მხოლოდ ორი პროდუქტის – ქსოვილისა და ღვინის წარმოება.

- ორივე ქვეყანაში არსებობს შრომის მწარმოებლურობის განსხვავებული პარამეტრები ისე, რომ ტრანსფორმაციის ზღვრული დონე და, შესაბამისად, საქონლის წარმოების ალტერნატიული ხარჯები ორივე ქვეყანაში განსხვავებულია.

ნახაზი 12.1. გვიჩვენებს რიკარდოს მოდელის კონკრეტულ ჰიპოთეზას. დახურული ეკონომიკის პირობებში, ვაჭრობის დასაწყებად ინგლისში ღვინის ერთეულის საწარმოებლად უნდა დაიხარჯოს ქსოვილის შედარებით დიდი რაოდენობა და, პირიქით, პორტუგალიაში ღვინის წარმოება ქსოვილის ერთეულებთან შეფარდებით საკმაოდ ხელსაყრელია. კერძოდ, პორტუგალიას შეუძლია ორივე პროდუქტის შედარებით ნაკლები ხარჯებით წარმოება, მაგრამ ინგლისს აქვს შეფარდებითი უპირატესობა ქსოვილის წარმოების თვალსაზრისით მაშინ, როდესაც პორტუგალიის უპირატესობას ღვინის წარმოება წარმოადგენს. შესაბამისად, ტრანზაქციის ხარჯების უგულვებელყოფის შემთხვევაში მიზანშეწონილი იქნებოდა პორტუგალიის მიერ ღვინის, ხოლო ინგლისის მიერ ქსოვილის წარმოება. მსგავსი სპეციალიზაცია ორივე ქვეყანას აძლევს საშუალებას, გაზარდოს სამომხმარებლო შესაძლებლობები საწარმოო შესაძლებლობასთან შედარებით მანამ, სანამ საერთაშორისო გაცვლითი ურთიერთობების თანაფარდობა საქონლის წარმოების ეროვნულ ალტერნატიულ ხარჯებს შორის მდებარეობს.

მეტისმეტად გამარტივებულ დაშვების შემთხვევაშიც კი, რიკარდოს მოდელი საერთაშორისო ვაჭრობის უპირატესობის თვალსაჩინო მტკიცებულებას გვთავაზობს. მაშასადამე, ინსტიტუციური ეკონომიკის თვალსაზრისით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებული ტრანზაქციის ხარჯების დეტალიზაცია. აღნიშნული ხარჯები, ერთი მხრივ, თავს იჩენს საერთაშორისო ბაზრების ჩამოყალიბებისას, რომლებზეც ფორმირდება ღვინისა და ქსოვილის ფასები. შემდგომში მათში აისახება საერთაშორისო გარიგებებში კერძო სავაჭრო კონტრაქტებისთვის საჭირო ხარჯები. საბოლოო ჯამში, კონტრაქტორებს, რომლებიც თავიანთი პროდუქციის სპეციალიზაციიდან გამომდინარე, უცხოელ მომწოდებლებზე ხდებიან დამოკიდებულნი, უნდა

ჰქონდეთ აღნიშნულ მიწოდებასთან დაკავშირებული ნდობა და, შესაბამისად, უნდა შეეძლოთ ზარალის ანაზღაურების მოთხოვნა. და ბოლოს, ყურადღებას იმსახურებს ასევე საერთაშორისო ვაჭრობის დანაწილების შედეგები. კერძოდ, საერთაშორისო ვაჭრობა შესაძლებელია, როდესაც ის ორივე მხარისათვის სასარგებლოა, მიუხედავად იმისა, რომ ვაჭრობის შედეგად მიღებული აბსოლუტური მოგება შესაძლებელია, საკმაოდ არათანაბრად იყოს განაწილებული.

	შრომა/1 ქსოვილი	შრომა/1 ღვინო	გაცვლითი თანაფარდობა ქსოვილი/ღვინო ავტარკიულ ეკონომიკაში	შესაძლო გაცვლითი თანაფარდობა თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში
ინგლისი	$100 = 1/a_1^E$	$120 = 1/a_2^E$	$6/5 = a_1^E/a_2^E$	1
პორტუგალია	$90 = 1/a_1^P$	$80 = 1/a_1^P$	$8/9 = a_1^P/a_2^P$	1

ნახაზი 12.1: ინგლისსა და პორტუგალიას შორის სავაჭრო ურთიერთობა რიკარდოს მოდელის მიხედვით

თავდაპირველად მოცემულია შრომის ის რაოდენობა, რომელიც საჭირო ორივე ქვეყანაში ქსოვილის, შესაბამისად ღვინის განსაზღვრული რაოდენობრივი ერთეულის დასამზადებლად. ამ თანაფარდობების მუდმივობის შემთხვევაში, თითოეული ქვეყნისათვის ავტარკიული ეკონომიკის დროს, ორივე საქონელს შორის თავს იჩენს მუდმივი გაცვლითი თანაფარდობა. აღნიშნული გაცვლითი თანაფარდობა ქვეყნებს შორის სხვადასხვაგვარია და მდებარეობენ იმ გაცვლითი თანაფარდობის ზევით ან/და ქვევით, რომელიც შესაძლოა, წარმოშობილიყო თავისუფალი ვაჭრობის შემთხვევაში.

არსებული მოდელის ფარგლების, მაგალითად, მხოლოდ ფრიქციების საშუალებით გაფართოების შემთხვევაში ისე, რომ საწარმოო ფაქტორების შეუზღუდავი გადაადგილება დარგებს შორის შესაძლებელი არ იყოს, ყოველთვის საქონლის მწარმოებლები, რომელთა ინტერესსაც მსოფლიო ბაზარზე შედარებით დაბალი ფასი წარმოადგენს, შედეგად უფრო ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ამდენად, მზარდი სოციალური დაძაბულობის თავიდან აცილების მიზნით შესაძლებელია დღის წესრიგში ვაჭრობით მიღებული მოგების განსაზღვრული მოცულობით გადანაწილების აუცილებლობა დადგეს. მსგავსი გადანაწილების მექანიზმების შემუშავება, თავის მხრივ, სახელმწიფო ინსტიტუციების დაარსებას მოითხოვს, რაც საერთაშორისო ვაჭრობის ტრანზაქციის ხარჯების ზრდას იწვევს.

რიკარდოს მარტივი მოდელი მრავალგზის განვითარდა, შეივსო და შეიცვალა. ამასთან, საქმე ყოველთვის მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურებოდა, უფრო გამჭვირვალე გამხდარიყო შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობების მიზეზები და ამით მომხდარიყო ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების საერთაშორისო ვაჭრობის სტრუქტურაში ასახვა. მაგალითად, საერთაშორისო დონეზე ერთი და იგივე საქონლის საწარმოო ხარჯებში არსებული განსხვავება შესაძლოა აიხსნას წარმოებისათვის საჭირო ფაქტორების სხვადასხვაგვარი დეფიციტურობით. თუ საწარმოო ფაქტორებზე წვდომა, როგორიცაა მაგალითად ფინანსური კაპიტალი ან ჰუმანური კაპიტალი, მოცემულ ვადებში ცვალებადია, შესაძლოა

ასევე შეიცვალოს შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები. ტექნოლოგიური ინოვაციებიც ასევე ხელს უწყობენ სავაჭრო უპირატესობების წარმოშობას, თუმცა წარმატებული საერთაშორისო იმიტაციების გამო შესაძლოა, მათ თავიანთი ეფექტი ისევ დაკარგონ. თუ წარმოების ტექნოლოგია ხასიათდება პროდუქციის წარმოების მასშტაბზე დამოკიდებული მზარდი შემოსავლებით ისე, რომ უფრო მეტი ერთეულის წარმოება ერთეულისათვის საჭირო ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული, წარმოებული რაოდენობის გაზრდით შესაძლოა, შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობა ჩამოყალიბდეს. ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით ბაზრის გაფართოებაზე გავლენის მოხდენა შესაძლებელია, ერთი მხრივ, ან უცხოური კონკურენციისაგან კონკრეტული საქონლის შიდა ბაზრის დაცვით მაღალი საბაჟო განაკვეთის საშუალებით, ან კონკრეტული საქონლის მსოფლიო ბაზარზე ექსპორტის მიზანმიმართული სუბსიდირებით. ამასთან, ორივე ტიპის ღონისძიება იწვევს მნიშვნელოვან წინააღმდეგობას სხვა ქვეყნების მხრიდან, რომლებიც სავარაუდოდ შეეცდებიან საკუთარი პროდუქტების ბაზრის გაფართოებას თავიანთი წამახალისებელი ღონისძიებების გზით. ამდენად, ეროვნული პროდუქციის ცალმხრივად წამახალისებელ ღონისძიებებს, საბოლოო ჯამში, ხშირად, საერთაშორისო თავისუფალ ვაჭრობაში გაძლიერებულ ჩარევამდე მივყავართ.

საბოლოოდ შესაძლოა, წარმოიშვას ინსტიტუციური შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები, რაზეც ყურადღებას ამახვილებდნენ Hall და Soskice (2001). სტრატეგიული საკოორდინაციო პრობლემების განსაკუთრებული ინსტიტუციური მოგვარებითა და ამ გზით წარმოქმნილი ინსტიტუციური წარსული გამოცდილების გავლენით, რომელიც სხვადასხვა კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკაში ყალიბდება, მეწარმეებისათვის ყოველთვის სპეციფიკური შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობები იჩენენ თავს. მხოლოდ განსაკუთრებული ინსტიტუციური ტრანზაქციის ხარჯების გათვალისწინებით არის შესაძლებელი მოცემულ მომენტში საწარმოო ხარჯების გაანალიზება და შეფარდებითი სავაჭრო უპირატესობების სრულყოფილი ანალიზი.

დევიდ რიკარდო და შეფარდებითი უპირატესობები

დევიდ რიკარდო (1772-1823) დაიბადა ლონდონში, მდიდარი ბირჟის მაკლერის ოჯახში. უკვე 25 წლის ასაკში რიკარდოს ჰქონდა შესაძლებლობა, თავი დაენებებინა პროფესიული საქმიანობისათვის, გამომდინარე იმ ფინანსური მდგომარეობიდან, რომელიც მან თავად მოიპოვა საბირჟო საქმიანობით და ამიერიდან თავისი მოღვაწეობა მთლიანად მეცნიერებისათვის მიეძღვნა. 1819 წელს რიკარდო აირჩიეს ბრიტანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში ირლანდიის მხარის – პორტალინგტონის წარმომადგენლად, რომლის წევრად იგი სიცოცხლის ბოლომდე რჩებოდა. მისი ძირითადი შრომებია: *On the Influence of Low Price of Corn on the Profits of Stock* (*London*, 1815); *On the Principles of Political Economy and Taxation* (*London*, 1817).

ადამ სმიტთან ერთად, რომლის ნაშრომმა მისი ეკონომიკური საკითხებისადმი დაინტერესება გამოიწვია, რიკარდო თეორიული ეროვნული ეკონომიკის ფუძემდებლად და კლასიკოსად ითვლება. მან განავითარა ღირებულებითი თეორია, რომლის თანახმადაც, კვლავწარმოებადი საქონლის ფასში მისი წარმოებისათვის საჭირო შრომის რაოდენობა აისახება. იგივე

შეიძლება ითქვას შრომის, როგორც წარმოების ფაქტორის ფასის შესახებ, რომელიც ორიენტირებულია საარსებო მინიმუმზე, და აქედან გამომდინარე, მხოლოდ კვების პროდუქტების ფასებზე. საქონლის ფასის განსაზღვრა გაწეული (დახარჯული) შრომის რაოდენობის მიხედვით ასახვას ჰპოვებს ასევე რიკარდოს საგარეო ვაჭრობის თეორიაში, რომლის მიხედვითაც საქონლის წარმოებისას შედარებით ნაკლები შრომის გამოყენების შედეგად გაწეულ ხარჯებზე დაფუძნებული შეფარდებითი უპირატესობები. შეფარდებითი უპირატესობების შესაბამისი სპეციალიზაცია ხელს უწყობს უფრო მაღალ სამომხმარებლო შესაძლებლობებს ყველა მონაწილე ქვეყნისათვის. რიკარდო განსაკუთრებით მხარს უჭერდა ინგლისში მარცვლოვანი კულტურით ვაჭრობის ლიბერალიზაციას, იაფი მარცვლეულის იმპორტით ინგლისში შრომის ხარჯების შემცირების მიზნით. თუმცა, 1846 წლამდე რეალურად ვერ მოხერხდა ინგლისში მარცვლეულის იმპორტზე საბაჟო კონტროლის გაუქმება.

სახელმწიფო დავალიანებით გამოწვეულ ეკონომიკურ და ფინანსურ შედეგებთან დაკავშირებით რიკარდომ განავითარა ე.წ. „ექვივალენტობის თეორია“. აღნიშნული მოდელის თანახმად, სახელმწიფოს დეფიციტის დაფინანსებით არ არის მოსალოდნელი გადასახადების შემცირების ეფექტები იმ შემთხვევაში, თუ კერძო მეანაბრეები ზუსტ პროგნოზს გააკეთებენ, რომ მომავალში სახელმწიფო ვალების დაფარვა შესაძლებელია მხოლოდ დამატებითი გადასახადების საშუალებით. ამდენად, ბიუჯეტის დეფიციტი გაზრდილი დაზეგვრის გადავადებას წარმოადგენს.

12.2 ეკონომიკური ინტეგრაციის ფორმები

ეკონომიკური ინტეგრაციის გაღრმავებასა და საჭირო ტრანზაქციის ხარჯების ზრდას შორის დაძაბული ურთიერთობა ცხადად იჩენს თავს ინტეგრაციის ფორმების (ეტაპების) ანალიზში. როგორც წესი, განასხვავებენ სხვადასხვა მასშტაბის ინტეგრაციის ექვს ფორმას:

- პრეფერენციული ზონა: ქვეყანა საგარეო ვაჭრობაში რომელიმე სავაჭრო პარტნიორს ანიჭებს უპირატესობას, როდესაც მას სხვა, მესამე ქვეყანასთან შედარებით უკეთეს სავაჭრო პირობებს სთავაზობს.

- თავისუფალი სავაჭრო ზონა: ქვეყნები ორმხრივ ვაჭრობაში აუქმებენ ყველანაირ სავაჭრო შეზღუდვას. სხვა ქვეყნების მიმართ, შესაბამისად, შენარჩუნებულია ინდივიდუალური სავაჭრო შეზღუდვა. ამდენად, თავისუფალი სავაჭრო ზონა დანარჩენი ქვეყნების მიმართ არანაირ საერთო შიდა ტარიფს არ ფლობს.

- საბაჟო კავშირი: შიდა ვაჭრობაში ყველანაირი სავაჭრო შეზღუდვის გაუქმების გარდა, სავაჭრო შეზღუდვები სხვა ქვეყნებთანაც უნიფიცირებულია. უპირველეს ყოვლისა, ხდება საერთო შიდა ტარიფის შეთანხმება მესამე ქვეყნების მიმართ.

- საერთო ბაზარი: თავისუფალ შიდა ვაჭრობასთან ერთად, შეთანხმებულია საწარმოო ფაქტორების – შრომა და კაპიტალი – თავისუფალი გადაადგილება.

- ეკონომიკური კავშირი: წევრ-ქვეყნებში ხდება ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი შემადგენელი სფეროების ჰარმონიზაცია. ეს განსაკუთრებით ეხება, მაგალითად, კონკურენციის პოლიტიკას, სტრუქტურულ და რეგიონალურ პოლიტიკას ან ფისკალურ პოლიტიკასაც კი.

- სავალუტო-ეკონომიკური კავშირი: საერთო ბაზარი და ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის მნიშვნელოვანი სფეროების ჰარმონიზაცია საერთო ვალუტის შემოღებით კიდევ უფრო სრულყოფილ სახეს იღებს და ამით მისი საბოლოო სრულყოფა ხდება.

იმ ინსტიტუციურ ღონისძიებებში, რომლებიც თან ახლავს პრეფერენციული ზონიდან სავალუტო-ეკონომიკურ კავშირამდე გასავლელ გზას, თავს იჩენენ ტრანსფორმაციის სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილების მეტად საინტერესო პარალელები. კერძოდ, საჭიროა ინტეგრაციის მიზნით ნაბიჯების გადადგმა, როგორც ცალკეული ბაზრების მიკრო-დონეზე, მაგალითად, დაბეგვრის უნიფიკაციისა და ბაზრის რეგულირების ფორმით, ასევე მაკრო-დონეზე, როგორიცაა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის ჰარმონიზაცია. დამატებით, ერთიანი ბაზრის შესაქმნელად საჭიროა საქონლისა და საწარმოო ფაქტორების თავისუფალი მოძრაობისათვის აუცილებელი ძირეული სამართლებრივი წესების უნიფიცირება. ინტეგრაციის აღნიშნული ნაბიჯები ხარჯების გარეშე არ ხორციელდება. მათი გადადგმა ღირს მაშინ, თუ ტრანზაქციის ხარჯებს უპირისპირდება კეთილდღეობის მომტანი მნიშვნელოვანი მოგება. და ბოლოს, ინტეგრაციისთვის საჭირო ტრანზაქციის ხარჯების რაოდენობისათვის ასევე მნიშვნელოვანია ეკონომიკურ კულტურათა შორის განსხვავება. რაც მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისგან საზოგადოებრივი წესების სისტემები, მით მეტია აღნიშნული წესების უნიფიკაციისათვის გაწეული ხარჯები, რომლებიც ასეთი მნიშვნელოვანია საერთო ბაზრისათვის, რომელზეც ერთიანი ვალუტა მოქმედებს.

რაც მეტად ღრმავდება ინტეგრაცია, მით უფრო რთულდება მისი განხილვა, როგორც წმინდად ეკონომიკური საკითხისა და მით უფრო მნიშვნელოვანია მისი პოლიტიკური ინტეგრაციის სტრატეგიის ფარგლებში მოქცევა. როგორც წესი, ასევე პოლიტიკური ბუნების მატარებელია გადაწყვეტილებები გადანაწილების მექანიზმების შესახებ, რომელთა მეშვეობითაც ინტეგრაციის პარტნიორებს შორის ნაწილდება მზარდი ინტეგრაციის შედეგად მიღებული კეთილდღეობის მომტანი მოგება. გადანაწილების მექანიზმების გარეშე, ადვილად მოხდებოდა კონფლიქტები განაწილების გამო, რომლებიც ხელს უშლიან ინტეგრაციისკენ გადადგმულ შემდგომ ნაბიჯებს.

12.3 მაგალითი: გერმანიის ეკონომიკური ინტეგრაცია ევროპასა და მსოფლიო ეკონომიკაში

სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამას განეკუთვნებოდა საგარეო ვაჭრობის სწრაფი ლიბერალიზაცია. იგი გერმანიაში მართლაც ძალიან სწარფად განხორციელდა. გერმანიამ, როგორც საბაჟო და სავაჭრო შეთანხმების წევრმა ქვეყანამ (*General Agreement onTariffs and Trade*, *GATT*), მონაწილეობა მიიღო საბაჟო ტარიფის დაწევასთან დაკავშირებულ მრავალ საერთაშორისო კონფერენციაზე. ამ ფორმით უნდა წახალისებულიყო მსოფლიო ვაჭრობა და საერთაშორისო შრომის დანაწილებით რეალიზებულიყო კეთილდღეობის მომტანი მოგება. ამასთან მთავარ როლს თამაშობდა *GATT*-ის ძირითადი პრინციპი, ე.წ. უპირატესი ხელშეწყობის სავაჭრო რეჟიმი, რომლის თანახმადაც, *GATT*-ის წევრმა ქვეყანამ, რომელიც სავაჭრო პარტნიორს გარკვეულ სავაჭრო უპირატესობებს ანიჭებს, აღნიშნული უპირატესობებით *GATT*-ის ყველა წევრი ქვეყანა უნდა უზრუნველყოს. ამით შეიქმნა ვაჭრობის შემზღუდველი ღონისძიებების გაუქმების დინამიკა.

GATT-ის საკმაოდ უცვლელი და ზედაპირული ინსტიტუციური სტრუქტურა, რომელიც, პრინციპში მხოლოდ ერთი, ჟენევაში განთავსებული საერთო სამდივნოსგან შედგებოდა, დროთა განმავლობაში საერთაშორისო ვაჭრობაში არსებული გარდაუვალი პრობლემების გადასაჭრელად არასაკმარისი აღმოჩნდა. მსგავს პრობლემებს, მაგალითად, სულ უფრო მეტად ქმნის ის სუბსიდიები, რომელთა საშუალებითაც ცალკეული ქვეყნები ცდილობენ, თავიანთი საექსპორტო საქონელი გააიაფონ მსოფლო ბაზარზე. *GATT*-ს არ ჰქონდა საერთაშორისო ვაჭრობისა და კონკურენციის მსგავსი ხარვეზების წინააღმდეგ სანქციების დაწესების ინსტიტუციური შესაძლებლობა.

ეროვნული ბაზრების მზარდმა ინტეგრაციამ და ეკონომიკური ტრანზაქციების გლობალიაზაციამ ლოგიკურად შეუწყო ხელი ინსტიტუციური წესების შეცვლასაც. 1995 წელს *GATT*-ს ჩაენაცვლა ახალი ინსტიტუცია – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის სახით (*World Trade Organisation*, *WTO*). *WTO* მრავალ საერთაშორისო სავაჭრო ხელშეკრულებას ერთ ჭერქვეშ უყრის თავს: *GATT*-თან ერთად, ასევე შეთანხმებას მომსახურების საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ (*GATS – General Agreement on Trade in Services*) და შეთანხმებას არამატერიალური საქონლის საკუთრების უფლების დაცვის შესახებ (*TRIPS – Agreement on Trade-Related Aspects of Intellectual Property Rights*). გარდა ამისა, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის კომპეტენციაში შედის საერთაშორისო სავაჭრო დავების რეგულირება, წევრი ქვეყნების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების დაწესების ჩათვლით. ამდენად, *GATT*-ის ჩანაცვლება *WTO*-ით, წარმოადგენს მზარდი შრომის საერთაშორისო დანაწილების შემთხვევაში, მზარდი ტრანზაქციის ხარჯების მაგალითს.

მზარდ ინტეგრაციასა და ინსტიტუციური ტრანზაქციის გაზრდილ ხარჯებს შორის პარალელური განვითარების ანალოგიას წარმოადგენს ასევე ევროპული ინტეგრაციის ისტორიაც. მას საფუძველი ჩაეყარა 1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით, რომლის საშუალებითაც შეიქმნა სამთო-მოპოვებითი მრეწველობის დარგობრივი საბაჟო კავშირი გერმანიას, საფრანგეთს, იტალიასა და ბენელუქსის სამ ქვეყანას შორის: ევროპული გაერთიანება ქვანახშირისა და ფოლადისთვის (*EGKS*, *Montanunion*). რკინისა და ფოლადის პროდუქტების გადამამუშავებელი მრეწველობისათვის საბაჟოს გაუქმებისა და დანარჩენ, მესამე ქვეყნებთან საერთო საგარეო ტარიფის შემოღების გარდა, ევროპულ გაერთიანებაში ქვანახშირისა და ფოლადისათვის, ადგილი ჰქონდა უპირველეს ყოვლისა, ინსტიტუციურ ინოვაციას: აღნიშნული გაერთიანების უმაღლესი ორგანო შეიქმნა, როგორც ახალი ინსტიტუცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ეროვნული მთავრობების ინტერესების გათვალისწინებით გაერთიანების ინტერესების გატარება.

1957 წლის რომის ხელშეკრულებებით ქვანახშირისა და ფოლადისათვის ევროპული გაერთიანების პრინციპმა სამრეწველო ეკონომიკის ყველა სექტორი მოიცვა. ამ გზით შექმნილი ევროპის ეკონომიკური გაერთიანება (*EWG*) ითვალისწინებდა ყველა საბაჟოსა და საქონლის შემოტანისა და გატანის დროს რაოდენობრივი შეზღუდვების გაუქმებას, ასევე ერთიანი საბაჟო ტარიფის დაწესებას და ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის გატარებას მესამე ქვეყნებთან მიმართებაში. იმავდროულად გადაწყდა EWG-ს წევრ-ქვეყნებს შორის ადამიანების, მომსახურებისა თუ კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისათვის ყველანაირი წინააღმდეგობის თავიდან აცილება. ამით საბაჟო კავშირი საერთო ბაზრად ჩამოყალიბდა. რომის ხელშეკრულებებში ახალი ინსტიტუციის სახით შეიქმნა ევროკომისია. იგი უნდა გამოსულიყო ხელშეკრულებების დამცველისა და ინტეგრაციისაკენ გადადგმული შემდგომი ნაბიჯების მამოძრავებელი მექანიზმის როლში. რომის ხელშეკრულებებში *EWG*-სთვის ჩამოყალიბებული კონკურენციის წესრიგი, კარტელის აკრძალვისა და კარტელის ფედერალური ბიუროს მხრიდან კონტროლის თვალსაზრისით, კონკურენციის შეზღუდვის წინააღმდეგ გერმანიაში არსებული კანონის პირობების მსგავსი იყო. თუმცა, ევროპის მასშტაბით კომპანიების შერწყმის კონტროლი მხოლოდ 1992 წელს მიღებული განკარგულებით დარეგულირდა. ერთიანი ბაზრის მიუხედავად, მაინც რჩება უამრავი არასატარიფო სავაჭრო ბარიერი, მათ შორის, მომხმარებელთა დაცვის მიზნით არსებული სხვადასხვა რეგულაციები ან სხვადასხვა ეროვნული აქციზები. დიდი ხნის მანძილზე ევროკომისია უშედეგოდ ცდილობდა, ჰარმონიზაციის გზით მიეღწია აღნიშნული სავაჭრო ბარიერების ლიკვიდაციისათვის. თუმცა, ბარიერების მოშლას ადგილი ჰქონდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1979 წელს ევროპის სასამართლომ *Cassis de Dijon*-ის განაჩენით მიიღო გადაწყვეტილება, რომ მომხმარებელთა დაცვის რეგლამენტის აღიარება გაერთიანების ერთ წევრ ქვეყანაში, ხელს უწყობს ასევე ყველა დანარჩენ წევრ ქვეყანაში ბაზარზე წვდომას. რთულად მისაღწევ სუპერნაციონალურ ჰარმონიზაციას, ამდენად, ეროვნული რეგულაციების ურთიერთაღიარება ჩაენაცვლა. ამ პრინციპის გამოყენება გახდა სრულყოფილი ევროპული შიდა ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბების საფუძველი, რომელმაც 1987 წელს ერთიანი ევროპული ქარტიით უკვე სამართლებრივი სახეც მიიღო.

ჟაკ-ლუსიენ ჟან დელორსი და ევროპის სავალუტო-ეკონომიკური კავშირი

ჟაკ-ლუსიენ-ჟან დელორსი (დაბ. 1925 წელს პარიზში) ეკონომიკურ მეცნიერებებს სორბონას უნივერსიტეტში ეუფლებოდა. თავისი კარიერა მან დაიწყო *Banque de France*-ში და შემდგომ მუშაობდა ცენტრალური დაგეგმვის კომისარიატში. 1969 წელს იგი გახდა საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის მრჩეველი. 1974 წელს ის შევიდა სოციალისტურ პარტიაში და თავი გამოიჩინა, როგორც ეკონომიკისა და ვაჭრობის საკითხების ექსპერტმა. 1979 წელს იგი ხდება ევროპის პარლამენტის დეპუტატი. 1981 დან 1984 წლამდე

იგი იყო საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრი. 1985-დან 1995 წლამდე დელორსი ევროკომისიის პრეზიდენტია. მის სახელთან, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია დელორსის-გეგმა, რომლის სამსაფეხურიანი სტრუქტურა ითვალისწინებდა თავდაპირველად შიდა ბაზრის სრულყოფას, შემდგომ ევროპის ცენტრალური ბანკის დაარსებას და ბოლოს, ევროს, როგორც ერთიანი ვალუტის შემოღებას.

ჯერ კიდევ საფრანგეთის ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრობის პერიოდში, დელორსი საფრანგეთის მრეწველობის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, მხარს უჭერდა სტაბილურობასა და კონკურენციაზე ორიენტირებულ კურსს. ევროკომისიის პრეზიდენტის პოსტზე მოღვაწეობის პერიოდში, შიდა ბაზრისა და, შესაბამისად, ეკონომიკური კავშირის საბოლოო ჩამოყალიბების მიზნით ამოქმედებული პროგრამით, მან ხელი შეუწყო, ევროპის ინტეგრაციის პროცესის ახალ დინამიკას. გაერთიანებამ კარი გაუღო არამხოლოდ ახალ წევრ ქვეყნებს, არამედ პარალელურად ინტეგრაციის მნიშვნელოვანი გაღრმავება დაისახა მიზნად. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით დაარსდა ევროკავშირი, რომელიც ეკონომიკურ ინტეგრაციასთან ერთად, ითვალისწინებს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში, ასევე საშინაო და სამართლებრივი პოლიტიკის საკითხებში მჭიდრო თანამშრომლობას. მაასტრიხტის ხელშეკრულების საკვანძო საკითხს წარმოადგენდა ევროპის ცენტრალური ბანკის დაარსება და ევროს შემოღება, რაც რამდენიმე საფეხურად და კონვერგენციის განსაკუთრებული კრიტერიუმების გათვალისწინებით განხორციელდა. დელორსი ეროვნული ვალუტების ევროთი ჩანაცვლებას შიდა ბაზრის საბოლოო ჩამოყალიბების ლოგიკურ შედეგად განიხილავდა. ერთიან ვალუტას ფასების მეტი გამჭვირვალობა უნდა მოეტანა. ეროვნული ვალუტების შესაძლო გაუფასურებით იმავდროულად უნდა გაზრდილიყო ზეწოლა წევრ ქვეყნებზე, რათა მათ შიდა რეფორმებით ხელი შეეწყოთ საერთაშორისო კონკურენციის ქმედითუნარიანობის გაზრდისათვის.

იმავე პერიოდში დაიწყო ახალი ერთიანი ვალუტის შემოღებისათვის მზადება. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულებით გადაწყდა ევროს შემოღება რამდენიმე ეტაპად. 1998 წელს ოფიციალურად დაარსდა ევროპის ცენტრალური ბანკი, როგორც ახალი ევროპული ინსტიტუცია. 1999 წელს დაფიქსირდა ევროზონის წევრი ქვეყნების შეუქცევადი გაცვლითი კურსი ევროს მიმართ. წევრი ქვეყნები შეირჩა კონვერგენციის კრიტერიუმებით ეროვნული ინფლაციის დონის, სარგებლის განაკვეთების დონისა და ბიუჯეტების დეფიციტის მიხედვით. 2002 წლის 1 იანვარს ევრომ საბოლოოდ ჩაანაცვლა ეროვნული ვალუტები.

მას შემდეგ, რაც 2005 წელს საბოლოოდ უარი ითქვა ევროკავშირის ინსტიტუციური სტრუქტურის ევროპის კონსტიტუციით გამყარებაზე, ლისაბონის ხელშეკრულებით, რომელიც ძალაში 2009 წელს შევიდა, შესაძლებელი გახდა, სულ მცირე ევროპული ხელშეკრულებების და ინსტიტუციების კონსოლიდაცია. ხელშეკრულება, რომელიც ამასობაში ევროკავშირის 27 წევრ ქვეყანას შორის ურთიერთობებს აწესრიგებს, სხვა დანარჩენთან ერთად ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ევროპული ინტეგრაციის მიზანს უნდა წარმოადგენდეს შიდა ბაზრის უზრუნველყოფა თავისუფალი და ჯანსაღი კონკურენციით, ეკონომიკური ზრდით, ფასების სტაბილურობით, სოციალური საბაზრო ეკონომიკით, გარემოს დაცვითა და სოციალური სამართლიანობით. ზედმიწევნით გაწერილია ასევე ევროპული ინსტიტუციების პასუხისმგებლობა სავაჭრო და საბაჟო პოლიტიკაში, ხოლო, რაც შეეხება შიდა ბაზარს, აგრარულ, ენერგეტიკის, სატრანსპორტო და გარემოს დაცვის პოლიტიკას და მომხმარებელთა დაცვას, ისინი ევროპული და ეროვნული ინსტიტუციების ცალ-ცალკე კომპეტენციებს განეკუთვნებიან.

ბოლო დროს არსებული კრიზისის შედეგად, ევროზონის წევრმა ქვეყნებმა სავალუტო კავშირის ინსტიტუციური საფუძვლები უფრო მეტად დახვეწეს: მათ აიღეს ვალდებულება, თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კოორდინაციისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პოლიტიკის სფეროში მკაცრად განსაზღვრული წესების შემოღების თაობაზე. 2012 წელს ევროპის სტაბილურობის მექანიზმით დაინერგა კრიზისული ქვეყნების ერთობლივი მხარდაჭერის მეთოდი (შეადრ. თავი 19.6). 2013 წლიდან საბანკო კავშირით უკეთ უნდა დარეგულირდეს ფინანსური ბაზრები (შეადრ. თავი 19.4).

ძირითადი ცნებები

- შეფარდებითი უპირატესობა
  პრეფერენციული ზონები
  თავისუფალი სავაჭრო ზონა
  საბაჟო კავშირი
  საერთო ბაზარი
  ეკონომიკური კავშირი
  სავალუტო-ეკონომიკურიკავშირი
- ევროპის ეკონომიკური კავშირი (*EWG*)
  ევროკავშირი (*EU*)
  ევროპის ცენტრალური ბანკი (*EZB*)
  კონვერგენციის კრიტერიუმები
  ლისაბონის ხელშეკრულება
  მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (*WTO*)
  გენერალური შეთანხმება ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ (*GATT*)

დავალებები

1. შეფარდებითი უპირატესობები, სპეციალიზაცია და ინსტიტუციური წესები

ყოველდღიური ცხოვრებიდან მოიყვანეთ მაგალითები, რომ შეფარდებითი უპირატესობების მიხედვით სპეციალიზაცია სოციალური ორგანიზაციების ძირითად პრინციპს წარმოადგენს და რომ იგი, როგორც წესი, ყოველთვის ინტეგრირებულია ინსტიტუციური წესების სტრუქტურაში, რომელიც შრომის დანაწილების შესაძლო რისკებისგან დაცვას წარმოადგენს.

2. საერთაშორისო ვაჭრობა და საერთაშორისო ჰარმონიზაცია

მე-19 საუკუნეში საერთაშორისო ვაჭრობის ძლიერ ექსპანსიას შედეგად მრავალ ქვეყანაში წონის, სიგრძის და დროის ერთეულების შესახებ არსებული წესების საერთაშორისო ჰარმონიზაციის მკაფიოდ გამოხატული მოთხოვნილება მოჰყვა. ბევრ ქვეყანაში ერთდროულად შემოღებული ოქროს ვალუტა 1914 წლამდე ერთგვარად ერთიან მსოფლიო ფულს წარმოადგენდა. იმსჯე-

ლეთ, რატომ იყო მსგავსი ჰარმონიზაციები ხელსაყრელი, თუმცა იმ დროს, როდესაც ჯერ საერთაშორისო ინსტიტუციები არ არსებობდა, რატომ იყო ჰარმონიზაცია პრობლემებთან დაკავშირებული.

3. ურთიერთაღიარება ჰარმონიზაციის ნაცვლად

განმარტეთ, რატომ შეიძლებოდა, Cassis de Dijon-ის საქმესთან დაკავშირებით 1979 წელს ევროპის სასამართლოს განაჩენი, რომელმაც გაერთიანების წევრ ქვეყნებში მომხმარებელთა დაცვის რეგლამენტის ურთიერთაღიარებას შეუწყო ხელი, გამხდარიყო უფრო ძლიერი სტიმული შიდა ბაზრის გაფართოებისათვის, ვიდრე ტრადიციული ინტეგრაციის მეთოდი, რომელიც ეფუძნებოდა ეროვნული წესების ჰარმონიზაციას ევროპული ნორმებით.

4. ევროზონის ინსტიტუციური წესები

ევროზონაში ახალი წევრების მიღება დაკავშირებულია კონვერგენციის კრიტერიუმების ზედმიწევნით ზუსტ შესრულებასთან. ევროზონის წევრებმა უნდა შეასრულონ სტაბილურობის პაქტის დებულებები. განმარტეთ, რატომ ენიჭება მსგავს წესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა სავალუტო კავშირში?

გამოყენებული ლიტერატურა

რიკარდოს „საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი“, ასახულია *Krugman/Obstfeld* (2011) სახელმძღვანელოში. მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო პირობები, თავისი განხვავებული ზომით ასახულია *Sautter* მიერ (2004). ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის საჭირო პრინციპებსა და რეალური განვითარების ტენდენციებზე მსჯელობენ *Baldwin/Wyplosz* (2012).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა (*WTO*) და ევროკავშირის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია *www.wto.org* და *www.europa.eu*

ნაწილი V

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები: კეთილდღეობის ეკონომიკის გამოყენება

13 **კოლექტიური შეფასებების ეკონომიკური ანალიზი** 275

14 **ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები და მიზანთა კონფლიქტი** 297

15 **ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მიზნების ოპერაციონალიზაცია** 311